



დ. მარუაშვილი

მარჯო პოლო
სვენ ჰედიხი

საქართველოს გეობრაფიკული
საზოგადოება
ტფილისი



ბიბლიოგრაფია

ლ. გარუაშვილი — „მარკო პოლო და სენე ჰეიდნი“

სამარ. გეოგრაფიული საზ. გამომცემ.

„შუაზიას ციმბირში ვძებნენ, ხოლო მდინარეაწვერს თვლიან მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალად“, ასე წერდა „პრადედაში“ მ. კოლცოვის და განაგრძობდა: „ამ უტოლინარობას, ხომ არ უნდა მივაწეროთ უცნაური შემთხვევები ტვართზიდვაში, როდესაც გორდოვსკისკენ გაუზავნილი ვაკონები თავს ამოპოყენენ ხოლმე ასტრახანში, ხოლო აღმა-ატაში მიმავალი ბარგი ორშაში მიდის“ (მ. კოლცოვის წერილი „ცრემლები გლობუსთან“).

ფაქტია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ნაკლებად იცნობს სხვადასხვა ქვეყანას ქართულ ენაზე ძალიან ნაკლებად მოიპოვება წიგნი, სადაც აღწერილი იყოს მოგზაურთა ცხოვრება, ასეთი ლიტერატურის არსებობა კი აუტოლებელია ჩვენი გმობობისა და მამაცობის ეპოქაში.

ლ. მარტაშვილას წიგნი „მარკო პოლო და სენე ჰეიდნი“ ფრიად საყურადღებო წიგნია. აქ აღწერილია ორი დიდი და დაუღალავი მოგზაურის — მარკო პოლოს და სენე ჰეიდნის ცხოვრება და მოღვაწეობა.

არც მარკო პოლო და არც სენე ჰეიდნი თავიანთ მოგზაურობაში არ ყოფილან დინტერესებული წმინდა მცნიერულ მიზნებით: მათ ხელს უწყობდნენ მდიდარა ვაჭრები, ამარაგებდნენ ფულით და სურსათ — სანოვაციით. ყველა მდიდარი დინტერესებული აყო, თუ რომელი ტვირა ფეტ ოქროს და ვერცხლს წამოიღებდა და სავაჭროს ქვეყნებში დან.

ქვეყნებისა და გზების ძებნიდან იწყებოდა ფიოდალთა კონკრეტული გზების დასაყვანილი ახალ-ძალი-ფულით, რომელმაც დაშალა ნატურალური კარაკეტილობა.

ლ. მარტაშვილის წიგნში მარკო პოლოს ცხოვრება მკითხველსა და მოცემული შეიძლება ეს იმათ აიხსნას, რომ მარკო პოლოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება წერილობითი ცნობები, თვით მარკო პოლოს მიერ დაწერილი. მარკო პოლოს ცხოვრების აღწერის დროს ყველა მკვლევარი ემყარება რუსტიანის პანანელის წიგნს, რომელიც

მან დაწერა გენუის საპყრობილეში. მარკო პოლო დიდი და დაუღალავი მოგზაურია, საშუალო საუკუნეებში მოგზაურობა ძალიან სახიფათო საქმე იყო, ვინაიდან პაპება და კარდინალები ამაში ლთვის საწინააღმდეგო საქმეს ხედავდნენ და, მარკო პოლოს რომ არ აღმოჩენოდა მფარველად მონგოლეთის იმპერიის მმართველი ხუბულაი ყანი, ის ვერ გადაურჩებოდა კარდინალ — ჯამუსებს.

წიგნის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სენე ჰეიდნის მოგზაურობაზე, საკმაო სიცხვეულთაა მოცემული.

სენე ჰეიდნი არის ცენტრალური აზიის დიდი მოკლევარი. მან ჯერ კიდევ 20 წლის ყმაწვილმა გამოიკვლია ირანა და მესოპოტამია. სენეი მოგზაურობის დროს ხშირად მისულა სიკედილის პირამდე. სენის წიგნი „დაღუპვის პირად“ მისი საუკეთესო ბიოგრაფიაა. სენემა შემოიარა მთელი აზია და ბევრი მის დრომდე გამოუტყლველია მხარე და უდაბნო გამოიკვლია.

ლ. მარტაშვილის წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს ახალგაზრდობას.

საქარაა, გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გაათაროვოს თავისი მუშაობა და ახალგაზრდობას გააცნოს მოგზაურთა ცხოვრება და მოღვაწეობა.

მტკიცედ მოეკიდეთ ხელი გეოგრაფიის სწავლებას საქმის, თუ არ გეინდა, რომ უფრო მიტეა „ცრემლები დაიღვაროს გლობუსთან“.

ალ. სიგუა.

გარდაქმნათ საბავშვო პენჯახის მუშაობა

მილიციის განყოფილებებთან არსებულ ბავშვთა უმეტესწილად წინააღმდეგ მიმართული პუნქტები არაღმარაგად დატოვებული იბრძვიან საკ. კ. პ. (ბ) და სახკომსაბჭოს 1935 წლ. ბავშვთა უმეტესწილად და უპატრონობის ლიკვიდაციის შესახებ მიღებულ ისტორიულ დადგენილებების რეალიზაციისათვის. ხშირად შემთხვევა, როცა პუნქტები არსულიად იფიცებენ ან არ ზრუნავენ პუნქტში მიყვანილ უპატრონო ბავშვთა მოწყობისათვის შინსახკომის მიმღებ განაწილებელში. მთელ რიგ პუნქტებში ნაცვლად ნამდვილი, აღმზრდელი მუშაობისა, ადგილი აქვს უპატრონო ბავშვთა ფორმალურ რეგისტრაციას.

საბავშვო პუნქტებმა ჯერ კიდევ ვერ ჩააბეს მუშაობაში საზოგადოებრივი აქტივით. პუნქტები მოთავსებულია ვიწრო ოთახებში, მავალითად, მილიციის მე-3 განყოფილებასთან არსებულ საბავშვო პუნქტს უჭირავს 4 კვ. მეტ. ოთახი, მე-7 მილიციის განყოფილებასთან არსებულ საბავშვო პუნქტს სულ არ გააჩნია სამუშაო ოთახი. საბავშვო პუნქტები აო არის კულტურულად მოწყობილი, არაღმარაგად დატოვებული ეხმარებიან პუნქტებს რაისაბჭოების, თბილისის საბავშვო პუნქტები და თბილისის საბ-

ცალკეული სკოლები განათლების განყოფილების ნებადართვლად რიცხვენ ბავშვებს სკოლიდან, მავალითად, მე-72 სკოლამ გარიცხა მოსწავლე არტუშა სარქისიანი „უღისციკლინობის გამო“. პუნქტების მუშაობები ვერ აძლევენ პასუხისმგებში იმ მშობლებს, რომლებიც მცირეწლოვან ბავშვებს თვითონ უწყობენ ხელს დანაშაულის ჩადენაში. პუნქტებში მომუშავეთა უმეტესობას არ აქვს პედაგოგიური განათლება.

ძალზე დაბალია აგრეთვე პუნქტების მომუშავეთა პოლიტმომზადების დონე: არის პოლიტიკური სიფხიზლიან მოდუნების შემთხვევებიც, მაგ., მე-9 განყ. პუნქტის გამგის ელენე აბაშიძის ქმარი და მმა დაპატიმრებული არიან, როგორც ხალხის მტრები, მაგრამ ხსენებული აბაშიძე დღემდე განაგრძობს პუნქტის გამგედ მუშაობას. მე-10 განყ. საბავშვო პუნქტის გამგეს ზინა ჩახიძეს პუნქტის მუშაობის გამოტყვევია დროს აღმოაჩნდა ხალხის ერთერთი მტრის დიდი სურათი; მილიციის 1-ლი განყ. საბავშვო პუნქტში და მე-10 საბავშვო პუნქტში აღმოჩენილ იქნა ხალხის მტრების სტატიები და წერილები. საბავშვო პუნქტების მუშაობის გაააჯანსაღებლად საჭიროა, ზემოდ ჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ აღმოფხვრან ხსენებული ნაკლოვანებანი და იგრძნონ მეტი პასუხისმგებლობა საბავშვო პუნქტების მიმართ.

3. დავითაშვილი.

ტომბრო ვალდე
სა და ორწლიანობის ლიკვიდაცია

სტამბა „კომუნისტი“ კაზოს ქ. № 68.

ტირაჟი 3000. მთავლიტი № 7045. შეკვეთა № 1845.



მარკო პოლო



6306 308060

საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გადა-
სწყვიტა გამოსცეს სამეცნიერო-პოპულარულ წიგნთა სე-
რია სათაურით: „სახელგანთქმული მოგზაურები, მათი
ცხოვრება და აღმოჩენანი“.

ქართული ლიტერატურა ჯერჯერობით ღარიბია სა-
მეცნიერო-პოპულარულ გეოგრაფიულ ლიტერატურით,
მაგრამ ამავე დროს ამგვარი ლიტერატურის საჭიროება
მეტად მწვავედაა დასმული.

ამჟამად მკითხველს ჩვენ ვაწოდებთ საქართველოს
გეოგრაფიულ საზოგადოების წევრის—ლევან მარუაშვი-
ლის პოპულარულ წიგნს, რომელშიაც შედარებით მკი-
რე მანძილზე ავტორმა შესძლო მოეცა მეტად მოხერხე-
ბული დახასიათება, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიის
გამოჩენილ გამოძველეთა და მოგზაურთა—მარკო პო-
ლოსა და სვენ ჰედინის ცხოვრებისა და მოღვაწეო-
ბისა.

უახლოეს დროში გამომცემული იქნება გამოჩენილ ევ-
როპელ და რუსს მოგზაურთა, როგორცაა—ჯემს კუკი,
მიკლუხა-მაკლაი და სხვ. ცხოვრების აწერილობანი.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგა-
დოების თაგმჯდომარის მოადგილე-
პროფ. გ. გეხტმანი.

წინასიტყვაობის მაგივრად

გახეთ „პრავდა“-ში 1934 წლის 28 მარტს მოთავსებული იყო ცნობილი საბჭოთა ჟურნალისტის მიხეილ კოლცოვის ფელეტონი — „ცრემლები გლობუსთან“. მ. კოლცოვის ფელეტონში მოხერხებულად აღწერილი იყო ის უცოდინარობა გეოგრაფიის დარგში, რომელიც აქამდე გვხვდებოდა ყოველ ნაბიჯზე, ეს უცოდინარობა არა მარტო უქმნის უხერხულობას მათ, ვისაც გეოგრაფია არ შეუთვისებია, არამედ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

„შუა აზიას ციმბირში ეძებენ, ხოლო მყინვარ-წვერს თვლიან მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალად“... — გვიამბობს, სხვათა შორის მ. კოლცოვი და განაგრძობს:

„ამ უცოდინარობას ხომ არ უნდა მივაწეროთ უცნაური შემთხვევები ტვირთშიდვაში, როდესაც გორლოვკისკენ გაგზავნილი ვაგონები თავს ამოპყოფენ ხოლმე ასტრახანში, ხოლო ალმა-ატაში მიმავალი ბარგი ორშაში მიდის?“

უეჭვოა, რომ სოციალიზმის ქვეყანაში, რომელიც ახალ ცხოვრების მშენებლობას სამეცნიერო ნიადაგზე ამყარებს, გეოგრაფიულ ცოდნით აღჭურვილი უნდა იყვენ არა მარტო სპეციალისტები და ამ საგნის მასწავლებლები, არამედ თითოეული შეგნებული მოქალაქე. გეოგრაფიის ვარგულზე ადამიანი თვალს ვერ ადევნებს ვერც საერთაშორისო

პოლიტიკურ ცვლილებებს, ვერც ჰენრი ქეეცის სოციალისტურ გარდაქმნას და პირად ცხოვრებაშიც ამავე მიზნის გამო მრავალ დაბრკოლებას შეხვდება.

* *

ცეკას 16 მაისის დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე საინტერესო და ყველასთვის გასაგებ, ზუსტ და მხატვრულ გეოგრაფიულ ლიტერატურის შექმნასაც. ახალგაზრდობას ძლიერ იზიდავს მოგზაურობათა ამბავი, გამოჩენილ მკვლევართა ცხოვრება და თავგადასავლები. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა გეოგრაფიული მასალის მხატვრული გაფორმება, მისი გათქვეფა საინტერესო ეპიზოდებსა და სურათებში, მისი ჩამოყალიბება ოსტატური ნაწარმოების სახით და მთლიანი შინაარსიანი სახის მინიჭება. ასეთი ლიტერატურის ნიმუშები უკვე არსებობს და არსებობს; საკმაოდ დიდი რაოდენობით. შეგვიძლია დავასახელოთ: ე. რუსსატის „უდაბნოს ქარი“, რომელშიც მოთხრობილია სვენ ჰედინის ცხოვრება, გუბერის წიგნი მარკო პოლოს შესახებ, იუნხეზბენდისა — ჰიმალაის შესახებ და სხ.

* *

შეიძლება ამ წიგნის წამკითხველმა ბრალი დაგვდოს ფაქტიური მასალის სიცოტავეში, ან, პირიქით, გადაჭარბებულ გეოგრაფიაში.

ეს ბუნებრივია. თითოეულ მკითხველს საკუთარი გამოვნება აქვს. მაგრამ ამ ნაშრომში ჩვენ საშუალო ხაზი ავირჩიეთ: პოპულარული წიგნი გეოგრაფიულ აღმოჩენების შესახებ არ შეიძლება გეოგრაფიის სახელმძღვანელოდ გადავაქციოთ, მიგრამ არც იმისი უფლება გვაქვს, რომ რგი გამოგონილი ეპიზოდებითა და ზედმეტი საღებავებით დავტვირთოთ.

მარკო პოლო და სვენ ჰედინი ჩვენ ამ წიგნში მოვაქციეთ ტერიტორიალურ საფუძველზე: ორივემ იმოგზაურა აზიაში, მათ ნახული აქვთ ბევრი ერთი და იგივე ადგილი, ხოლო მათი მიდგომა ნახულისა და გაგონილის შეფასებისადმი სულ სხვა და სხვაა, რაც აიხსნება რ საუკუნეიანი მანძილით მათ შორის.

იმედია, რომ მკითხველები ყურადღებით შეხვდებიან ჩვენი გამომცემლობის პირველ ცდას და გამოგზავნიან თავიანთ მოსაზრებებს იმ შესწორებათა და გაუმჯობესებათა შესახებ, რომლებსაც ისინი საჭიროდ თვლიან ამავე სერიის შემდეგი გამოცემებისათვის.

აკტორი.

შესავალი

გეოგრაფიული რუკის გეოგრაფია

როდესაც თქვენ გადაშლით გეოგრაფიულ ატლასს, ან შეხედავთ კედელზე მიკრულ რუკას, ცხადია, თქვენ არ გაიფიქრებთ, რომ გეოგრაფიული რუკა ერთბაშად არის შექმნილი, როგორც სახელდახელოდ შეთხზული ორ ტაბლიანი ლექსი.

გეოგრაფიულ რუკასაც აქვს თავისი ისტორია, რომელიც კულტურისა და მეცნიერების გარიჟრაჟის ხანიდან, საუკუნეებს დღემდე მოჰყვა.

ვინ გამოიგონა რუკა? ეს მეტად საინტერესო საკითხია, მაგრამ, სამწუხაროდ მასზედ ნამდვილი პასუხის გაცემა შეუძლებელია. დიდი ხნის წინად ჩინეთში უძველესი მეცნიერები ადგენდნენ აზიის სხვადასხვა ნაწილთა გეგმებს. თუ „დაბადებას“ დაუჯერებთ, გეოგრაფიულ რუკაზედ წარმოდგენა ებრაელებსაც ჰქონიათ 1500 წლით ადრე ჩვენ წელთ აღრიცხვამდე.

ახლოდონ როდოსელი, რომელიც ცხოვრობდა ძველ საბერძნეთში 2200 წლის წინააღმდეგ თავის ხაწერებში აღნიშნავს კოლხეთის (დასავლეთ საქართველოს) მცხოვრებთა შესახებ: „კოლხები არიან შთამომავლები ეგვიპტელი შეომრის — სეზოსტრისისა, რომელმაც შვილის ნაპირებზედ მოაგალი ქალაქი დააფუძნა. კოლხები ხმარობენ თავიანთ წინაპართაგან მიღებულ ფიცრებს.

რომლებზედაც ნაჩვენებია ხმელეთისა და ზღვის საზღვრები, შარა-გზები და ბილიკები“...

ცხადია, რომ აპოლონ როდოსელს ძხედველობაში სწორედ რუკა აქვს. ამგვარად ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გეოგრაფიული რუკის ისტორია შეიცავს სულ ცოტა 20—23 საუკუნის ხანას.

ამ დიდი ხნის განმავლობაში გეოგრაფიულმა რუკამ ზევრი თავგადასავალი გამოიარა, სანამ წარმოიმობოდა კოლხების ფიცრების შთამომავალი -- თანამედროვე გეოგრაფიული ატლასი.

თუ გავსინჯავთ რამდენიმე რუკას, რომლებიც სხვადასხვა დროსაა შედგენილი, ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ შდიდრდებოდა ადამიანის გონება ახალ-ახალი გეოგრაფიული ცნობებით, როგორ ამკარავდებოდა ჩვენი პლანეტის საიდუმლოებანი.

ცხადია, რომ პარველყოფილ ადამიანებს, რომლებისთვისაც თითქმის უცნობი იყო სახვითი ხელოვნება, არავითარი მთლიანი წარმოდგენა არა ჰქონდათ დედამიწაზედ. შესაძლებელია, რომ მათს განუვითარებელ აზროვნებას არ; აინტერესებდა ეს საკითხი და მხოლოდ ისტორიისათვის ხელმისაწვდომ ეპოქებში ცნობისმოყვარეობით აღჭურვილ, კულტურულ ადამიანს მოუნდა სამყაროს შესწავლა.

საბერძნეთას ბრმა მელექსის—ჰომეროსის*) წარმოდგენით, ჩვენი დედამიწა—ბრტყელი თევზისებური ფართობია; აძალღებული ნაპირი ჩრდილოეთით უფრო ამოწეულია, ვიდრე სამხრეთით. წრისებურ ხელეთს ყოველმხრივ გარს აკრავს მსოფლიო ოკეანე. ჰომეროსი ჰყოფდა

* განთქმული ბერძენი პოეტი ჰომეროსი ცხვრობდა მე-9 საუკუნეში ქრ. დაბადებამდე. დასწერა ცნობილი პოემა „ილიადა“ და „ოდისეა“.

დედამიწას ორ ნახევრად; ერთს უწოდებდა დღის მხარეს, მეორეს კი ღამის მხარეს. რაც შეეხება ცას, ჰომიროსის აზრით ესაა გუმბათი, რომელიც დაყრდნობილია მაღალ მთის მწვერვალებზე: დასავლეთით—ატლასზე (ჩრდ. დას. აფრიკა), ხოლო აღმოსავლეთით—კავკასიონის ქედზედ.

მაგრამ ძველს საბერძნეთშივე იყვენ ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც უკვე იმ დროს დედამიწას ბურთისებრივ სხეულადა თვლიდენ. მათ რიცხვს ეკუთვნის არისტარქ სამოსელი, რომელიც ჰალილიზე 18—19 საუკუნით ადრე დედამიწის ბრუნვას ამტკიცებდა, და ერთოსთენი, რომელმაც პირველად მოახდინა დედამიწის სიდიდის გამორკვევის ცდა გრადუსული გაზომვების გზით. მაგრამ მათი მოსაზრებები მაშინ ბევრს არც გაეგებოდა და არც სჯეროდა.

ეს არცაა გასაოცარი, ვინაიდან იმ დროს კულტურული ბერძნებიც კი არ იცნობდენ შორეულ ქვეყნებს, ზღვაოსნობა სათანადოთ განვითარებული არ იყო და ამიტომ ოკეანე მათ უსაზღვრო სივრცედ ეჩვენებოდათ.

თუ რამდენათ ვიწრო წარმოდგენა ჰქონდათ დედამიწის შესახებ უძველეს მოწინავე ხალხებს, ეს შემდეგი მაგალითებიდან მოჩანს.

რომაელებისათვის მთელი „ქვეყნიერება“ განისაზღვრებოდა ხმელთა-შუა ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყნებით: ევროპით, ჩრდილო-აფრიკით და წინა აზიით. მათ არ იცოდენ, რომ არსებობს ირლანდიის და კანარის კუნძულები. ალექსანდრე მაკედონელის (მე-4 საუკ. ქრ. წინ) ვრცელი სამეფო დაახლოვებით იმავე ფარგლებში მდებარეობდა, მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ უფრო

*) მაკედონიის მეფე, რომელმაც მე-4 საუკ. ქრ. წინად დაიპყრო ევროპა და მცირე აზია.

შორს ვრცელდებოდა და აღწევდა ინდოეთს, რომელთანაც უფრო ადრე ფინიკიელ ვაჭრებსაც ჰქონიათ მიმოსლა. რაც შეეხება ჩინეთის უზარმაზარ და მდიდარ სამეფოს, მაკედონელთა მთავარ-სარდალმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა და მოკვდა, დარწმუნებული იმაში, რომ მან მიელი ქვეყნიერება დაიპყრო!

ასეთივე გულუბრყვილო უცოდინარობითაა შედგენილი ვენეციელი*) თავადის, მარინო სანუდოს რუკა, რომელიც დათარიღებულია 1308 წლით. ეს რუკა სანუდომ შეადგინა სპეციალურად ჯვაროსნებისათვის აღმოსავლეთის გზებზე სახელმძღვანელოთ. დედამიწა ძასხედ წარმოდგენილია ბრტყელი წრის სახით, რომელსაც ყოველი მხრიდან ოკეანე აკრავს. წრის შუაგულში ანუ „დედამიწის ჭრამში“ როგორც თვით ავტორი უწოდებს, მოთავსებულია იერუსალიმი და უწმინდესი კუბო. ამ რუკაზედ ხმელთაშუა ზღვა და ინდოეთის ოკეანე უბეებისავით შესჭრილია ხმელეთის მთლიან მასაში. შედარებით სწორედაა მოხაზული ესპანეთი, იტალია, ბალკანეთი და მცირე აზია; კავკასია მეტად დიდათაა გამოყვანილი, ხოლო კასპიის ზღვა საღდაც ჩინეთის საზღვართანაა აღნიშნული. აფრიკა აღმოსავლეთისკენაა მიგრებული. რათა არ დაირღვეს მოსაზრება ხმელეთის წრისებური მოყვანილობის შესახებ. სანუდოს რუკა თავისი კარიკატურული შეცდომებით უტყუარი ანარეკლია იმ გეოგრაფიული მსოფლმხედველობისა, რომელიც ჰქონდათ ევროპელებს გეოგრაფიულ აღმოჩენათა დიად ეპოქამდე.

შორეული ქვეყნების შესწავლა და საზღვაო მოგზაუ-

*) ვენეცია—ქალაქი იტალიაში, ადრიატიკულ ზღვაზე. საშუალო საუკუნეებში ბატონობდა ხმელთა შუა ზღვაზე თავისი მძლავრი ფლოტის მეოხებით.

რობები მეტად გაძლიერდა საშუალო საუკუნეებში, რაც უმთავრესათ გამოწვეული იყო ვაჭრობის განვითარებით.

ევროპიელ ვაჭრებს, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ დაბრკოლებებს და მოგზაურობდნენ შორეულ ქვეყნებში, რა თქმა უნდა, მარტოდენ ცნობისმოყვარეობა კი არ ამოძრავებდა, არამედ მოგების წყურვილიც. შორეულ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქვეყნებში მათ ეგულებოდათ დიდძალი სიმდიდრე, ევროპაში ძვირად ღირებული ნაირ-ნაირი საქონელი, დაწყებული პილპილით, აბრეშუმითა და სპილოს ძვლით, გათავებული ზანგებით, რომლებსაც მონებად ჰყიდოდნენ პორტუგალიელი და ესპანელი ავანტიურისტები.

კოლუმბი, მარკო პოლო, ვასკო დე-გამა უეჭველად ენერგიული და გამბედავი ადამიანები იყვნენ, მაგრამ უბიწო გმირობის შარავანდედი, რომლითაც ისინი წარმოუდგებიან მათი მოგზაურობების აღწერათა მკითხველებს, ყალბია. უმეტეს წილად ასეთ მოგზაურებს სიმდიდრისადმი ხარბი წყურვილი ამოძრავებდა და თუ გამოჩნდებოდა რომელიმე ფანატიკოსი, რომელსაც მხოლოდ ხიფათი და აღმოჩენები იზიდავდა, სულ ერთია, იგი მიზანს ვერ შეისრულებდა, სანამ მას მხარს არ დაუჭირდნენ შეძლებული სოვდაგრები, მძლავრი ფეოდალები, ან თვით მეფე. ხოლო ასეთი „დიდი“ ხალხისაგან დახმარების მიღება ყოველთვის ნიშნავდა გარკვეული დავალების მიღებას, მათდამი სამსახურს.

იოსა ვატი ბარბარო, მდიდარი ვენეციელი სოვდაგარი, ბურჟუაზიის ტიპური წარმომადგენელი, სწერდა: „ამჟამად ჩვენს პლანეტას ყველაზე უფრო მეტად ეცნობიან მეზღვაურები და ვაჭრები“. აქედან ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ გეოგრაფიული აღმოჩენები გამოწვეული იყო პრაქტიკული მისწრაფებებით და არა „წმინდა მეცნიერების“ საღაროს შევსების წყურვილით.

აფრიკის შესწავლაში, მაგალითად, როგორც უკვე აღ-
ვნიშნეთ, დიდი როლი შეასრულა ზანგებით ვაჭრობამ.
1443 წელს პორტუგალიელი ნუნო ტრისტაო მივიდა არ-
გუზის კუნძულებამდე და შეიპყრო რამდენიმე ზანგო-
ერთი წლის შემდეგ აფრიკის ნაპირებისაკენ უკვე მთე-
ლი ფლოტი გაემართა. პორტუგალიეთის გემები თან-
დათან უახლოვდებოდნენ ეკვატორს; მათ უკვე გადააბიჯეს
იმ საზღვარს (კირჩხიბის ტროპიკს), რომლის იქითაც სა-
ბერძნეთის ძველ მეცნიერის, პტოლემეს*) სიტყვით
გახურებული ქვიშის მეტი არაფერი მოიპოვება, ხოლო
მზის მწველი სხივები სპობენ ყოველგვარ მცენარეულობას.

პორტუგალებს მეზღვაურებს ეშინოდათ სამხრეთისაკენ
წასვლისა. სანამ მეზღვაურები წყურვილსა და სიცხეს არ
დაუღუპია, უკან გაბრუნება სჯობს. მაგრამ გემთა კაპიტ-
ნებს და თითოეულ მეზღვაურს წინ მიერეკება გამდიდ-
რების სურვილი, მონებით ვაჭრობის აზარტი**)...

და აი, პორტუგალებმა დაინახეს შორეული ნაპირი,
რომელიც შემოპრილიყო ოკეანეში. ზედ მწვანედ მოჩან-
და ტან-წერწეტი პალმები. მაშ პტოლემე სცდებოდა
თურმე: ტროპიკულ ქვეყნებშიც ყოფილა სიცოცხლე, მცე-
ნარეულობა, ნადირები! ამ აღმოჩენის სახსოვრად მეზ-
ღვაურებმა აფრიკის დასავლეთ ქიშს მწვანე კონცხი უწო-
დეს. ეს მოხდა 1445 წელს. პორტუგალებს მიჰყვენ ესპა-
ნელები, ფრანგები, პოლანდიელები და გერმანელები. ამა-
ვე ხნიდან ფართოდ გაიშალა ვაჭრობა „ინდოეთური ქსო-
ვილის ნაჭრით“, ე. ი. ზანგი მონებით. მონების ჭერა-გა-
ყიდვას ევროპიელი ვაჭრები 400 წლის განმავლობაში
აწარმოებდნენ და სწორედ ამ მომენტისათვის მეოხებით გა-

*) პტოლემე — ძველი ელინეთი ასტრონომი, რომელმაც პირველ-
მა აღმოაჩინა დედამიწის ღერძის რხევის ფაქტი.

***) აზარტი — გატაცება.

შოკვლელულ იქნა ვეებერთელა აფრიკის „შავი კონტინენტი“.

სავაჭრო მიზნებმა შეასრულებინეს მარკო პოლოს შისი უშესანიშნავესი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. რაც შეეხება ქრისტეფორე კოლუმბს, მან თავისი მოგზაურობისათვის აუცილებელი გემები და საღსრები იშოვნა მხოლოდ იმით, რომ თავისი მჭერმეტყველების დახმარებით ესპანეთის მეფეს და დედოფალს მადა გაუხსნა ინდოეთის ზღაპრულ სიმდიდრეებისადმი. ამიტომაც ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ვენეციელ ვაჭარს, იოსაფატ ბარბაროს და ვალიაროთ, რომ შორეული ქვეყნების აღმოჩენა - შესწავლაში ვაჭრობამ უდიდესი როლი შეასრულა.

მაგრამ ნათელია კიდევ ერთი რამ: გეოგრაფიული კვლევა სრულიადაც არ შეადგენდა გარკვეულ მიზანს საშუალო საუკუნეების მოგზაურთა უმრავლესობისათვის. შორეული ქვეყნები და ზღვები ვაჭარს აინტერესებდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იქ მათ შეეძლოთ ხელსაყრელი საქმეების გაკეთება. ამიტომაც იგი მიდიოდა მხოლოდ იქ, საიდანაც იაფი ჯდებოდა საქონლის გამოზიდვა. ამის საუკეთესო მაგალითი იგივე აფრიკაა. მონებით ვაჭრობის ეპოქაში ევროპიელები იცნობდნენ მხოლოდ აფრიკის ნაპირებს, რომლებიც ატლანტიკურ და ინდოეთის ოკეანებს საზღვრავს, ხოლო ამ უზარმაზარი კონტინენტის შუა ნაწილები სრულიად გამოუკვლეველი დარჩა.

„გულივერის მოგზაურობის“ ავტორი, სახელოვანი ჯონათან სვიფტი მაშინდელ გეოგრაფებს შემდეგი სიტყვებით დასცინოდა: „აფრიკის რუკაზედ ცალიერ ადგილებს ისინი ავსებენ ველურების ყოფაცხოვრების სურათებით, ხოლო დაუსახლებელ ადგილებში კი ადამიანების ნაცვლად სპილოებსა ხატავენ“. მართლაც იმ დროინ-

დელ რუკებზე შედარებით ზუსტად იყო გამოყვანილი აფრიკის სანაპირო ზოლი (ჩრდილო აფრიკა, სენეგამბია, ზემო გვინეა), შუაგული კი გეოგრაფების მიერ შეთხზული ნახატებით იყო შემკული, ასე რომ, როდესაც 1761 წელს ბურგინიონ დ'ანვილმა აფრიკის რუკის შესწორების დროს ამოშალა ძველი გეოგრაფების ნათხზავი, რუკის მაგივრად თითქმის ცალიერი ქალაქი დარჩა. აფრიკის დამახინჯებული გარეგანი მოხაზულობის შიგნით აღნიშნული იყო მხოლოდ მდ. ნილოსი და კონგოს, სენეგალისა და ზამბეჯის ქვემო ნაწილები.

მაგრამ დრო მიდიოდა, ევროპაში ძლიერდებოდა კაპიტალიზმი. ეს იყო ბურჟუაზიის აღმაფრენის ხანა, როდესაც გამარჯვების აღამი საბოლოოდ მას დარჩა. ყველა ქვეყნის კაპიტალისტები მიილტვოდნენ ნედლეულის ახალი წყაროებისაკენ, ჯერ გამოუყენებელ ბუნებრივ სიმდიდრეებისაკენ, ახალი ბაზრებისაკენ.

ამ მისწრაფებაში კაპიტალისტებს უფრო მეტი თანაშემწეები ყავდათ, ვიდრე მებომალდე კოლუმბს და აქლემებით მავალს მარკო პოლოს. ეს თანაშემწე იყო იმ დროს უკვე საკმაოდ განვითარებული ტექნიკა.

კოლუმბისა და მონებით მოვაჭრეების ეპოქა გათავდა. ამერიკის მდიდარი მიწაწყალი უკვე გაიყვეს ევროპის სახელმწიფოებმა, ხოლო თვით ამერიკაში თავი წამოყო ადგილობრივმა ბურჟუაზიამ, რომელმაც ხარბად ჩაბლუჭა თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები.

საერთაშორისო ბურჟუაზიის გაძლიერება—ის ბერკეტი იყო, რომელიც აჩქარებდა დედამიწის მიყრუებული კუთხეების შესწავლას და კოლონიზაციას. ევროპაში ამ დროს დაარსდა მთელი რიგი ნახევრად სამეცნიერო, ნახევრად სავაჭრო საზოგადოებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ შორეული ქვეყნების გამოკვლევას, მათთან მიმო-

ხელისა და სავაჭრო კავშირის დამყარებას. ასეთი საზოგადოებები თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნებში ჩნდებოდა, მაგრამ განსაკუთრებით ბლომად მოიპოვებოდა ინგლისში.

დიდი ბრიტანეთი, როგორც კუნძულებზედ მდებარე მჭიდროდ დასახლებული და ცივილიზაციის მაღალ დონეზედ მდგომი სახელმწიფო, ბუნებრივად ახალი მიწების დაპყრობისაკენ მიისწრაფოდა, ხოლო ვინაიდან „უპატრონო“ ქვეყნებამდე ოკეანეების გაცურვა იყო საჭირო. ამიტომაც იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ინგლისი უმძლავრეს საზღვაო სახელმწიფოდ აქცია.

შეიძლება დავასახელოთ ორი ინგლისური საზოგადოება, რომლებიც ხსენებულ ამოცანებს ასრულებდნენ.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ლონდონში მაშინვე დაარსდა „საზოგადოება აფრიკის შინაგანი ქვეყნების აღმოჩენის დასაჩქარებლად“, რომელმაც მე-18 საუკუნის 70-იან წლებში შუა აფრიკაში ექსპედიცია გააგზავნა მუნგო პარკის მეთაურობით. ამის შემდეგ შინაგანი აფრიკის რუკაზე „თეთრი ლაქები“ სწრაფად ამოივსო არა-შხატვრული ნათხზავით, არამედ მანამდე უცნობი მდინარეების, ტბებისა და მთების გამოხატულებით. მუნგო პარკის ექსპედიციამ აღმოაჩინა ნიგერი—„შავი კონტინენტის“ უშველებელი მდინარე, რომელიც გვინეის უბეს შეერთვის, მაგრამ თვით ნიგერის შესართავის ნამდვილი მდებარეობა გამოარკვია ლენდერმა 36 წლის შეზღვევ. ნიგერს მოჰყვა ნილოსი, რომლის სათავეც სპიკმა 1863 წელს იპოვა, ხოლო ლივინგსტონმა და სტენლიმ გამოიკვლიეს აფრიკის ორი სხვა დიდი მდინარე: კონგო და ზამბეზი.

ინგლისელები უყურადღებოდ არც ჩრდილოეთის ქვე-

ნებს სტოვებენ. მაგ., 1553 წელს სეზასტიან კაბო-ტის ინიციატივით, ინგლისელ მოვაჭრეთა „უცნობი მხარეების, სამფლობელოების, კუნძულებისა და ადგილების აღმომჩენელმა საზოგადოებამ“ მოაწყო ექსპედიცია სამი ხომალდით ციმბირის ნაპირებისაკენ, ე. წ. ჩრდილო-აღმოსავლეთის გზის აღმოსაჩენად. ხომალდებმა ჩრდილოეთიდან შემოუარეს სკანდინავეთის ნახევარკუნძულს და მიუახლოვდნენ მურმანის ნაპირს, სადაც ქარიშხალმა განაცალკევა გემები. ორი გემი ყინულების მეოხებით მურმანის ერთ-ერთ უბეში მოემწყვდა, სადაც სიმშვილმა და ყინვამ იმსხვერპლა ორივე ხომალდზე მყოფნი, მათ შორის ექსპედიციის უფროსი ჰიუგ ვილლოუბიცი. მესამე ხომალდმა, რომელსაც კაპიტანი ჩენსლერი მეთაურობდა ქარიშხალის დროს თავი შეაფარა ვარდეს უბეს (ნორვეგეთი); შემდეგ ჩენსლერმა გემი თეთრ ზღვაში შეიყვანა და იქიდან მივიდა მდ. ჩრდილო დვინის შესართავამდე, საიდანაც ხმელეთით გამოემგზავრა მოსკოვში. ჩენსლერის მოგზაურობამ საფუძველი ჩაუყარა რუსეთისა და ინგლისის ვაჭრობას.

არქტიული ქვეყნების შესწავლაში მოწინავე ერები იყვენ ინგლისელები, დანიელები, ჰოლანდიელები, სკანდინავები და რუსები. ჩრდილოეთის ქვეყნებში ისინი ნედლეულს ეძებდნენ და მიისწრაუოდნენ ახალი მიწების მთვისებისაკენ. მეორის მხრივ ინტერესი არქტიკისადმი მეტად ძლიერდებოდა იმიტ, რომ ევროპელებს კანადისა და ციმბირის ჩრდილოეთით ეგულებოდათ უმოკლესი საზღვაო გზები გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარე მდიდარი ქვეყნებისაკენ. „ჩრდილო-დასავლეთისა“ და „ჩრდილო-აღმოსავლეთის“ ექსპედიციების ხანგრძლივად საუკუნეს შეიცავს და თითქმის არც ერთი მოწინავე ევროპული სახელმწიფო მათში მონაწილეობის გა-

რეშე არ დარჩა. მართალია, ტეხნიკის დაბალი დონე ვერ აძლევდა მაშინდელ ექსპედიციებს შესაძლებლობას დაედ-ლიათ არქტიკის ყველა დაბრკოლებები და ამიტომაც ცდები ჩრდილოეთის გზების პოვნისა უშედეგოდ, ხში-რად უბედურებითაც თავდებოდა, — მაგრამ ხსენებულმა ექსპედიციებმა მაინც უზარმაზარი მუშაობა ჩაატარეს. მათის მეოხებით აღმოჩენილ იქნა მრავალი კუნძული, ზღვა და სრუტე.

არქტიკის შესწავლას ხელს უწყობდა ჩრდილოეთის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობაც, მაგ. ვეშაპებზედ ნადირობა და მეთევზეობა. დარჩენილი ცნობების თანა-ხმად სვალბარდი ანუ შპიცბერგენის არქიპელაგა^{*)} ყვე-ლაზედ ადრე რუსმა მეთევზეებმა აღმოაჩინეს. ნორვეგიუ-ლი ექსპედიციის მოგზაურობა გემ „ნორვეგიით“ ანტარ-ქტიკის წყლებში, რომელიც 4-ჯერ განმეორდა და რომელმაც გეოგრაფია გაამდიდრა მრავალი სამეცნიერო ცნო-ბებით სამხრეთი პოლარული სივრცის შესახებ, გამოწვეუ-ლი იყო საქმიანი ინტერესით. ერთ-ერთ უდიდეს ნორვე-გიელ კაპიტალისტს კრისტიანსენს, რომელმაც გა-მოიღო ამ ექსპედიციებისათვის საჭირო თანხა, სურდა გა-მოერკვია ვეშაპზე ნადირობის შესაძლებლობები სამხრე-თის ცივ ზღვებში. ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ არქტი-კის კვლევაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა საერთაშორისო ბურ-ჟუაზიის ზრდას.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ჩამოყალიბ-და თანამედროვე გეოგრაფიული წარმოდგენა დედამიწა-ზე ხმელეთისა და ზღვის განაწილებაზე, ჰავის სარტ-ყელებზედ, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიურ შესაძლებ-

^{*)} შპიცბერგენის კუნძულები ანუ არქიპელაგა მდებარეობს ევ-როპის ჩრდილოეთით, ჩრდილო სიგანედის 80 გრადუსზედ.

ლობებზედ. ვაჭრების და ფერმერების ლაშქარი გაეშურა შორეული ქვეყნებისაკენ ბედისა და ქონების საძებნელად. ტროპიკული ქვეყნებისა და კუნძულების კოლონიზაციას*) გზას უკაფავდენ მისიონერები, რომლებიც „ველურებს“ ქრისტიანობას უქადაგებდენ და ამავე დროს ამზადებდენ მათ იმპერიალიზმის უღლისათვის. მისიონერს ყოველთვის მისდევდა ვაჭარი და პლანტატორი, ხოლო მათ—თამბაქო, ალკოჰოლი და გადაღლები სნეულებები. ევროპიელების დაფუძნება რომელიმე კუნძულზედ ამ უკანასკნელის მკვიდრთათვის მოსპობას და გადაგვარებას ნიშნავდა. ამის საუცხოვო მაგალითია ავსტრალია, სადაც ინგლისურმა „ცივილიზაციამ“ თითქმის გააჩანაგა ადგილობრივი მოსახლეობა.

ამავე დროს მე-19-ე საუკუნე არის გეოგრაფიული ცოდნის გაღრმავების ხანა. შებლვაურების, ვაჭრების, ავანტიურისტებისა და გამბედავი მოგზაურების მიერ გატყევილი გზებით შორეული ქვეყნებისაკენ მიდიან მეცნიერები: გეოგრაფები, გეოლოგები, ნატურალისტები, კლიმატოლოგები. ქვეყნების შესწავლაში იჭრება მეცნიერული ანალიზი, რომელიც ეძებს მოვლენების კანონზომიერებას, მათს ვახმარტებას, ხოლო თავის მხრივ ამ ბუნებრივი მოვლენების შესწავლა აჩენს და ანვითარებს მეცნიერების მთელ რიგ დარგებს. ალექსანდრე ჰუმბოლდტი, შარლზ დარვინი, რიხტჰოფენი, ფონ-ბუხი და მრავალი სხვა სწავლული მოგზაური ეხლა უკვი ალარკმაყოფილდება ქვეყნების ზერელე მიმოხილვით, მდინარეებისა და მთების ჩამოთვლით. დარვინის მოგზაურობა ახალი აზრები შემოიტანა ორგანიული სამყაროს ცოდნა-

*) კოლონიზაცია—მიყრუებული ქვეყნის დასახლება უფრო კულტურული ქვეყნიდან გადმოსახლებული ხალხით.

ში! ჰუმბოლდტისა და რიხტჰოფენის დაკვირვებებმა ხელი შეუწყეს გეოლოგიის გადაქცევას ერთერთ უდიდეს მეცნიერების დარგად. მაგრამ კაცობრიობა არც ეხლა ივიწყებს ახალი აღმოჩენების შესაძლებლობას; მოგზაურები—გეოგრაფიული კვლევის პიონერები ისევ მიეშურებიან უცნობი ადგილებისაკენ—კუნძულებზედ, კონტინენტების სიღრმეში, მიუდგომელ მთიან ქვეყნებში. მგ-19-ე საუკუნემ მოგვცა მთელი პლეადა მეცნიერების პიონერებისა: აზიაში სვენ ჰედინი, პრევეალსკი, კოზლოვი; პოლარულ ქვეყნებში ნორდენ შელი, ნანსენი, შეკლტონი; მთიან მხარეებში უიმპერი, ფრეშფელდი, მერცბახერი და მრავალი სხვა გამბედავი მოგზაური.

ყველა მოგზაურისა და მათი გეოგრაფიული აღმოჩენების ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანს და ამას ჩვენი წიგნიც ვერ ეყოფა. ამიტომაც დავკმაყოფილდეთ ზემოდ თქმულით და შევეხოთ გეოგრაფიული რუკის განვითარების თანამედროვე სტადიას.

თანამედროვე გეოგრაფიული რუკა ისევე ცოტათი ჰგავს პტოლემეს და საშუალო საუკუნეების გეოგრაფთა რუკებს, როგორც, მაგ., თანამედროვე დირიჟაბლი—პირველ აეროსტატს. თვით ტექნიკა რუკების დახაზვისა გაუმჯობესდა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის გინვითარების მეოხებით.

რას გვიამბობს დედამიწის რაობისა და სახის შესახებ ეხლანდელი გეოგრაფიული რუკა, ან გლობუსი?

ისინი გვიამბობენ:

ჩვენს პლანეტას აქვს მრგვალი მოყვანილობა. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი ბურთი, ანუ სფერო. დედამიწას აქვს ეგრედწოდებული ბრუნვის ელექსოიდი.

ფორმა, ე. ი. პოლიუსებთან უფრო ჩაზნექილია, ხოლო ეკვატორის გასწვრივ—გამობერილი.

ეკვატორის რადიუსის სიგრძე 6.377 კილომეტრს უდრის, ხოლო პოლიუსების შემაერთებელი ღერძის ნახევარი ამ სიდიდეს $\frac{1}{300}$ -ით ნაკლებია. ეკვატორის სიგრძე 40.000 კილომეტრს უდრის. დედამიწის ზედაპირის ფართობი ეთანასწორება 510 მილიონ კვადრ. კილომეტრს.

ხმელეთს დედამიწის ზედაპირზედ უკავია მთელი ფართობის 29 პროცენტი, ე. ი. დაახლ. 150 მილიონი კვადრატული კილომეტრი. ეს სიდიდე კონტინენტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

	კვადრ. კილ.	%%
აზია	41.580.000	28
ევროპა	10.000.000	6,5
აფრიკა	30.000.000	20
ავსტრალია	7.628.000	5
ჩრდილ. ამერიკა	24.070.000	16
სამხრ. ამერიკა	19.000.000	12,5
ანტარქტიდა	14.000.000	8,5

ძველი გეოგრაფები და მოგზაურები რომ გაცოცხლდნ და თანამედროვე მსოფლიო რუკებს დახედონ, მათს გაოცებას საზღვარი არ ექნება.

მაგალითად, კოლუმბი დარწმუნდება, რომ მას ინდოეთის გზა არ აღმოუჩენია, მაგრამ ღვაწლი მაინც მიუძღვის და უფრო დიდი ღვაწლი, ვიდრე მას მიზნად ჰქონ-

და დასახული. მან აღმოაჩინა ამერიკა. ვასკო დე-გამა სი-
ნანულით დაათვალიერებს სუეცის არხს, მაგრამ თავს იმით
ინუგეშებს, რომ მაშინ ეს არხი არ იყო გათხრილი და
ამიტომაც მისი მოგზაურობა აფრიკის გარშემო კაცობ-
რიობისათვის უსარგებლო არ გამოდგა. ალექსანდრე მა-
კედონელი მიხვდება, რომ იგი სრულიადაც არ მისულა
მსოფლიოს მიჯნამდე, როგორც მას ეგონა. პტოლემე უარს
იტყვის იმ უარყოფითს აზრებზე, რომლებსაც იგი ტრო-
პიკული ქვეყნების შესახებ გამოსთქვამდა. რაც შეეხება
სვიფტის მიერ მასხარად აღდებულ აფრიკის გეოგრაფებს,
ისინი დაგვეთანხმებიან უთუოდ, რომ თანამედროვე რუკა-
გაცილებით უფრო ზუსტი და სრულია, ვიდრე მათი ნა-
ხატები.

მაშ ასე! ადამიანმა შეისწავლა დედამიწა. თუ დღეს
ჩვენ, ჩვენს ოთახში აუღელვებლად ვფურცლავთ გეოგრა-
ფიულ ატლასს, ინტერესით ვათვალიერებთ არქტიკის რუ-
კას და ვეძებთ აზიის რუკაზედ ტიბეტის დედაქალაქს, ეს
იმიტომ ხდება, რომ იყვენ მამაცი ადამიანები, რომლებ-
მაც სიძნელეები გადალახეს და შეისწავლეს შორეული
მთა-ბარი...

მაგრამ შესცდება ვინც გაიფიქრებს, რომ აღმოჩენე-
ბის წყურვილს ამჟამად არავითარი გასაქანი აღარა აქვს
დედამიწაზედ ჯერ კიდევ ბევრი ადგილება შესასწავლი.
ჩვენი სახელოვანი არქტიულე მკვლევარები ყოველწლიუ-
რად ახალ-ახალ მიწებს პოულობენ საბჭოთა ჩრდილოეთ-
ში, რუკას ამდიდრებენ დღემდე უცნობი კუნძულებით,
სრუტეებით, მთებითა და მდინარეებით. მხოლოდ დღეს-
იწყება ყარა-ყუმის უდაბნოს ზოგიერთი ნაწილების გამო-
კვლევა და ჩუკოტის ნახევარ-კუნძულის გადაღება.

ერთერთმა თანამედროვე გერმანელმა მეცნიერმა შეა-
ჯამა გეოგრაფიული ცოდნა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა

კუთხეების შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბევრი ქვეყნები ჯერ კიდევ ელიან მოგზაურებს.

მარტოოდენ ანტარქტიკაში გამოსაკვლევიან 5.122.000 კვადრატური კილომეტრი, ე. ი. ისეთი ფართობი, რომელიც სამჯერ აღემატება შეერთებული შტატების მიწა-წყალს. ანტარქტიდის ხმელეთის ნაპირს აქვს 14.000 კილომეტრის სიგრძე, მაგრამ ადამიანს აქედან მხოლოდ 5.000 კილომეტრი დაუნახავს. ცოტად თუ ბევრად შესწავლილია შეკლტონის მიერ ანტარქტიდის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ახლოსაა ავსტრალიასთან. ცნობილი ინგლისელი მეცნიერის დუგლას მეზონის აზრით სამხრეთ პოლარულ ზღვებში ჯერ კიდევ ბევრი კუნძულებია აღმოსაჩენი და შესასწავლი.

არქტიკაში გამოუკვლეველია ის მხარე, რომელიც მდებარეობს კანადის ჩრდილოეთით: ჰუდზონის უბის გარშემო მდინარე იუკონისა და ფრეზერის ნაპირები და გრენლანდია. მკაცრი ეკონომიური კრიზისის მეოხებით კანადის მთავრობას აღარ შეუძლია ჩრდილოეთში სამეცნიერო ექსპედიციების გაგზავნა. ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი დრო გავა, სანამ კაცობრიობა არქტიკის ამერიკულ სექტორს გაიცნობდეს?!

ძალიან ცუდათ არის შესწავლილი ავსტრალია; ამ კონტინენტის შუა ნაწილში მთელი უდაბნოები, მინდვრები და მთები ჯერ ისევ გამოცანას წარმოადგენენ.

ახალი გვინეა, ფილიპინის არქიპელაგის სამხრეთ ნაწილი, მალაროს ზოგიერთი მცირე კუნძულები, შუა ბრაზილია, პერუს და ჩილის კუთხეები, ესაა ის მიყრუებული და უღრანი ტროპიკული ტყით მოსილი ქვეყნები, სადაც ჯერ არ დადგმულა მოგზაურისა და მეცნიერის ფეხი. იგივე ითქმის ინდო-ჩინეთისა და ცეილონის ტყეების, მონღოლეთის უდაბნოების, ჰიმალაის და აზიის სხვა თოვლიანი მთაგორეხილების შესახებ.

როგორცა ვხედავთ, თავისი უპირატესობების მიუხედავად, არც თანამედროვე გეოგრაფიული რუკაა უნაკლო. მასზედ ჯერ კიდევ თეთრ ლაქებად მოჩანს გამოუკვლეველი ადგილები.

გაივლის რამდენიმე ათეული წელი, შეიძლება საუკუნეც და ეს თეთრი ლაქები ამოივსება. ამოივსება თანამედროვე ტექნიკის: თვითმფრინავის, ყინულისმჭრელის, ავტომობილის დახმარებით.

მაგრამ ვერასრულა ვერ ამოივსება ადამიანის ნდობა თავისი ცოდნის გამდიდრებისადმი. ბუნების შესწავლა იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კაცობრიობა და გეოგრაფიული რუკაც განაგრძობს შევსებას, გაზუსტებას, განვითარებას.

მ ა რ კ ი პ ო ლ ი

ჩინეთის იმპერიის ენეციკლი სტუმარი

ჩუსტიჩიანო პიზანელის წიგნი

როგორ მოაღწია ჩვენამდე მარკო პოლოს მოგზაურობის აღწერილობამ?! მარკო პოლო ცხოვრობდა მე-13 საუკუნეში, ე. ი. დაახლოებით 700 წლის წინად. ცხადია, რომ მისი ნაამბობის ჩვენამდე მოტანა შეეძლო მხოლოდ წერილობითს ნაშრომს, ხოლო თვით მარკო პოლოს, თავისი საინტერესო მოგზაურობის შესახებ არაფერი დაუწერია.

მაგრამ ერთმა მოულოდნელმა, შემთხვევამ ხელი შეუწყო უაღრესად საყურადღებო და ძვირფასი ხელნაწერის შექმნას, რომლის დამწერი არის რუსტიჩიანო პიზანელი.

ქალაქ გენუაში (იტალია) დღემდე შენახულა წმინდა გიორგის პალაცო *), რომელიც თავისი სიდიადით საშუალო საუკუნეების ერთერთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს. ექვსი ტანწერწეტი სვეტის თავზედ ამართულა უზარმაზარი ქვის კედელი, რომელიც ზემოდან დაკბილულია და ციხეს მოგაგონებთ. ამ სახლში XIII საუკუნეში იმყოფებოდა ქ. გენუის „კაპიტანო დელ პოპოლო“-ს რეზიდენცია.

*) პალაცო—გვირგვინოსანთა, ან წარჩინებულ პირთა და მდიდართა სასახლე (იტალ.).

ეს სახლი ერთ დროს მართლაც ციხე იყო. არა ერთს სახელმწიფო დამნაშავეს გაუტარებია მისი მძიმე თაღების ქვეშ უსიხარულო დღეები! 1284 წელს, შემოდგომაზე, ამ საპრობილეში შეჰყარეს ომში დატყვევებული პიზანელები *), რომლებიდანაც ზოგიერთმა 15 წელი გაატარა ციხეში. მძიმე პირობებში მოქცეულმა პატიმრებმა, ვერ აიტანეს გაჭირვება და ყოველდღე 30—40 დაღუპულ ტუსაღს ზღვაში ჰყრიდნენ, ხოლო ვინაიდან ომი ქპიზასა და გენუას შორის არ ძავდებოდა, ამიტომაც ყველა ბედშავ ტყვეებს სიკვდილი მოელოდა.

იმ ტუსაღების შორის, რომლებმაც გაუძლეს საპრობილის საშინელ პირობებს, იყო პიზანელი რუსტიჩელი, რომელსაც უწოდებდნენ აგრეთვე რუსტიჩანოს. ხანკირუსტიჩიანოს. მისი ხელობა—კალმოსნობა იყო და არა ხმალი. მას ეხერხებოდა ძველი პოემების თხრობა, მეფე არტურის, ჯადოსან მერლინის, სერ ლანჩელოტის და სხვა ლეგენდარული გმირების შესახებ. თავისი ენაწყლიანობის მეოხებით იგი ართობდა კეთილშობილ პირებს და მოუთხრობდა მათ ნაირ-ნაირ ამბებს. როგორცა ჩანს, რუსტიჩიანო სიცილიის მეფის კარზე საკმაოდ მიიღებული და განებივრებული მწერალი იყო, ვინაიდან იგი თავისუფლად სარგებლობდა სიცილიის სამეფო წიგნთსაცავით. ამ წიგნთსაცავში შენახულ ძვირფას ხელნაწერებს იგი ხმარობდა თავისი მოკლე და გაურანდავი მოთხრობების საწერად, რომლებიც, შიუხედავად ამისა, ფართოდ ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით, ხოლო შემდეგში ტიპოგრაფიულ მანქანებზედაც მოხვდა.

რუსტიჩიანო თუმცა იტალიელი იყო, მაგრამ ფრანგულად სწერდა. იმ დროს ფრანგული ენა, მისი სიტლან-

*) ქალაქ პიზაჲ მცხოვრებნი.

ქის მიუხედავად, უკვე ბევრგან მიღებული იყო, განსაკუთრებით კი მოხეტიალე რაინდთა წრეებში. მათის აზრით „ცაშიც კი თვით ანგელოსებს ფრანგული ენა უკვარდათ“. ცხადია, რომ რუსტიჩიანო პიზანელი, რომელიც თავის ნაწარმოებებს უმთავრესად რაინდებსა და მეფის კართან ახლოს მდგომ დიდკაცებს უკითხავდა, სწორდა სწორედ ამ ენაზედ.

და აი, ეს რუსტიჩიანო 15 წლის განმავლობაში ტუსალად იჯდა გენუის საპყრობილეში.

1298 წელს გენუელთა გემებმა საზღვაო შეტაკების დროს ხელახლად გაიმარჯვეს. ეხლა დამარცხებულნი პიზანელები კი არ იყვნენ, არამედ ვენეციელები. გენუელებმა ლამბა დორიას მეთაურობით ხელში ჩაიგდეს ვენეციის გალერები *) და გამორევეს მრავალი ტყვე. მაჩორის იყო ვენეციის წარჩინებული და პატივცემული მოქალაქე, ერთერთი გალერის უფროსი („სოპრაკომიტი“) მარკო პოლო, რომელსაც ამ დროს უკვე მთელი იტალია იცნობდა როგორც შორეულ ჩინეთში ნამყოფ მოგზაურს. იგი სხვა ვენეციელებთან ერთად წმ. გიორგის პალაცოში დაამწყვდიეს.

საპყრობილეში, უსაქმურობის გამო, მარკო პოლო ხშირად უამბობდა თავის მოულოდნელ ამხანაგებს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. მრავალი გენუელი ვაჭარი მოდიოდა ხოლმე ციხეში, რომ ყური დაეგდო მარკო პოლოსათვის, ვინაიდან წინდახედულ გეგმეებს უკვე გაეგონათ აზიის ზღაპრული სიმდიდრეების შესახებ. მარკო პოლომ ისარგებლა რუსტიჩიანო პიზანელის იქ ყოფნით და გადასწყვიტა თავისი შთაბეჭდილებების ქალაქზედ გადატანა. მარკო პოლოს მიერ ნა-

*) გალერა - საშუალო საუკუნეების დიდი ნავი, რომელიც ნიჩბების მოსმით მიჰყავდათ მონებს.

კარნახევი ამბებისაგან სარაინდო რომანების ავტორმა, რუსტიჩიანომ მთელი წიგნი შეადგინა. ეს წიგნი თავისი ღირებულებით, რა თქმა უნდა, გაცილებით აღემატებოდა ყველაფერს, რაც რუსტიჩიანოს მანამდე დაეწერა. 1299 წელს, როდესაც ვენეციამ და გენუამ ზავი შეკერეს, მარკო პოლო თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ციხიდან მან თან წაიღო რუსტიჩიანოს ჩანაწერების ასლი, ხოლო თვით ხელნაწერის დედანი, როგორც ფიქრობენ, პიზანელ მწერალს დარჩა.

ყველა ნაწარმოები, რომლებიც 7 საუკუნის განმავლობაში დაბეჭდილა მარკო პოლოს მოგზაურობის შესახებ, ემყარება სწოლედ რუსტიჩიანოს ხელნაწერის ამ ორ ვარიანტს. პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამჟამად ინახება ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს ასლს, გადმოღებულს თვით რუსტიჩიანოს ნაწერიდან. ხელნაწერის წინასიტყვაობაში პიზანელი მწერალი მიმართავს ნკითხველს:

„მფლობელნო და იმპერატორებო, მეფეებო, ჰერცოგებო და მარკიზებო, გრაფებო, რაინდებო და მოქალაქენო, და ყველა, ვისაც გსურთ ისმინოთ ამბავი სხვადასხვა ხალხზე, ქვეყნიერების მრავალფეროვნებაზე,—აიღეთ ეს წიგნი და ვინმეს უბრძანეთ მისი წაკითხვა; თქვენ აქ იპოვით არაჩვეულებრივ საკვირველებებს და ნაირ-ნაირ მოთხრობებს დიად არმენიაზედ, სპარსეთზედ; თათრების, ინდოეთის და მრავალი სხვა ქვეყნის შესახებ; ყველაფერს ამას ჩვენი წიგნი გიამბობთ გარკვევით, დალაგებით.—იმნაირად, როგორც მარკო პოლო, ვენეციის ბრძენი და კეთილშობილი მოქალაქე მოგვითხრობდა, რაც ნახა საკუთარი თვალით, და რაც არ უნახავს, მაგრამ გაუგონია სანდობი და მართალი ხალხისაგან“.

რუსტიჩიანო პიზანელი, რა თქმა უნდა, ვერ გაითვალისწინებდა, რომ მის ნაწერს წაიკითხავდენ არა მარტო მეფეები და ჰერცოგები, მფლობელნი და რაინდები, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობა; რომ მისი წიგნის


პირველი ნაბეჭდი გამოცემა, 1477 წელშივე მოედებოდა სხვადასხვა ქვეყნებს და მარკო პოლოს ნაამბობი რაძღენიმე ათეულ ენაზედ გადითარგმნებოდა!

ცხადია, რუსტიჩიანოს ღვაწლი მეტად დიდია. მისი ნაჩუშვეარი შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნროთ დიადი მოგზაურობის მარშრუტს ახიის უშველებელ კონტინენტზე, აღვადგინოთ ის, რაც იყო ამ 700 წლის წინად და შევისწავლოთ თვით მარკო პოლოს ცხოვრება.

სუბილანი-ჟანის ევროპიელი სტუმრები

სანამ ვენეციელი მოგზაურის ცხოვრებას აღვწერდეთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვით მაინც შევეხოთ იმ ხანას, რომელშიც იგი ცხოვრობდა.

მე-13-ე საუკუნის დასაწყისამდე, ევროპაში ექვიც არავის ებადებოდა, რომ მსოფლიოს აღმოსავლეთ ნაპირზე (ცხადია, აქ მსოფლიო იგულისხმება მაშინდელი გაგებით, როგორც ეხატა, მაგალითად, მარინო სანუდოს რუკაზედ) ამავე საუკუნის ოციან წლებში თავს წამოსწევდა მრავალრიცხოვანი მეჯოგე ერი, ევროპისათვის უცნობი და შორეული. მაგრამ ეს ასე მოხდა. სადღაც, აზიის უდაბნოებსა და ბალახოვან ველებში გაძლიერდენ მონღოლები, რომლებიც აქამდე მწყემსებისა და მონადირეების ცხოვრებას მისდევდენ. 1241 წელს ახალი სამეფო იძენად გაძლიერდა, რომ მომთაბარე მონღოლებმა გაბედეს ჩინეთის „წინდა იმპერიაზედ“ თავდასხმა. მაგრამ ისინი არ დაკმაყოფილდენ სამხრეთი ქვეყნებით; მონღოლთა ურდოები ზევივით გამოეჭანა დასავლეთისაკენ. აზიელმა მეჯოგეებმა აიკლეს კიევისა და სუზდალის რუსეთი, შეიჭრენ პოლონეთში და დაეუფლენ კავკასიას. შათ დასწევს ქალაქები: კრაკოვი, სანდომირი, ბრესლავლი და ქალაქ ლიგნიცთან



სამშუალო საუკუნეებში მომთაბარე მონღოლები ხშირად იცვლიდენ ადგილ-სამ-
ყუფელს. მათ ჰქონდათ ბორბლებზე შედგმული სახლები—„იურტები“, რომე-
ბიც ხარების საშუალებით გადაჰქონდათ უზარმაზარ მანძილზედ.

სასტიკად დაამარცხეს სილეზიის ჯარი, რომელსაც ჰენრიხ ლეთიამ მოსავი მიუძღვოდა. ამის შემდეგ მონღოლები ჰუნგრეთს დაეტაკენ, დაამარცხეს აქაური ლაშქარი და გაიარეს მთელი ქვეყანა ადრიატიკის ზღვამდე.

მონღოლების შემოჭრამ ევროპის ერებს თავზარი დასცა. მათ მონღოლები ველურ, ჭუჭყიან და გამხეცებულ ხალხად მიაჩნდათ, რომელიც თითქოს მთელი კაცობრიობის კულტურას დაღუპვით ემუქრებოდა.

საფრანგეთის მეფემ, ლიუდოვიკო IX-მ ერთხელ შენიშნა მონღოლების შესახებ:

„თუ ისინი ჩვენამდესაც მოვლენ, მაშინ ან ჩვენ გავრეკავთ მათ სათათრეთში*), ან ისინი გაგვგზავნიან ცაში!“

მაგრამ საქმე არც ისე ცუდათ იყო, როგორც ევროპელებს თავდაპირველათ ეგონათ. მონღოლებმა დასცალეს ჰუნგრეთი, პოლონეთი და დაიწიეს აღმოსავლეთისაკენ. ამის შემდეგ გამოიკვა, რომ უშუალო დაღუპვის ხიფათი ევროპას არ მოეღის, მაგრამ მას გაუჩნდა ახალი შეზობელი — მძლავრი და სახიფათო სახელმწიფო.

ეს სახელმწიფო, ანუ მონღოლების იმპერია იმ დროს მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო იყო. ჩინგის-ყენის მიერ დაარსებული სამეფო 1260 წელს ვრცელდებოდა მდ. ჰუან-ჰედან (ჩინეთი) აღმოსავლეთ ციმბირის ტაიგამდის და იაპონიის ზღვის ნაპირიდან — პოლონეთამდის. ამგვარად მონღოლების იმპერია შეიცავდა ევროპიულ რუსეთს და აზიის თითქმის მთელ დასახლებულ ნაწილს გარდა სამხრეთი ქვეყნებისა (სამხრ. ჩინეთი, ინდო-ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთი და სირია).

ასეთს ვეებერთელა ქვეყანაში, თავისთავად ცხადია,

*) მაშინ ევროპაში მონღოლებს, იავეე როგორც მაჰმადიან ერებს „თათრებს“ უწოდებდნენ.

შეუძლებელი იყო ერთმართველობა და ამიტომაც მონ-
ლოღეთის იმპერიას რამდენიმე თვითმპყრობელი ანუ მე-
ფე განაგებდა. საკუთრივ „დიდი ხანის“ სამფლობელო
შეიცავდა მანჯურიას, კორეას, ჩრდილო ჩინეთს, მონლო-
ღეთის უდიდეს ნაწილს, ტიბეტს და ჩინური თურანის
მხარის ნახევარს. საზღვრებს წარმოადგენდენ: აზიის აღ-
მოსავლეთი სანაპირო, ჩინეთის კედლის დასავლეთი ბო-
ლო, თარიმის ველები და ჰიმალაის მთაგრეხილი. რაც შე-
ეხება ციმბირს, ევროპიულ რუსეთს და კავკასიას, ისინი
სხვა ყაენებს ემორჩილებოდნენ.

როდესაც ევროპაში გაიფანტა მონღოლების გაძლი-
ერებით გამოწვეული ძრწოლა, სასულიერო და სამოქა-
ლაქო მოღვაწეებმა დაიწყეს მსჯელობა შექმნილი მდგო-
მარეობის შესახებ:

„მართალია, თათრები „ბინძური“ და წარმართები
არიან, მაგრამ გამოცდილებით ცნობილია, რომ წარმარ-
თების დაყენება ჭეშმარიტი რწმენის გზაზედ უფრო აღ-
ვილია, ვიდრე ურწმუნო მაჰმადიანებისა. იქნება ქრისტეს
მოძღვრებამ გაიმარჯვოს და სძლიოს მონღოლების სიბ-
ნელე?! ცდა ბედის მონახევრეა“.


ამასთან ერთად, იტალიელმა ვაჭრებმა მალე გაიგეს
არაბებისა და სომხებისაგან, რომ ევროპელების წარ-
ოდგენა მონღოლების „მხეცობაზედ“ ძალიან გადაჭარბე-
ბულია, რომ მონღოლები, სადაც კი დამყარდება მათი
ძალა-უფლება, იცავენ წესიერებას, გაჰყავთ გზები და ძა-
ლიან აფასებენ ძვირფას თვლიან ლამაზ სამკაულებს. ამის
შემდეგ ევროპიელ ვაჭრებს დაებადათ აზრი მონღოლებ-
თან სავაჭრო ურთიერთობის გაბმისა, და არა მხოლოდ
აზრი, წინდახედულ ვაჭრებს ბევრი ხანი არ დასჭირებიათ
საქმის დასაწყებად.

1245 წელს რომის პაპის ლეგატი ჯოვანი პლანო გაემგზავრა ქ. ლონდონიდან, ფირმანებით აღჭურვილი, მონღოლთა იმპერატორის ადგილ-სამყოფელისაკენ. რამდენიმე წლის შემდეგ კათოლიკეთა მეორე ბერმა, გილიოშ რუბრუკისმა, რომელიც ლიუდოვიკო IX-ს აგენტის მოვალეობას ასრულებდა, გაიარა ყარა-ყორუმის მთები, მაგრამ მისიონერული ზეკავლენის ეს ორივე ცდა უნაყოფოდ დამთავრდა. მონღოლთა ყაენებმა ვერაფერი ვერ გაიგეს პაპის და მეფის მოციქულთა ქადაგებიდან, ლოცვიდან და საცეცხლურის ქნევიდან, ევროპის მფლობელთა დესპანებს აზიის ბატონები მკვახედ და ამაყად შეხვდნენ. მაგალითად, მუნკე-ყაენმა ბერ რუბრუკის გაატანა ლიუდოვიკო IX-სთან წერილი, რომელშიც აცხადებდა საფრანგეთის გვირგვინოსან მეფეს თავის ქვეშევრდომად!! ასე ჩაიფუშა მონღოლთა სწრაფად „მორჯულების“ პირველი გეგმები. მაგრამ ამ გარემოებამ არ იმოქმედა ევროპიელ ვაჭართა აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებაზედ.

ერთ ერთი ადგილი, სადაც მონღოლები და ლათინური ქვეყნების წარძმოდგებლები თავისი საქმიანობის დროს ერთმანეთს ხვდებოდნენ, რყო ყირიმის ნახევარ კუნძულის ერთ-ერთი ნავთსადგური—სოლდაია (თანამედროვე სუდაკი). მაშინ ეს ქალაქი თათრებს ემორჩილებოდა და ხარკს აძლევდა ყივჩაღთა ყაენებს.

სუდაკში ბევრი ვენეციელი ვაჭარი ცხოვრობდა. წერილობითი ძეგლების გარდა როგორიცაა, მაგალითად, არაბ მოგზაურის იბნ-ბათუთას ნაწერები, ამას მოწმობენ ყირიმის ნაპირზე შენახული იტალიური სახლებისა და კოშკების ნანგრევები. ვენეციელები ყიდულობდნენ ყირიმის მიწაზედ მამულსა და სახლკარს, ვინაიდან შავი ზღვის ნაპირებზედ საქმიანობა მათთვის შემოსავლის მძლავრ წყაროს წარმოადგენდა.

ჩვენი მოგზაურის ბიძასაც, რომელიც აგრეთვე მარკო პოლოდ იწოდებოდა, სუდაკში ჰქონდა საკუთარი სახლი, რაც დადასტურებულია შენახულ საბუთებში. 1260 წელს მან გაგზავნა თავისი უმცროსი ძმები მათე და ნიკოლოზი ყირიმში, თლილი ძვირფასი ქვებით სავაჭროდ. მათ შესახებ უმცროსი მარკო პოლო, ჩვენი მოგზაური, სწერს,



სოლდაიას ციხე-სიმაგრე (თანამედროვე სუდაკი)

რომ ისინი მოხერხებული, ჭკვიანი და კეთილშობილი ვაჭრები იყვნენ. მათ არც მისიონერული მოღვაწეობა აინტერესებდათ და არც სამეცნიერო კვლევა-ძიება. მოგება—აი, რა შეადგებდა მათს მიზანს, რომელსაც ისინი მზად იყვნენ ცხრა მთის გადაღმა გაჰყოლოდნენ.

სუდაკში ძმებმა რამდენიმე თვე იცხოვრეს და გადას-
წყვიტეს უფრო შორს, აღმოსავლეთისკენ გამგზავრება
დაახლოვებით იმ გზით, რომლითაც 7 წლის წინად გაი-
არა გილიომ რუბრუკვისმა, თანამედროვე უკრაინის სამ-
ხრეთ ნაწილზე გავლით მათე და ნიკოლოზი მივიდნენ ყივ-
ჩალების ყაენ ბერქასთან. ამ ყაენის სატახტო ქალა-
ქი მდებარეობდა ეხლანდელი ასტრახანის და ყაზანის მახ-
ლობლად.

ბერქა ყაენმა ვენეციელი სტუმრები გულუხვად და კე-
თილი ნდობით მიიღო. ნიკოლოზმა და მათემ მიართვეს
მას თან მიტანილი განძეული, რომლის ღირებულებაც
ყივჩალთა მეფემ ერთი-ორად გადაუხადა. ძმებმა სრული
ერთი წელი გაატარეს ბერქა-ყაენთან და ბევრი მოგებაც
ნახეს, მაგრამ შემდეგ ბერქა-ყაენს შეებრძოლა ჩინგიზ-ყა-
ენის მეორე შთამომავალი — ხულაგუ, რომელმაც განა-
მტკიცა სპარსეთში მონღოლების ძალა-უფლება, ატყდა
შიხაგანი კიხკლაობა და ომიანობა; ხულაგუმ დაამარცხა
ვენეციელების პატივისმცემელი და მფარველი ბერქა-ყაენი
და ამიტომაც ნიკოლოზი და მათე იძულებული გახ-
დნენ ყივჩალთა დედა-ქალაქი დაეტოვებინათ.

შავი ზღვისკენ დაბრუნება მათ საზიფათოდ სცნეს და
გამგზავრენ შუა აზიის უცნობი ქვეყნებისაკენ იმ იმედით,
რომ იქიდან სხვა გზით დაბრუნდებოდნენ იტალიაში.

ყივჩალეთიდან ძმები გამგზავრენ აღმოსავლეთისკენ,
გადავიდნენ მდ. ვოლგაზე, გაუხვიეს სამხრეთით და ქ. ბუ-
ხარაში ბორაქ-ყაენთან მივიდნენ. აქ მათ სამი წელი იც-
ხოვრეს და საუცხოვოთ შეითვისეს თათრული ენა. მონ-
ღოლები მათ ხელს არ უშლიდნენ ვაჭორბაში. მაგრამ სა-
მი წლის შემდეგ პოლოებს მოენატრათ ახალი ქვეყნების
ნახვა, მოუნდათ აღმოსავლეთისაკენ კიდევ უფრო შორს
წასვლა. ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ვენეციელებს
ხელი შეუწყო. ამ სურვილის განხორციელებაში.

1266 წელს ბუხარაში მივიდა მონღოლეთის დიდი იმპერატორის, ხუბილაის ელჩი თავისი ამალით, რომელიც ბრუნდებოდა ხულაგუ-ყაენი სატახტო ქალაქიდან (სპარსეთში). ელჩმა უთხრა ვენეციელებს:

— „ბატონებო, მთელი მონღოლეთის დიად მეფეს ჯერ საკუთარი თვალთ არ უნახავს ლათინები და ძალიან სურს მათი ნახვა. თუ მე წამომყვებით, გარწმუნებთ, რომ იგი თქვენ სიხარულითა და დიდის პატივით მიგიღებთ. ჩემთან ერთად თუ იმგზავრებთ, თქვენ არავითარი ხიფათი და უსიამოვნება არ მოგელით.

ვენეციელები მაშინვე დათანხმდნენ ელჩის წინადადებაზედ. ელჩმა თავისი დაპირება პატიოსნად შეასრულა და ერთი წლის მოგზაურობის შემდეგ ორივე ძმა წარუდგა მონღოლების უზინაეს ბატონს, რომელსაც თავი მოჰქონდა ხელმწიფეთა ხელმწიფედ.

ხუბილაი ყაენმა, რომლის სატახტო ქალაქი ეხლანდელი ბეი-პინის (აკეინის) ჩრდილოეთით მდებარეობდა, ვენეციელი ვაჭრები მხიარულად და გულწრფელი აღფრთოვანებით მიიღო.

ხუბილაი-ყაენმა გამოჰკითხა ნიკოლოზს და მათეს ევროპის შესახებ ყველაფერი, რაც მას აინტერესებდა: როგორები არიან იქაური მეფეები, როგორ განაგებენ თავიანთ სამფლობელოს, ასამართლებენ ბოროტის ჩამდენთ, როგორ ომობენ და სხვ. მონღოლთა იმპერატორს უნდოდა გაეგო აგრეთვე ყველაფერი, რაც ძმებმა იცოდნენ რომის პაპისა და კათოლიკურ სარწმუნოების შესახებ.

მოისძინა რა ვენეციელების ახსნა-განმარტებები, ხუბილაი ძალიან კმაყოფილი დარჩა. კარგი პატივი სცა ორივეს და შემდეგ გადასწყვიტა მათი შიკრიკებად გაგზავნა რომის პაპთან, თან გააყოლა ერთერთი თავისი თავადი ქოლათაი და გაატანა რომის პაპისადმი წერილი. ამ

წერილში იგი სთხოვდა პაპს გამოეგზავნა მისთვის ასიოდე განათლებული, ხელოვნებათა მცოდნე ქრისტიანი, რომლებიც შესძლებდნენ დაემტკიცებინათ ქრისტეს რჯულის უპირატესობა თათრებში. გავრცელებულ შამანიზმის საწინააღმდეგოთ. რასაკვირველია, შესაძლებელია ხუბილაის აზრადაც არ მოსვლოდეს ასეთი რამ, და წერილი შეთხზული იყო თვით პოლოების მიერ, რომლებსაც თავისი მეორე ექსპედიციისათვის რომის პაპის დახმარება სჭირდებოდათ.



ხუბილაი-ყაენმა უბოძა ძმებს ოქროს ფირფ ტა

ასეა თუ ისე, ნიკოლოზმა და მათემ მოახერხეს მიინიჭებინათ თავისი სავაჭრო გეგმებისადმი სარწმუნოებრივი ხასიათი და ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს ხუბილაი-ყაენს უკვე გადაეწყვიტოს მონღოლების მონათვლა. ვიმეორებთ, ეს შეიძლება არც იყო ასე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ხუბილაი მიიღტვოდა ევროპელების დაქირავებისაკენ, ვინაიდან მონღოლებს არ გააჩნდათ ვეებერთელა სამეფოს მართვა-გამგეობის უნარი; მაშინ მონღოლების სამფლო-

ბელოში მშენებლები, ვეზირები, ადმინისტრატორები და ტექნიკოსები მეტ წილად არაბები იყვნენ და ხუბილასი ეშინოდა, რომ მალე არაბები მთელი იმპერიის საკეს ხელში ჩაიგდებდნენ.

ხუბილასი-ყაენმა უბოძა მათესა და ნიკოლოზს ოქროს ფირფიტები, რომლებზედაც მის სახელთან ერთად აღბეჭდილი იყო ბრძანება ყველა მისი ქვეშევრდომებისადმი, დაუბრკოლებლად გაეტარებინათ და ცხენებით მოემარაგებინათ ვენეციელები. ასეთი ოქროს ფირმანის ნიმუშები შეიძლება დღესაც ნახოთ ევროპის მუზეუმებში. მათე და ნიკოლოზი ქოლათაი-მონღოლთან ერთად გამოემგზავრნენ შინისკენ.

გზაში ქოლათაი, ძმების სიტყვით, ავად გახდა და რომელიღაც ქალაქში დარჩა.

სანამ ნიკოლოზი და მათე სამშობლოს მიაღწევდნენ, 1268 წელს მოკვდა რომის პაპა კლიმენტ IV, რომლის დახმარებაზეც ძმები ამყარებდნენ თავის იმედებს. ამგვარად რომის პაპი ველარ დაეხმარებოდა მათ მეორე მოგზაურობაში.

უკვე 13 წელი გავიდა, რაც ნიკოლოზი და მათე ვენეციიდან წავიდნენ და ამ ხნის განმავლობაში საკუთარ ოჯახში არ ყოფილან. როდესაც ნიკოლოზი შინ დაბრუნდა, მას ცოლი აღარ დახვდა ცოცხალი. სამაგიეროდ, მას დახვდა პატარა და ხალისიანი ბიჭუნა, რომელიც მისი აღმოსავლეთისკენ გამგზავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიბადა და ეხლა უკვე 13 წლისა იყო.

ეს ბიჭუნა უახლდათ ჩვენი მარკო პოლო, რომელმაც შემდეგში რუსტიჩიანო პიზანელს დიდი წიგნი დააწერინა.

ვენეციაში ნიკოლოზმა და მათემ ორი წელი დაჰყვეს ისინი ჩქარობდნენ კვლავ ჩინეთისკენ გამგზავრებას, მაგ-


რამ ვინაიდან კლიმენტი IV-ეს სიკვდილის შემდეგ ორი წლის განმავლობაში რომის პაპად ვერაინ აირჩიეს და კათოლიკური ეკლესიის ტახტი ცარიელი იყო, ამიტომაც პოლოების გეგმებს მფარველი არ მოეპოვებოდა. ბოლოს და ბოლოს, ორივეს მობეზრდა მოლოდინი და გადასწყვიტეს უპაპოდ იოლათ წასვლა.

მათ მიმართეს ლიეჟის არქიდიაკვანს, პაპის ლეგატს — თეობალდო პიაჩენცელს, რომელიც იმ დროს ქ. აკრაში ცხოვრობდა. თეობალდო დადებითად შეხვდა ვენეციელების განზრახვას ხუბილაი-ყენთან დაბრუნების შესახებ. ვინაიდან ლეგატი რომის სასულიერო წრეებში საკმაოდ დიდ პიროვნებად ითვლებოდა, ამიტომ მას შეეძლო თავისი გავლენით ვაჭრებისათვის დახმარება გაეწია. თეობალდომ, რომელსაც ესიამოვნა პოლოების გამგზავრება, მათ თან გაატანა წერილები „ღიადი ყენისადმი“, რომელშიც ადასტურებდა, რომ ნიკოლოზმა და მათემ შეასრულეს ხუბილაის დავალება, მაგრამ კათოლიკეთა წინამძღვარი ცოცხალი აღარ დახვდათ და ამიტომ საქმე ვერ მიიყვანეს ბოლომდე.

ამის შემდეგ ძმები პატარა მარკოსთან ერთად აკრიდან ქ. ლაიასში წავიდნენ. მაგრამ სანამ ლაიასიდან გაემგზავრებოდნენ, მათ ახალი და მეტად სასიამოვნო ამბავი გაიგეს: ლეგატი თეობალდო, მათი მფარველი და ქომაგი რომის პაპად აერჩიათ. პოლოები მაშინვე იტალიაში დაბრუნდნენ და მივიდნენ ახალ პაპთან, რომელმაც მათ ფირმანები და სიტყვიერი დავალებები მისცა, — თუმცა ხუბილაის მიერ დაბარებული ასი მოქადაგე კი ვერ გააყოლა. ვინაიდან პაპის ტახტზე ეხლახან ავიდა და ჯერ ასეთი ძვირი მოგზაურობებისათვის საღსრები არ გააჩნდა. თეობალდომ შესძლო გაეყოლებინა ვენეციელებისათვის მხოლოდ ორი ბერი-მოდღვარი: ნიკოლოზ ვიჩენცელი და გილიომ ტრიპოლიელი.

პაპის ლოცვა-კურთხევით დაიმედებული გაემგზავრა აღმოსავლეთისკენ ხუთი მოგზაური: სამი პოლო და ორი ბერი. მაგრამ, როგორც სჩანს, ბერებს ხანგრძლივი და ძნელი მოგზაურობისა ეშინოდათ და ლაიასშივე ჩამოშორდნენ ვენეციელებს. ამგვარად ხუბილაი-ყაენის სურვილი პაპის დახმარებითაც ვერ შესრულდა.

1271 წლის ბოლოში ან შვიძლება 1272 წლის დასაწყისში პატარა მარკო თავის მამასთან და ბიძასთან ერთად გაემგზავრა ლაიასიდან შორეული ჩინეთისაკენ.



ვენეციელთა სამხედრო
ხომალდი (საშ. საუკუნე-
ნებში)

მარკო პოლო აზიის გავლით მიღის ჩინეთში

ევროპიდან ჩინეთის დაბლობებამდე უზარმაზარი მანძილია, რომლის გასასვლელად მოგზაურს მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდება. ჩვენს ხანაშიც კი, როდესაც ტექნიკა მაღალ დონეზეა ასული, აზიის ის ქვეყნები, რომლებიც გაიარა მარკო პოლომ 700 წლის წინად, წესიერ გზებს თითქმის მოკლებულია.

განსაკუთრებით ძნელია მოგზაურობა შუა აზირს მთე-
ზზე. უდაბნოებზე და ზეგანებზე. აქ მხოლოდ აქლემებისა
და ცხენების ქარავნები დადიან და თანამედროვე მოგ-
ზაური, რომელიც მიდის, მაგალითად, ავღანისტანის, ან
თურანის საქარავნო გზებზე, ხდება თითქმის იმავე სუ-
რათებს, რომელთაც ხედავდა მე-13-ე საუკუნეში ვენე-
ციელი მოგზაური.

აი, მაგალითად, ის სურათი, რომელსაც ხშირად დაი-
ნახავთ დიდ საქარავნო ბილიკზედ, ფერღანის ოაზისიდან
ყაშლარისკენ მიმავალი.

ზარების რეკით და ყრუ ფეხთაცემით მდის ქარავა-
ნი ბილიკზე. დატვირთული ორკუხიანი აქლემები რიტ-
მიულად მოიწევიან და ერთერთი მათგანის ზურგზედ
ამხედრებული ყარლიზიც წინ და უკან ირხევა. გიკვირს,
რატომ არ დაემართება ზღვის ავადმყოფობა! მაგრამ ყირ-
ლიზი ბავშობიდანვე შეეჩვია აქლემის ზურგზე ქანაობას
და მისთვის ამ მერყევი მატარებლით მგზავრობა ისეთივე
ადვილია, როგორც ჩვენთვის ავტოქობილში ჯდომა. აქ-
ლემები ერთმანეთზე თოკით გადაბმულები არიან; თოკი
მათ მიბმული აქვთ ცხვირის ნესტოებში გაყრილ ჩხირებ-
ზედ, რაც აქლემების ტარებას აადვილებს.

ქარავნის თავში ფეხებს მიბაკუნებს ვირი, რომელიც
უზარმაზარ აქლემთან შედარებით ძალს უფრო მოგაგო-
ნებთ, ვიდრე სატვირთო და შესაჯდომ „ბედაურა“. მაგ-
რამ ამისდა მიუხედავად ვირზე ამხედრებულა ახმახი ყაშ-
ლარელი, მზისგან დამწვარი, წვერულვაშ-გაბურძენილი,
გამტვირინებული. ეს „ქარავანბაში“ გახლავთ, მთელი ქა-
რავნის ხელმძღვანელი და გზის გამკვლევია; გრძელ ფეხებს
თითქმის მიწაზედ მიათრევს (ვირი პატარაა) და თუ ძა-
ლიან არა ცხელა, წვრილი ხმით ყაშლარულ საქარავნო
სიმღერებს გასძახის...

ქარავანი — ეს არის მტვერისა და ჟრიამულის შეუჩერებელი ტალღა, რომელიც შორიდანვე ზარების რეკითა და ხმაურით გაფრთხილებთ, გემუქრებათ. ცხენს სადავეს მისწევთ და გზის ნაპირზე შეაჩერებთ, სანამ ქარავანი გაივლის. რამდენიმე წუთის განმავლობაში თქვენს წინ მიიხვევიან მახინჯი აქლემები, ყვირიან და ილანძღებიან ყაშლარელი მექარავნები, ქვებს უშენენ გაჯიუტებულ ცხოველს. მთელი ქარავანი ლიოსის ხმელი მტვერის ღრუბლებშია გახვეული.

გაივლის ქარავანი და ღრიანცელი თანდათან მისუსტდება.

ასე მიდიან ქარავნები აზიის გზებზე დილიდან საღამომდე. მზის ჩასვლის შემდეგ აქლემებს ტვირთს მოხსნიან და შუალამემდე გარშემო ატარებენ. ბუჩქნარისაგან კოცონს გააჩაღებენ და ფლავის, ან „შურფას“ ხარშვას დაიწყებენ. სპილენძის „კუნგანებში“ ქოთქოთებს წყალი შიგ ჩაყრილი „ქოქ-ჩაის“ ფოთლებით...

საქარავნო გზებზე ხშირად წააწყდები მომაკვდავ აქლემს, ან ცხენს, ზოგჯერ სახედარსაც — ყველა ვერ გაუძლებს ქვიან ბილიკთა სიმკაცრეს!

თავისი მოგზაურობის დროს ჩვენი ნაცნობები: მათე, ნიკოლოზი და მარკო ცხენებითა და აქლემებით სარგებლობდნენ.

მართალია, აღმოსავლეთ აზიაში მოგზაურობა ამჟამად ზღვითაც შეიძლება და შეიძლება ითქვას, რომ გემით მგზავრობა გაცილებით უფრო ადვილია, სწრაფი და თანაც ნაკლებად უსიამოვნო, ვიდრე შინაგანი აზიის საქარავნო გზებზე ცხენებით სიარული. ეჭვს გარეშეა, რომ რომელიმე თანამედროვე იტალიელს, — თუნდაც, მაგალითად, მარკო პოლოს ერთერთ შთამომავალს აზრადაც არ მოუვა ჩინეთში ხმელეთის გზებით წასვლა, არამედ საო-

კენო გემში ჩაჯდება, გაივლის სუეცის არხს და ინდოეთის ოკეანეს გასცურავს.

მაგრამ იმ დროს, როდესაც მარკო პოლო ცხოვრობდა, თვით ევროპიელი მეხღვაურებიც, რომლებსაც შედარებით მტკიცე და გამძლე ხომალდები ჰქონდათ, გაუბოდენ ოკეანის ვერაგ ტალღებს.

ქალაქ ლაიასიდან სამივე ვენეციელი გამართენ ნავთსადგურ ორმუხისაკენ, რომელიც სპარსეთის უბესთან მდებარეობს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ აქედან მოახერხებდენ გემით ჩინეთში წასვლას და ამით თავიდან აიცილებდენ მომაბეზრებელსა და გაჭიანურებულ მოგზაურობას თურანისა და მონღოლეთის უდაბნოებში. ის გზა, რომლითაც მარკო პოლო ორმუხში მივიდა, დანამდვილებით არ არის გამორკვეული, ვინაიდან ამის შესახებ რუსტიჩიანოს ხელნაწერში მხოლოდ თითო-ორი ცნობას იპოვნის მკვლევარი. მაგრამ იმის და მიხედვით, თუ რომელ ქვეყნებს აღწერს თავის ნაამბობში მარკო პოლო, შესაძლებელი ხდება მისი გზის საერთო მიმართულების აღდგენა. რუსტიჩიანო პიზანელის წიგნში მოყვანილია ვენეციელი მოგზაურის მოთხრობები წინა აზიის რამდენიმე ქვეყნის შესახებ; ასეთია: მცირე სომხეთი, ოსმალეთი, დიდი სომხეთი, საქართველო, მოსულის სამეფო, ქალაქები—თავრიზი და ბაღდადი. რასაკვირველია, მას არ უნახავს ყველა ეს ადგილი საკუთარი თვალით; მაგალითად, საქართველოში იგი არ ყოფილა; ასევე დარუბანდის კარებშიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ვენეციელების ქარავანმა გაიარა ოსმალეთი, სპარსეთი და აქედან უმოკლესი გზით სპარსეთის უბეს მიაღდა.

გზა და გზა ახალგაზრდა მარკო პოლო ხედავდა მისთვის სრულიად უცხო ქვეყნებს, სავსებით უცნობ აღმოსავლეთურ ყოფა-ცხოვრებას და ადათებს. მარკო პოლოს,

როგორც ნორჩ და ხალისით აღსავსე ჭაბუკს, არ აინტერესებს ამ საკვირველი ქვეყნების წარსული და დიადი ისტორიული ძეგლები, მას მხოლოდ აწმყო იზიდავს. ჭაბუკის მახვილი ჭონება სწრაფად ითვისებს იმ ნაირ-ნაირ შთაბეჭდილებებს, რომლებითაც მას უმასპინძლებდა აზია. იგი მოგვითხრობს თავრიხის ვიწრო და მრუდე ქუჩების, მიხგითების, დერვიშებისა და „ყორანის“ შესახებ: აღწერს ბაზრებს და მოედნებს, სავაჭრო წვეულებებს და საქვეყნო წესებს. თავრიხიდან გამგზავრებული ვენეციელები შევიდნენ სპარსეთის გულში, რომლის შესახებ მარკო ასე შეხიზნავს:

„ამ ქვეყანასა შიგან ბინადრობს ხალხი ბოროტი და მძარცველი; ყოველდღე მკვლელობა ხდება; აქაურობს ეშინიათ მხოლოდ თავისი მფლობელების—თათრებისა*). თორემ ესენი რომ არ იყონ, ყაზალები დიდ ზიანს მიაყენებდნენ ვაჭრებს. ამ ხელისუფლების დროსაც კი ვაჭრები ბევრსა ხარალობენ მათის წყალობით. უიარაღო ვაჭრებს შეუბრალებლად ხოცავენ, ან ძარცვავენ. ისინი ყველანი, მართალი გითხრათ მუჰამედის რჯულისანი არიან“..

მოგზაურებმა გაიარეს სპარსეთის ქალაქები: სავე (იხლანდელი თეირანის ყრემარეებში), იეზი, ქერმენი... გზა და გზა კაკბებზე და ხოხბებზე ნადირობით თავს იქცევდნენ, ხშირად კანჯრებსაც ხედავდნენ. ქერმენში მარკოს ყურადღება მიიპყრო ფირუზის მალაროებმა, რკინის ხელოსნებმა და შევარდნით ნადირობამ.

„იქაურ მთებში,—გვიამბობს მოგზაური,—ბუდობენ საუკეთესო ჯიშის და მსოფლიოში უსწრაფესი შევარდნები. მათ ვერც ერთი ფორწველი ვერ გაექცევა“..

ქერმენის შემდეგ ვენეციელებს შეხვდათ ქალაქი ქაშანი. ამჟამად ამ სახელწოდებით სპარსეთში არც ქალაქი და არც სოფელი აღარ არსებობს. დიდი ხნის ძიების შემდეგ, მაიორმა საიქსმა გამოარკვია, რომ შარკო პო-

*) იგულისხმება მონღოლები.

ლოს ქამანდი იგივე თანამედროვე ქალაქი ჯირუფთი არის, რომელიც მდებარეობს მდ. ხალილ-რუდის მარცხენა ნაპირზე, ამ ქალაქის ერთერთ უბანს დღემდე ქამანდის უწოდებენ.

ხალილ-რუდის ხეობაში მარკომ პირველად იგეჰა ცხელი ქვეყნების ხილეული: ინდის ხურმა, სამოთხას ვაშლი და სხ. ხილეულის გარდა მარკო პოლო აღწერს აქაურ კუხიან ხარს—ზებუს, დუშიან ცხვარს, ტყის ქათამს.

ორმუხში ჩასვლამდე მარკოს მამასა და ბიძას ეგონათ, რომ თავს დააღწევდენ შუა აზიაში ქარაენით მოგზაურობას და გემით წავიდოდნენ. მაგრამ, ჩავიდნენ თუ არა ორმუხში, ისინი მიხვდნენ, რომ ეს ფუჭი იმედი იყო. მართალია, აქაური ნავთსადგურები ზღვაზე მიმოსვლით დაკავშირებული იყო ინდოეთთან, მაგრამ ნიკოლოზსა და მათეს ვენეციის „საუცხოვო“ ფლოტის შემდეგ სპარსეთის ხომალდები არა საიმედო და სახიფათო ნაგებად ეჩვენათ. ორმუხში მყოფი ხომალდები მოკლებული იყო რკინის ლურსმნებს, ბაქანს და საფარველს ზღვის ტალღებისაგან დასაცავად. ერთას სიტყვით, ვენეციელებს ზღვაზედ გულბ აუცრუვდათ და ისევ ხმელეთის გზა აირჩიეს.

სწორედ ამ დროს მარკოც ავად გახდა. ოსმალეთზე და სპარსეთზე გამოვლის დროს მათ მოუხდათ თოვლიანი მთების გადმოვლა და უცებ თავი ამოჰყვეს ტროპიკული სიცხით დაბუღულ ქვეყანაში. ჰავის უცაბედ ცვლებადობას მარკოს ნორჩმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო და ცხაღია, ნავით მოგზაურობა მწველი მზის სხივების ქვეშ კიდევ უფრო გააუარესებდა მის მდგომარეობას.

ამიტომაც ვენეციელებმა ისევ ჩრდილოეთისაკენ იბრუნეს პირი.

ორმუხიდან ისინი გაემართნენ იმ მალღობი ქვეყნისაკენ, რომელსაც პამირი ანუ „ქვეყნიერების ბანი“ ეწო-

დება, მაგრამ, სანამ მთებამდე მივიდოდენ, მათ უნდა გაეცლოთ ვრცელი უდაბნო, ხორასანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოქცეული.

უსიცოცხლო და მკაცრი უდაბნო, სპარსელთა თქმულებების თანახმად ითვლება ბოროტების ღმერთის—არიმანის სამფლობელოდ. ამ უდაბნოზე რდესლაც გაიარა ალექსანდრე მაკედონელმა თავისი ლაშქრით და სახსოვრად დასტოვა მრავალი ლეგენდა „ისკანდერ ზიულკარნემის“*) შესახებ. სწორედ აქვე უნდა მძიმდარიყო მაკედონელთა შეტაკება სპარსეთის მეფის—დარიოსის ჯართან.

მარკო პოლო ამ უდაბნოს ასე აღწერს:

„ქრემენიდან შვიდი დღე უნდა იმგზავრო მოსაწყენ გზაზე, და აი რანაირად: სამ დღეს წყალი ან სულ არ არის ან ძალიან ცოტაა, და რაც არის, ბალახივით მწვანეა; ისეთი მწარეა, რომ ვერავის ვერ დაუღევია იგი. ვინც თუნდ ცოტაოდენს გადაყლაპავს, იმას ათჯერ გააფლარათებდა, ასე მოუვა იმასაც, ვინც დაკვნიტავს იმ მარილს, რომელიც ამ წყალში არის. ვინც აქეთ მოდის, უთუოდ სასმელი წყალი თან მოაქვს. პირუტყვიც არ დაღვეს აქაურ წყალს, სანამ ძალიან არ მოსწყურდება. დანარჩენ ოთხ დღესაც ასეთ უნაყოფო უდაბნოზე მიდიხარ—არც წყალია, არც ხე, არც საქონელი, გარეული ვირების (კანჯრების) გარდა“.

ჯერ კიდევ სპარსეთის მიწაზედვე პოლოების ქარავანმა აღმოსავლეთისკენ გაუხვია და მიაღმა ქალაქ ბალქს, რომელიც სპარსეთის საზღვართან მდებარეობდა. აქ, ძველი თქმულების თანახმად, ალექსანდრე მაკედონელმა დარიოსის ასულთან—როქსანასთან იქორწილა. ოდესლაც ბალქს „ქალაქთა დედას“ უწოდებდენ მისი მარმალილოს სასახლეებისა და წალკოტისავით უხვი ბაღების გამო, მაგრამ ჩინგის-ყაენის ურდოებმა გრიგალივით გადმოუარეს და გაანადგურეს ტურთა ქალაქი. მონღოლებმა ამოწყვი-

*) ალექსანდრე მაკედონელის სპარსული სახელი. ნიშნავს ორ-რქიან ალექსანდრეს.

ტეს ბალქის მოსახლეობა, დაანგრის ციხე-სიმაგრენი და სასახლეები. არაბ მოგზაურს იბნ-ბათუთას, რომელიც ბალქს მარკო პოლოზე 60 წლით გვიან ეწვია, დახვდა მიზგითებისა და სკოლების ნახევრად დანგრეული კედლები.

ბალქიდან დაწყებული, ვენეციელების ქარავანი ტყიან ხეობებს მიჰყვებოდა. მთის საღ. ჰაერზედ მარკო ჯანზედ მოვიდა და ალბად ამ მიზეზისა გამო, რუსტიჩიანო პიზანელის წიგნში ვენეციელის ნაამბობს უფრო ხალისიანი და ყოჩაღური ელფერი აქვს, ვიდრე მთებამდე მონათბრობს.

მაგრამ მაინც თავისი გზისა და შთაბეჭდილებების შესახებ მარკო ძალიან მოკლედ მოგვითხრობს. როგორც კინო-ფილმში, ისე სწრაფად ელავენ ქალაქთა სახელები: თაიქანი, ყიშმი, ბადახშანი...

ამგვარად ვენეციელებმა უკვე მიაღწიეს თანამედროვე ავღანისტანის მთიან ნაწილს ანუ ბადახშანს, სადაც ვიწრო ხეობაში მოსჩქევს ამუ-დარიას სათავე—მდინარე ფანჯი. მარკო პოლო მოგვითხრობს, რომ აქ არის საუკეთესო ლალის მალაროები და თანაც დასცინის ბადახშანის მცხოვრებლებს:

„აქაური ხალხი, შალეულის სიძვირის გამო უფრო ნადირთა ტყავებითა შემოსილი. წარჩინებული კაცი და ქალნი ისეთ შალვარს ატარებენ, რომ ზოგ შალვარს ას არშინზე მეტი ბამბის ქსოვილი უნდება, ზოგს ოთხმოცი, და ზოგსაც ცამოცი. ამას იმიტომ სჩადიან, რომ სქელები გამოჩნდნენ, ვინაიდან კაცებს უყვართ სქელი ქალები“.

გადავიდნენ რა ამუ-დარიაზე, ანუ, როგორც ძველად უწოდებენ—მდ. ოქსუსზედ, ვენეციელები მიადგენ მრისხანე პამირს—„ქვეყნიერების ბანს“.

„ქვეყნიერების ბანი“ ამ ქვეყანას ტყუილად არ უწოდეს. ეს მართლაც ბანივით მაღალი და მოვაკებული ზე-

განი დაჰყურებს ავლანისტანს, თაჯიკების, უზბეკებისა და ყირღიზების ქვეყანას, სინ-ცზიანს (ჩინეთის დასავლეთ პროვინციას). მაგრამ პამირის ზედაპირი გადაკვეთილია მაღალი მთაგრეხილებით, რომლებზედაც ზამთარ-ზაფხულთოვლი ბრწყინავს, ხეობებში კი უზარმაზარი ყინვარებია ჩამოწოლილი. აქაური მწვერვალები ზღვის დონიდან 6—7 $\frac{1}{2}$ კილომეტრის სიმაღლეზეა ამართული და მათთან შედარებით იალბუხი და მყინვარ-წვერი პატარა გორაკებად მოგვეჩვენებოდა. მთაგრეხილებს შორის ჩაწოლილია თხელი ბალახით დაფარული ვაკეები, ტბები და ღრმა ხეობები. ბალახოვან მინდვრებზე, რომლებიც თითქმის 9 თვის განმავლობაში თოვლითაა გადათეთრებული, დაძრწიან გარეულ ნადირთა ჯოგები. მგლის, დათვისა და მელას გარდა პამირი მდიდარია მთის ვეფხებით (ჯიქი), სლურებიდ, არხარებითა და ქიიკებით.

ჩვენ მიერ ეხლაზან ჩამოთვლილი ცხოველები თავისი შესანიშნავი თვისებების გამო განმარტებას საჭიროებენ.

სლური პატარა ცხოველია. იგი მოგაგონებთ მაჩვს, და, ამავე დროს, მელასაც, ვინაიდან ქურქი ყვითელი აქვს. ეს ცქვიტი და მუდამ მოფუსფუსე ნადირი, რომელსაც „პამირის მილიციელს“ უწოდებენ, ბინადრობს მიწაში ღრმად ჩათხრილ სოროში, სადაც ზამთრის სარჩოს ინახავს. თუ რატომ დაერქვა სლურს ასეთი უცნაური სახელი, ეს ყველამ იცის, ვისაც პამირზე უმოგზაურია. დაინახავს თუ არა ადამიანებს, სლური მოკურცხლავს თავის სოროსკენ, მაგრამ მაშინვე არ დაიმალება, ვინაიდან მეტის მეტად ცნობის მოყვარეა. უკანა ფეხებზე დაცუქქდება და წინა თათებს გულზე დაიკრიბავს, შემდეგ დაიწრიპინებს ისეთი ხმით, რომ მაშინვე მილიციელის სასტვენს გაგახსენდება. ამ ხმის გაგონებაზედ ახლო-მახლო მყოფი ნადირები თავის სოროებს მოუბრუნდებიან, შესავალ-

თან დასკუპდებიან და თვალს გადავენებენ. მაგრამ საკმარისია ცხენიდან ჩამოხტე და თოფი მოიმარჯვო, რომ ელვის სისწრაფით სლურები ჩაძვრებიან სოროებში. სლურზე ნადირობას მხოლოდ მარჯვე მსროლელი შესძლებს, ვინაიდან თუ ტყვიამ სლურს მაშინვე ბოლო არ მოულო, დაჭრილი ნადირი სოროში ჩაძვრება და შემდეგ თუნდაც მოკვდეს,—მისი ამოღება თითქმის შეუძლებელია. ყირღიზები ამბობენ, რომ დათვი სიმშვილობის დროს თათებით თხრის სლურის სოროს და ბუნაგშივე სჭამს „პამირის მილიციელს“.

რაც შეეხება არხარსა და ქიიკს, ეს ორი რქოსანი მთის ცხოველი პამირის თავისებურობას წარმოადგენს და მხოლოდ შუა აზიაში გვხვდება. არხარი —ესაა ვებერთელა ცხვარი, დაგრეხილი და სქელი რქებით. თითო წყვილი არხარის რქა $1\frac{1}{2}$ ფუტს აიწონის, ხოლო თითონ ცხოველის წონა 10 ფუტამდეც აღწევს. ქიიკი ჩვენებურ ჯიხვს მოგვაგონებს და გაცილებით უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე არხარი. პამირზე ორივე ცხოველი ძალიან ბევრია. ეხლაც კი, ზოდესაც მონადირეები კარგ თოფებს ხმარობენ, ხშირად შეკვდებათ მოსეირნე ჯოგი, რომელშიც 200—300 არხარს, ან ქიიკს დაინახავთ.

მარკო პოლოს მოგონება პამირის შესახებ, მოკლეა და თითქმის არ შეიცავს ზუსტ მითითებებს ვენეციელების გზის შესახებ „ქვეყნიერების ბანის“ გადაკვეთის დროს. პამირზე გადასვლას იგი ასე აღწერს:

„ვინაიდან *) სამი დღე მიემგზავრები ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ სულ მთა-მთა და ადინარ, როგორც ამბობენ, მსოფლიოში

*) ამ სახელწოდებით პამირის დასავლეთით დღესაც ცნობილია თაჯიკების ერთ-ერთი ტომით დასახლებული ხეობა და აგრეთვე იქვე ამართული მაღალი მთაგრეხილი. ამავე სახელწოდების სოფელი და მთები არის ზემო-იმერეთშიც.

უმადლეს ადგილზე. ამ მაღალ ადგილზე ორი მთის შუა მდებარეობს ვაკე, რომელზედაც საუცხოვო მდინარე მოსჩქედს. აქაური საძოვრები მთელს მსოფლიოში უმჯობესია; ყველაზედ უფრო მჭლე საქონელიც კი ათ დღეში გასუქდება. გარეული ნადირები ძალიან ბევრია. ბლომადაა დიდი გარეული ცხვრები ექვსმეტკველიანი რქებით; ასეთი რქებიდან მწყემსები აკეთებენ ჯამებს საჭმლისათვის და აგრეთვე ხმარობენ ფარეხების, შემოსალობავად. 12 დღე უნდა იარო ამ ვაკეზე—მას პამირს უწოდებენ; არსად არც სოფლები შეგხვდება და არც ბალახი; სანოვაგე თან უნდა გქონდეს წაღებული. ფრინველები არ მოიპოვება იმიტომ, რომ ეს ადგილები ძალიან მაღლაა და ჰყინავს. დიდი სიცივისაგან აქ ცეცხლიც ბუუტავს და უფრო სხვა ფერისაა, ვიდრე ჩვეულებრივად. ფრინველის მოხარშვაც აქ გაძნელებულია“.

მარკო მართალს ამბობს: დიდ სიმაღლეზე, სადაც ჰაერი ვათხელებულია, წნევის სიმცირის გამო წყალი შედარებით დაბალ ტემპერატურაზედ იწყებს დუღილს და ამიტომ საჭმელს ცუდათ ხარშავს. რაც შეეხება ფრინველთა არ ყოფნას, ეს არ არის მთლიანად მართალი, ვინაიდან 1878 წელს რუსმა მკვლევარმა სევერცოვმა პამირის ზეგანზე აღმოაჩინა 112 სახის სხვადასხვა ფრინველი.

რუსტიჩიანო პიზანელის ხელნაწერში ვერ იპოვნით ვერაფრითარ ცნობებს ვენეციელების მარშრუტის შესახებ პამირზე. მაგრამ რამე უზიოს მიერ ზეპირი გადმოცემებით შევსებულ ვარიანტებში ნახსენებია „დიდი ტბა, რომელიც ორი მთის შორის ვაკეზედ მდებარეობს“. მარკო პოლოს მკვლევარები ფიქრობენ, რომ ეს ტბა ზორ-ყული უნდა იყოს.

ასეა თუ ისეა, ვენეციელებმა პამირი მთელ სივრცეზე გადაჰკვეთეს და გადააბიჯეს ჩინეთის თანამედროვე დასავლეთ საზღვარს.

ის ქვეყანა, რომელშიც მოხვდენ პამირიდან წასული ვენეციელები, რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი. ჩი-

წლები მას სინ-ცზიანა უწოდებენ, რუსეთში იგი ცნობილია ჩინეთის თურქესტანად ანუ აღმოსავლეთ თურქესტანად, მაგრამ უფრო სწორე იქნება, თუ ვინძართ ირანულ სახელწოდებას, რომელიც გვხვდება ევროპულ რუკებზედ და აგრეთვე ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც — „აღმოსავლეთ თურანს“ *).

ეს ქვეყანა სიმაღლით გაცილებით ჩამოუვარდება პამირს, მაგრამ ასეთივე მკაცრი და უდაბურია.

აღმოსავლეთ თურანი წარმოადგენს ჩავარდნილ ტაფობს. ჩრდილოეთიდან მას კედელივით აფარია ტიანშანის მთაგრეხილთა სისტემა, ხოლო სამხრეთიდან — ტიბეტის მოსაზღვრე ქედები. მთელი ტაფობის სიგრძეზე, დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ მიედინება მდინარე თარიმი. ამ მდინარის შესანიშნავი თვისება ის არის, რომ იგი შუა აზიაშივე წყდება, არ უერთდება არც ერთ ზღვას და აჩენს ლობნორის ტბას.

მართალია, თურანის მხარის უდიდესი ნაწილი ხრიოკ ადგილებს წარმოადგენს და ალაგ-ალაგ ვრცელი უდაბნოებიცა გვხვდება, მაგრამ იქ, სადაც სარწყავი წყალმობიანობა, ბალები და ქალაქ-სოფლებია გაშენებული. ყაშლარი, ხოტანი, იარკენდი — ესაა თურქნის მთავარი ქალაქები, რომლებიც ჩინელ „დაპო-თაის“ (გუბერნატორს) ემორჩილება. თურანის ოაზისებში უხვად მოდის ბამბა, ყურძენი, გარგარი და ნესვი, ხოლო მთის ფერდობზე მდებარე საძოვრები ხელს უწყობენ მესაქონლეობას. სინ-ცზიანის ადგლობრივი მოსახლეობა, რომლის უმეტესი ნაწილი თურქულ ეროვნებათა ერთ-ერთ ჯგუფს ეკუთვნის და ენათესავება ჩვენს უზბეკებს, უმთავრესად მებაღეობას, ბამბისა და ბრინჯის მოყვანას მისდევს. გარ-

*) დასავლეთ თურანს შეადგენს შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკები ანუ ქვეყანა სირ-დარიას და ამუ-დარიას ხეობებს აქეთ-იქით-

და ამისა, ბევრნი თავს ირჩენენ მექარავენობით და მთელ თავის სიცოცხლეს საქარავენო ბილიკებზე ხეტიალში ატარებენ.

გზა „ქვეყნიერების ბანიდან“ — ჩინეთისაკენ ბევრ ადგილას უდაბნოებზედ გაივლის. საითაც არ გაიხედავ, მოსჩანს ნაცრისფერი „ბარხანები“, ე. ი. ქვიშის გორაკები, რომლებიც უდაბნოს ქარს გადააქვს ადგილიდან-ადგილზე. თხვიერ ყამირში ხშირად აქლემებიც მუხლამდე იფლობიან. არსად წყალი არ გხვდება; იშვიათად თვალს მოჰკრავ თავჩაქინდრულ ტამარისკის ჩირგვს და მერე ისევ ბარხანები, ბარხანები და ბული...

მარკო პოლოც შენიშნავს აქაურ უდაბნოების შესახებ „აქ ერთი საკვირველება ხდება: თუ დამე უდაბნოში ქარავენ მიდის და ვინმე თავის ამხანაგებს ჩამორჩება, როგორც კი იგი გაედევნება ქარავენს, მას მოესმის ავსულების საუბარი; მოეჩვენება თითქოს მას უძახიან ამხანაგები და ზოგჯერ ავსულები გზას აურევენ, ისეთ ადგილში შეიტყუებენ, რომ იქიდან თავს ვეღარ დააღწევს და დაიღუბება. გარდა ამისა, ხალხს დღითაც ესმო ავსულების ლაპარაკი და ისე ეჩვენებათ-თითქოს დოღს უკრავნო“..

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატრიკე მულ ვენეციელს ავსულების შესახებ, მაგრამ მარკო პოლო მთლიანად არა სცდება. ინგლისელი მეცნიერის ჰენრი იულიუს მოწმობით ასეთსავე მოვლენას შეხვედრი მრავალი ძველი და ახალი მოგზაური არა მარტო თურქეთში, არამედ გობისა და სპარსის უდაბნოებშიც. თუ ნაური ბგერები ჯერ ზუსტად არაა ახსნილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ „დოღის დაკვრისა“ და სანადირო საყვირის ხმებს გამოსცემს ქარის მიერ კლდეებზე მიხვეტილი ქვიშის მარცვლები.

ლობ-ნორის ტბასთან იმ მეცნიერებმა, რომლებმაც სპეციალურად იკვლევდნ მარკო პოლოს მიერ გავლ

გზა, დაჰკარგეს ვენეციელების კვალი. ეს გასაკვირველი არც არის, ვინაიდან ამ 700 წლის განმავლობაში გამოი-ცვალა არა მარტო ადგილთა სახელწოდებები, არამედ თვით ეს არემარეებიც. ქვიშის ბარხანები ქარის მეოხე-ბით თანდათან მოდიან იერიშით სოფლებზე და ქალა-ქებზე, სწყვიტავენ სარწყავ არხებს, ქვიშაში ჰფლავენ სახლებსა და ქუჩებს. ადამიანები მირბიან დამარხული სოფლებიდან და ბინავლებიან სხვა ადგილას, რომლიდა-ცაა ქარმა ახვეტა ქვიშა. საუკუნეთა განმავლობაში ქარ-სა და ქვიშას შეუძლიათ სრულიად შეცვალონ ადგილ-მდებარეობა.

ბოლოს და ბოლოს, დიდძალი შრომისა და დროის დახარჯვით, მეცნიერებმა აღადგინეს მარკო პოლოს მარ-შრუტი იმ ცნობებისა და სახელწოდებების მიხედვით, რომლებიც აღმოაჩინეს რუსტიჩიანო პიზანელის ნაწერში. აღმოჩნდა, რომ მარკო პოლოს მიერ განვლილი ქალაქი „სასიონი“ ყოფილა თანამედროვე შა-ჩყოუ, „კალაჩიანი“ — ალაშანი, „კანპიჩონი“ — გან-ჩყოუ-ფუ და სხვ.

შა-ჩყოუში ვენეციელები მივიდნენ იმის შემდეგ, რო-დესაც ერთი თვის განმავლობაში დიდის გაჭირვებით გაიარეს უდაბნო გობის სამხრეთი ნაწილი. აქედან ისინი გაემართნენ აღმოსავლეთისაკენ და მალე მიაღწიეს ქ. სუ-ჩყოუს, სადაც მარკო პოლომ პირველად იხილა აზიის საოცრება — „ჩინეთის დიდი კედელი“. ჩვენ ვამბობთ: „იხილა“, მაგრამ ამის უშუალო საბუთი არა გვაქვს, ვი-ნაიდან ვენეციელი მოგზაური ამ შესანიშნავ ნაგებობას ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს. როგორც შემდეგში და-ვინახავთ, მარკო პოლოს ასე ხშირად ემართება: უზარ-მაზარს ვერ ამჩნევს და წვრილმანებზე კი ბევრ სიტყვასა-ხარჯავს. შეუძლებელია, რომ სუ-ჩყოუში მას არ ენახოს „დიდი კედელი“; ასევე წარმოუდგენელია, რომ იგი არ

შეხვდა ძაძიხ ევოლუციის სპეციალისტს

ნეთში მეტად გავრცელებულ და ყველასათვის საყვარელ სასნელს—ჩაისს. მარკო პოლო არაფერს არ გვიამბობს ამის შესახებ და ლაპარაკობს იმაზე, თუ რითა ვაჭრობენ სუ-ჩოუს სოფელები!

ვინაიდან ჩვენ ვერ გავიზიარებთ მარკო პოლოს უყურადღებობას „ჩინეთის დიდი კედლისადმი“, საჭიროა გავიხსენიოთ ამ საკვირველი ნაგებობის თვისებები.

„ჩინეთის დიდი კედელი“ უხსოვარ ხანაში ააგეს შრომის მოყვარულმა ჩინელებმა, მონღოლთა ურდოებისაგან თავის დასაცავად. კედლის სიგრძე, მისი ყველა ტოტების ჩათვლით, 3.300 კილი მეტრს ეტოლება. იგი გაჭიმულია გობის მლაშე უდაბნოებიდან—ყვითელი ზღვის ნაპირამდე, მთლიან ზღუდესავით, რომელსაც გადაუღობავს ყველა ხევ-ხუვები, გზები და ბილიკები. კედლის სიგანე უდრის საშუალოდ 6 მეტრს, ხოლო სიმაღლე 8-ს. როგორც გამოანგარიშებულია, ჩინეთის დიდ კედელზე დაიხარჯა 160 მილიონი კუბური მეტრი ქვა, ქვიშა და კირი!

ვეებერთელა კედელი მისდევს გორაკებსა და ხევებს; ალაგ-ალაგ მასში ჩატანებულია კოშკები, ციხეები და ალაყაფის კარები. მათს ასაშენებლად იმპერატორმა „ცინ-ში-ხუან-დი“-მ, 2.000 წლით ადრე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე, გარეკა კალატოზები, მზიდველები, მღესავები და ხუროები, აიძულა ემუშავნათ კედლის მშენებლობაზე. იმპერატორი სიკვდილით დაემუქრა ყველას, ვინც ქვის კედლის აშენების დროს ისეთ ადგილს დასტოვებდა ამოუვსებელს და გაუღესავს, რომ შიგ ლურსმნის წვეტი ჩატეულიყო...

„ჩინეთის დიდი კედელი“ შენდებოდა 15 საუკუნის განმავლობაში. მონღოლეთის უდაბნოში ჰავა მეტად მერყევი და მკაცრია, ამიტომაც ყოველგვარი ნაგებობა, თუ



ჩინეთის დიდი კედელი, რომე უკ აგებულ იქნა ჩინეთის იმპერიის მონღოლებისაგან და-
საცავად, როგორც ვიცით, კედელზე ეს დანიშნულება ვერ შესარულა და ჩინგიზ-ყენის
ურდობებმა მაინც დაიპყრეს ჩრდილო ჩინეთი.

იგი ხშირად არ შეაკეთეს, შეიძლება რამდენიმე წელწად-ში დაინგრეს. ამის გამო, ჩინეთის კედლის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება მივაკუთვნოთ იმპერატორ ცინ-ში-ხუან-დის ხანას. საშუალო საუკუნეებში კედელი რამდენიმეჯერ განახლდა და შეკეთდა. არც ერთი კოშკი, ან ალაყაფის კარი, რომელიც არქიტექტორის თვალსაზრისით რაიმე ინტერესს წარმოადგენს, არაა XIV საუკუნეზე უფრო ადრე აგებული.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩინელი იმპერატორები დიდძალ ენერგიასა და დროს ხარჯავდნენ დიდ კედლის შესანახად, კედელმა თავისი დანიშნულება მთლიანად ვერ გაამართლა. როგორც ვიცით, მე-13-ე საუკუნის დასაწყისში მომთაბარე მონღოლებს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერ და მძლავრი ბელადი—თემუჩინი, შემდეგში ჩინგ-ხ-ყაენათ წოდებული. მონღოლთა დაქსაქსული ძალები შეერთდა; ელამი და ცხვრის ქონით გაჟღენთილი მეჯოგეები თავისი ბანჯღვლიანი იორღა ცხენით გრიგალივით დაატყდნენ ჩინეთს, გადაამტვრიეს „დიდი კედელი“ და „ციური იმპერიის“ დიდ ნაწილს დაეპატრონენ.

შემდეგში, როდესაც დაარსდა მონღოლეთის იმპერია და ჩინელი იმპერატორების ადგილი ჩინგიზ-ყაენის შთამომავლებმა დაიკავეს, ამ უკანასკნელებმა მიბაძეს თავისი ჩინელი წინამორბედების ზრუნვას და სისტემატიურად აახლებდნენ „დიდ კედელს“.

ეხლა, როდესაც გავეცანით საინტერესო კედელს, შეგვიძლია ვენეციელებთან ერთად განვაგრძოთ მსვლელობა ზუბილაო-ყაენის სატახტო ქალაქისაკენ.

სუ-ჩიოუდან. მარჯო პოლო, მისი ძამა და ბიძა ჯერ „დიდი კედლის“ შინაგან მხარეს მიყვებოდნენ, შემდეგ გავიდნენ კედელში ერთ-ერთი კარით და გადაჰკვეთეს მონღოლეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი. სიუან-ხუა-

ფუს-რაიონში მათ ისევ გადაჰკვეთეს ჩინეთის ზღუდე და უმოკლესი გზით პეკინისაკენ გაეშურენ.

1275 წლის ზაფხულში მათ უკვე მიაღწიეს მიზანს.

როგორ დახვდა ხუბილაი-ყაენი ვენეციელებს

ჩვენი მოგზაურები პეკინიდან ჯერ კიდევ 40 დღის სავალზედ იმყოფებოდნენ, როდესაც ხუბილაი-ყაენმა ვენეციელ სტუმრებს განსაკუთრებული რაზმები შეაგება, ყაენის სასახლეში სამზადისი ატყდა. შორეული დასავლეთიდან მოსული სტუმრების დასახვედრად.

სანამ მარკო პოლო პეკინის გზას მისდევს, ორიოდესიტიკვა ვთქვათ ხუბილაი-ყაენისა და მისი წინაპარების შესახებ.

ჩინგიზ-ყაენი ანუ თემუჩინი იყო შვილი მონღოლ ესულაისა, რომელიც ერთ-ერთ „კეთილშობილ“ მონღოლურ გვარს ეკუთვნოდა და თავი მოჰქონდა იმით, რომ იგი ლეგენდარული „რუხი მგელის“ შთამომავალი იყო. ესულაის თავისი „მთავარი“ ცოლისაგან — ოლუნ-იეკესაგან შეეძინა ვაჟიშვილი — თუმუჩინი, რომელსაც შემდეგ კიდევ ოთხი ვაჟი მოჰყვა. 13 წლის თემუჩინს მამა მოუკვდა. მონღოლებმა, რომლებიც ესულაის ემო-ჩილებოდნენ, აღარ ინდომეს მისი მემკვიდრისადმი მორჩილება და აჯანყდნენ. ესულაის მეუღლემ იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ თავის მცირეწლოვან შვილს შეუნარჩუნა მისი მამულის ნაწილი. ამის შემდეგ, როდესაც ესულაის გამოტირების ვადა გათავდა, ოლუნ-იეკე ცოლათ გაჰყვა მონღოლთა „წმიდანს“ — მინღლიგს, რომლის შვილიც (კეუქჩე) ჯადოქარი იყო და, მონღოლების რწმენით, ღრუბლებზედ შემჯდარი პირდაპირ ცაში აღიოდა ხოლმე.

ძაძისა ცვლის გასწავლულად...
ჩინს—იმ მხრივ, რომ მას შერჩა თავის ქვეშევრდომები და მამული. თემუჩინი, რომელსაც მტკიცე ხასიათი და ორგანიზატორის ნიჭი ჰქონდა, თანდათან ძალღონეს იკრებდა, თავისი დროშის ქვეშ აერთიანებდა მთა-ბარში, გაფანტულ მეჯოგე მოხლოლებს, იგი არ ერიდებოდა არც ძალდატანებას, არც ხრიკებს იმისათვის, რომ თავისი გავლენა გაეძლიერებინა. 1206 წელს თემუჩინმა თავისი სატახტო ქალაქი გადაიტანა ყარა-ყორუმში, რომელიც ძველად თურქებს ეკუთვნოდა. 19 სხვა და სხვა ხალხისა და ტომის წარმომადგენლებისაგან მან შეჰყარა საბჭო—„ყურილთაი“, რომელმაც თემუჩინი უზენაეს მეუფედ გამოაცხადა. ამავე ყრილობამ მიანიჭა მას „ჩინგიზ-ყაენის“, ე. ი. „შეუდრეკელი შიფის“ სახელი.

ამის შემდეგ ჩინგიზ-ყაენის ბედის ჩარხი სწრაფად დატრიალდა. ჩინგიზ-ყაენმა გააუმჯობესა მონღოლების სამხედრო წყობის წესები, შეჰქმნა მძლავრი და გაწვრთნილი ლაშქარი. როგორც ზევით უკვე დავინახეთ, მან დაიპყრო აზიის უდიდესი ნაწილი და რუსეთი: 1209 წელს მონღოლებმა დაიკავეს ციმბირი; 1210-დან 1217 წლამდე ჩინგიზ-ყაენმა თანდათან ხელში ჩაიგდო ჩრდილო ჩინეთი; 1219 წელს მას დაემორჩილა ხვარაზმის სამეფო; 1220 წელს კი სამარყანდი და ბუხარა, საიდანაც მონღოლები რამდენიმე თვის განმავლობაში ტფილისსაც მისწვდნ.

ჩინგიზ-ყაენი მოკვდა 1227 წელს. ამ დროს მოწინავე მონღოლთა რაზმებმა უკვე ევროპის საზღვარი გადალახეს და ხმელთაშუა ზღვას მიადგენ, აქ მათ თავისი ცხენები ადრიატიკის *) ტალღებში აბანავენს, უკან მობრუნ-

*) ადრიატიკა — ზღვა იტალიის აღმოსავლეთით.

დეს და თავისი სამფლობელოების დასავლეთი საზღვარო რუსეთის ველებზე გახაზეს.

ჩინგიზ-ყაენის სიკვდილის შემდეგ, ახალი იმპერია დაქუცმაცდა. ჩინგიზ-ყაენის შთამომავლებიდან ზოგი გამეფდა, ზოგი კი შინაურ კინკლაობასა და ჩხუბში ჩაება. ჩინგის-ყაენიდან ხუბილაი-ყაენამდე ოთხი „დიადი ყაენი“ გამოიცვალა, ხოლო ხუბილაი-ჩინგის-ყაენის შვილის შვილი იყო!

ჩინეთ-მონღოლეთის მეუფე, ხუბილაი-ყაენი, ჩინური კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მისი მხედართმთავრები სრულიადაც არ იყვნენ თავაშვებული და მძარცველი მეომრები. ყველგან. სადაც კი მონღოლეთი ახალ ქვეყანას დაიპყრობდენ, ისინი ამყარებდენ წესრიგს, აწარმოებდენ 10 წელზე უფრო ხნიერ მამაკაცთა აღრიცხვას ჯარში წასაყვანად.

იქ, სადაც ამჟამად ძლივს და მოჩანს დანგრეული ქალაქი შან-დუ, მარკო პოლოს დროს ამართული, იყო ხუბილაის მარშალილოს სასახლე. ოქროთი მოვარაყებული ოთახები, საუცხოვო სანადირო ბაღი, რომელშიც დარბოდენ შვლები, ირმები და ანტილოპები, გადასატან-გადმოსატანი ბამბუკის ფანჩატური, საჯიხიბოებო, გალიაში ჩამწყვდეული ნადირები, მწვეარ-მეძებრები, ბუდდის ჯების *) სალოცავები, მაჰმადიანთა მიზგიითები, ასტრონომიული ობსერვატორიები—აი ის, რაც ამშვენებდა ამ აღვილს 6¹/₂ საუკუნის წინად.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზმა და მათემ ევრო-

*) ბუდდიზმი—რელიგიური მიმდინარეობაა, რომელიც გავრცელებულია იაპონიაში, ჩინეთში, ინდო-ჩინეთში, მონღოლეთში, ტიბეტში და სხ. მის მამა-მთავრად და ღმერთად ითვლება ზღაპრული ვინმე ბუდდა. (შაკია-მუნი)

პიდან თან არ მოიყვანეს დაპირებული ოსტატები და შეცნეირები, ხუბილაიმ მაინც ძოწყალეებით მიილო ვენეციელეები.

მარკო მოგვეითხრობს:

„რორევე ძეგემა მუხლი მოიყარეს მის. წინაშე და, როგორც კი შეეძლოთ, მოწიწებით სალამი ძიუძღვნეს, მაგრამ დიდმა ყაენმა ისინი მაშინვე ააყენა; გაუმასპინძლდა პატივით, მხიარულებით, ღრეობით, გამოძკითხა ჯანმრთელობა; — როგორ ცხოვრობდენ სამშობლოში. ძმებმა უპასუხეს, რომ კარგად ცხოვრობდენ; რომ მათ ახარებს დიადრ ხანის ჯანმრთელად და მხიარულად ყოფნა. შემდეგ წარუდგინეს მას ფირმანები და ის წერილები, რომლებიც გამოიტანა წინამძღვარმა (რომის პაპმა). დიდი ყაენი მეტად კმაყოფილი დარჩა“.

ვენეციელეებმა მიართვეს ხუბილაის აგრეთვე იერუსალიმიდან წამოღებული წმინდა მირონი.

ხუბილაის ირიბად დალაგებულმა თვალეებმა შეამჩნიეს მარკო, მარჯვე და მოხდენილი ჭაბუკი. „ეს ვინ არის?“ — იკითხა ყაენმა: — ხელმწიფევე „— უპასუხა ნიკოლოზმა. — ეს გახლავთ ჩემი შვილი და თქვენი მსახური. — კეთილ იყოს მაგის მობრძანება. — სთქვა დიდმა იმპერატორმა“.

ახალგაზრდა მარკომ სწრაფად შეითვისა მონღოლური ენა, შეისწავლა მათი ზნე-ჩვეულებები და ის ოთხი სამწერლობო ანბანი, რომელნიც მონღოლების იმპერიაში ერთმანეთს ეტოქებოდენ. არაბული, უიგურული და სირიული წერა მან ადრეც იცოდა, აქ კი მონღოლური კვადრატული წერა ისწავლა. მარკოს ნიჭმა, სიმკვირცხლემ და მოფიქრებამ მალე მიიპყრეს ხუბილაი-ყაენის ყურადღება. ყაენმა ვენეციელი ჭაბუკი დანიშნა მოხელედ, რომელიც მის განსაკუთრებულ დავალებებს ასრულებდა.

„როგორც კი დიდმა ყაენმა დაინახა, რომ მარკო ჭკუის პატრონია, მაშინვე გაგზავნა შიკრიკად ისეთ ქვეყანაში, სადაც მისასვლელადაც ექვსი თვეა საჭირო. მარკომ ეს დავალება პირნათ-



მონღოლეთის იმპერიის მბრძანებელი და მარკო
პოლოს მფარველი ხუბილაი-ყაენი

ლად და კარგად შეასრულა. იგი ხშირად ხვდებოდა სხვა და სხვა კუთხეებიდან დაბრუნებულ ხუბილაის შიკრიკებს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ მათ არ შეეძლოთ, როგორც საჭიროა, ყველაფერი მოეხსენებიათ ყაენისათვის: ხუბილაი მათ ამისათვის ტუტუცებსა და ბრიყვებს უწოდებდა და ამბობდა ხოლმე, რომ მას სურს მოისმინოს არა მარტო ის, რისთვისაც გაგზავნა შიკრიკი, არამედ უნდა გაიგოს დაწვრილებითი ცნობები შორეულ ხალხთა ზნე-ჩვეულების შესახებ. მარკოს შესწევდა ამის უნარი. როდესაც

მარკო დესპანებთან ერთად გაგზავნეს, იგი გზადაგზა იხსომებდა ადგილობრივ ხნე-ჩვეულებებსა და ღირსშესანიშნავ უაქტებს, ამიტომ მან შესძლო დაეკმაყოფილებინა ყაენის მოთხოვნა“.

მარკოს მოხსენებით გახარებული ხუბილაი მის შესახებ აღტაცებას გამოთქვამდა:

— „ყოჩალი ბიჭი ყოფილა! მკვირცხლია და თავის ტოლებს ყველას აჯობებს, უეჭველად ბრძენი და დიდი კაცი გამოვა“.

თავისი ჭკუისა და მოხერხების წყალობით, მარკო თანდათან მალლა მიიწევდა; ყაენის მოწყალებას იხვეჭდა და მის ქვეშევრდომთა მოკრძალებას. თითონ მარკო პოლო თავის ნაამბობში არ გვაცნობებს იმ როლის შესახებ, რომელსაც იგი ხუბილაის სასახლეში ასრულებდა, მაგრამ მარკო პოლოს მკვლევართა მიერ მოძებნილ იქნა ისეთი საბუთები, რომლებიც აშუქებენ ამ საყურადღებო საკითხს.

ფრანგმა მეცნიერმა პოტიემ, ჩინური მატრიანების შესწავლის დროს მიაგნო ღირსშესანიშნავ ცნობას, რომელიც 1277 წელს შეეხება. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ ვინმე პოლო დაინიშნა მეორე კლასის კომისრად *) და ჩაირიცხა იმპერატორის საიდუმლო საბჭოში. რაც შეეხება ნიკოლოზსა და მათეს, უეჭველია, ისინიც ასრულებდნ ხუბილაის სხვადასხვა დავალებებს.

ვენეციელებმა ჩინეთში 17 წელი გაატარეს და ამ ხნის განმავლობაში უდიდესი პატივი და გავლენა მოიხვეჭეს. ხუბილაის უყვარდა იტალიელები და განსაკუთრებით კი მარკო, რომელსაც ავალებდა უმნიშვნელოვა-

*) ტოგორც ცნობილია, ჩინეთში არსებობდა მოხელეების 10 კატეგორია. ამგვარად, მარკო პოლოს ხუბილაის სამეფოში ერთ-ერთი უზენაესი თანამდებობა ჰქონია.

ნესი დიპლომატიური და სახელმწიფოებრივი საქმეების შესრულებას. როგორც თვით მარკო მოგვითხრობს, წარჩინებულ მონღოლებს შურდათ მისი ბედი, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ ახალგაზრდა იტალიელ ას გონებრივი ღირსებები.

როგორია, რას წარმოადგენს თვით უზენაესი მეუფე და ციური იმპერატორი—ხუბილაი?! ის უკვე მოხუცია, სამოც წელს გადაცილებული. შუა ტანისა და სიმსუქნისაგან საზამთროსავით მრგვალი. მისი სქელი სხეული შემოსილია ყვითელი ფერის უძვირფასესი ტანსაცმელით, რომელზედაც გამოხატულია ფრინველები და გველეშაპები. ბრტყელ სახეს გარშემო მოკლე წვერი შემორტყმია. თვალები—წვრილი და შავი, იცქირებიან დავინებულის ინტერესით; მათში ისეთი აზრი და მოფიქრება გამოჰკრთის, როგორსაც არ მოელი ამ უშნოდ გასუქებული მოხუცისაგან. მარკომ იცის, რომ ევროპიელებს არ მოსწონთ მონღოლთა მიჰყლეტილი ცხვირები და ამიტომაც თავის ნაამბობში ჩქარობს ხუბილაი-ყაენის გარეგნობის შექებას:

„სახე თეთრი აქვს და ვარდის ფერიც გადაჰკრავს. ცხვირიც კარგი აქვს, არა უშავს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს“.

სასახლეში მონღოლთა იმპერატორი უზენაეს და ციური არსებათაა მიჩნეული. როდესაც ხუბილაი შემოდის სანადიმო დარბაზში, ყველა მისი ქვეშევრდომები პირქვე ემხობიან და რამდენიმე წუთის განმავლობაში დამხობილნი რჩებიან. საკმელ-სასმელს ხუბილაი-ყაენს მიაართმევენ მონღოლთა იმპერიის დიდებულნი, რომლებსაც ამ დროს პირი აბრეშუმითა აქვთ შეხვეული, რათა ქვეშევრდომების უწმინდურმა სუნთქვამ არ წაბილწოს მეუფის ტაბლა. როგორც კი იმპერატორი სასმელს მოინდომებს, მა-

შინვე იგრილებს მუსიკა დი დამსწრენი მუხლმოყრით
თაყვანსა სცემენ თავის ბატონს.

მიუხედავად ასეთი ცერემონიისა,*) სუფრის გარშემო
მსხდომი მონღოლები უხერხულად თავს სრულიადაც არა
გრძნობენ. ყველა სჭამს იმდენს, რამდენსაც კი ძოვრევა
და ამიტომაც ნადიმის გათავების შემდეგ ზოგიერთი ფეხ-
ზე ძლივს-ლა დგას. ვისაც სურს მასპინძელს პატივი სცეს,
მან... რამდენჯერმე უნდა „დააბოყინოს“, რაც გაძლომის
ნიშანია.

ქეიფის შემდეგ მასპინძელიცა და სტუმრებიც გართო-
ბას იწყებენ. დარბაზში შემოდინან მოცეკვავე ქალები, ჯამ-
ბაზები და ოინბაზები. განსაკუთრებით შესანიშნავია ეგ-
რედ წოდებული „კალათის ოინი“, რომელიც ინდოეთში
დღესაც კი გვხვდება და აღმოსავლეთის ერთერთ საოც-
რებას წარმოადგენს. იგი დამყარებულია მაყურებელთა
მასიურ ჰიპნოზზე.**)

სცენაზედ გამოდის მოხუცი გაძვალტყავებული ფაკი-
რი, (მოხეტიალე ბერი), სრულიად ტიტველი; მხოლოდ
თეძობის ირგვლივ ტილო აქვს შემოხვეული. მას გამო-
აქვს დახვეული სქელი ქოქოსის თოკი და მალლა შეაგ-
დება. თოკი გაიშლება და მაყურებელთა გასაკვირვებლად,
ვერტიკალურად ჩერდება. მისი ზემოთა ბოლო უხილავია,
სადღაც ჭერში ჰჭრება.

ფაკირის თანაშემწე, 12—13 წლის მკვირცხლი და
მარდი ბიჭი მაიმუნისავით აფოფხდება თოკზე და უცებ
გაუჩინარდება. ფაკირი გაბრაზებით უძახის მას, უბრძა-
ნებს ჩამოვიდეს უკან, მაგრამ მისი ბრძანება არ სრულ-
დება. მაშინ გაათვარებული მოხუცი კბილებით მოლუნულ

*) ცერემონიალი—სახეიშო მოქმედების წესი.

***) ჰიპნოზი—შთაგონება, ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ნების-
ყოფის დამორჩილება.

მახვილს იკაფებს და მიცოცავს თოკზე; მიაღწევს ჭერს და ისიც გაჰქრება. შემდეგ ზემოდან მოისმის სასოწარკვეთილი ყვირილი.

უცბად მიწაზედ ჩამოვარდება მოკვეთილი ხელი, მეორე ხელი, შემდეგ ფეხები, ტანი და ბოლოს საბრალო ბიჭის თავი. ბოროტად მოცინარი ფაკირი ჩამოცოცდება თოკიდან, გასისხლიანებულ ასოებს აჰკრიფავს, კალათაში ჩააწყობს, სამჯერ ტაშს დაუკრავს და... ჰოი, საოცრებავ! ბიჭი ცოცხალი და უვნებელი ამოხტება კალათიდან.


ეს ფოკუსი შეუჩვეველ მაყურებელზედ მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. როდესაც არაბმა იბნ-ბათუთამ პირველად უცქირა ამ ოინს, კინალამ შიშისაგან გრძნობა არ დაჰკარგა. ხუბილაის სასახლეში კი „კალათის ოინს“ ხშირ-ხშირად უჩვენებდენ.

ყოველივე ეს მაშინდელი ევროპისათვის უცხო ხილი იყო და ამიტომ მარკო პოლოს მოთხრობებს ხუბილაი-ყაენის სასახლის ყოფა-ცხოვრების შესახებ იტალიაში ყველა დიდის ინტერესით ყურს უგდებდა, — თუმცა მათი ჭეშმარიტება ყველას არა სჯეროდა.

17 წელი მოწლოთა იმპერატორის სამსახურში

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მარკო პოლომ 17 წელი გაატარა აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც მონღოლების სამეფო კარზე ერთერთ უმაღლეს პიროვნებად ითვლებოდა.

ამ 17 წლის განმავლობაში მარკო სრულიადაც არ იყო ერთ ადგილას გაჩერებული, არამედ პირიქით: მრავალი ახალი კუთხე გაიცნო, ბევრი ქვეყანა შემოიარა, ხუბილაი-ყაენის დავალებების ასრულების დროს.



ტ მ ა დ ა ლ ი (ჩინეთი)

მარკო პოლო, როგორც მახვილი გონებისა და მტკიცე მეხსიერების პატრონი, თავის ნაამბობში ბევრს საყურადღებო ფაქტებს გადმოგვცემს აღმოსავლეთის მაშინდელი ისტორიიდან და სხვადასხვა ძველი ქვეყნების ეკონომიკას, მოსახლეობასა და მის ყოფა-ცხოვრებას გვაცნობს.

მარკო პოლოს მეოხებით, ევროპამ პირველად ვაიგო ქალაქის ფულის არსებობა. მონღოლებზე ადრე ქალაქის ფულს ხმარობდენ ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში ჩინელები. 1160 წლის ახლო მდებარე ექვსწლიან პერიოდში ჩინელებმა გამოუშვეს ქალაქის ფულის ნიშნები დაახლოებით 43 მილიონი უნცია*) ვერცხლის ღირებულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთში და მის მეზობლად მდებარე ქვეყნებში ქალაქის ფული ხელისუფლების სათავეში მდგომი გავლენიანი პირებისათვის მძლავრ საშემოსავლო წყაროს წარმოადგენდა, მაგალითად, მანჯურიის იმპერატორებს 7 წლის განმავლობაში ბრუნვაში ჰქონდათ საკუთარი ასიგნაციების**) დიდი რაოდენობა, რის შემდეგაც შეცვალეს ისინი ახალი ნიშნებით იმნაირად, რომ ქალაქის ფულის პატრონებმა 80 პროცენტი წააგეს. მანჯურელების მაგალითს ბაძავენ მონღოლებიც და 1236 წელს ხუბილაიმ ძლიერ გააფართოვა ქალაქის ფულის ნიშნების გამოშვება.

ამის შესახებ მარკო პოლო გვიამბობს:

„ხშირად მოდიან ხოლმე ვაჭრები, მოაქვთ მარგალიტი, ძვირფასი თევლები, ოქრო, ვერცხლი, ოქრომკედისა და აბრეშუნის ქსოვილები. ეს ყველაფერი მათ საჩუქრად მოაქვთ დიდყაენთან. დიდი ყაენი მოუხმობს საგანგებოდ ამ საქმისათვის ამორჩეულ 12 ბრძე, კარისკაცს და უბრძანებს გასინჯონ ვაჭრების ძღვენი, შეაფასონ

*) უნცია—28,35 გრამი.

**) ასიგნაცია—ქალაქის ფულის ნიშნები.

და გადაუხადონ მათ სათანადო ღირებულება. ბრძენები ყველა ნიჭ-
თებს დაათვალიერებენ და ფასს ქალაქის ნაჭრებით უხდიან; ვაჭ-
რებსაც დიდის სიამოვნებით მიაქვთ ქალაქის ფული და ხმარო-
ბენ მას დიადი ყაენის მიწაწყალზე, საქონლის შესაძენად.

* კიდევ ერთს. გეტყვი: წელიწადში რამდენიმეჯერ მთელ ქა-
ლაქში გამოდის ბრძანება, რომ ყველამ ვისაც კი ძვირფასი თვლე-
ბი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი აქვს, მთლიანად მოიტანონ
დიადი ყაენის ზარაფხანაში. ასეც იქცევა ყველა, მიაქვთ განძეული
და ფასს ქალაქით იღებენ. ამიტოვაც, რაც კი ყაენის სამფლო-
ბელოში თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლი ძობიპოვება, ყველა-
ფრის პატრონი თვით ყაენია“.

ბოლოს და ბოლოს, ბევრი ქალაქის ფულის გამო-
შვება სახელმწიფოსათვის ძალიან საზარალო და ვაჭრო-
ბაში ხელისშემშლელ მოვლენად გადაიქცა. მაგრამ, ყო-
ველ შემთხვევაში, ჩინეთში მიღებული საკრედიტო ბილე-
თების სისტემა მაინც უკეთესი იყო, ვიდრე მაშინდელი
ევროპის ბაზრებზე გამეფებული ფულის მოუწყესრიგებ-
ლობა.

როგორც ვიცით, შემდეგში ქალაქის ფულმა ევრო-
პაშიც მოიღვა ფეხი და ამჟამად მთელ მსოფლიოში სწევს
„კეთილშობილ“ ლითონების მაგივრობას.

ფულის სისტემის გარდა, მარკო პოლო აგვიწერს სა-
ფოსტო კავშირს, რომელიც ჩინეთში მშვენივრად იყო
მოწყობილი. საფოსტო სადგურებით, გზებითა და ტრან-
სპორტით *) ქარგებლობდნენ იმპერატორის მოხელეები
და მათ შორის თვით ჩვენი ვენეციელი მოგზაურიც. და-
ახლოვებით ყოველი 30 კილომეტრის მანძილზე მოწყო-
ბილი იყო საფოსტო სადგური — დიდი, საუცხოვოდ აშე-
ხებული სახლი. თითოეულ სადგურს ჰყავდა 400 ცხენი,
რომელთა ნაწილი ყოველთვის იხად იყო დიადი ყაენის
შიკრიკებისათვის. გარდა ამისა, იმპერატორის მიხელისა-

*) ტრანსპორტი — მიმოსვლის და გადაზიდვის საშუალებანო.

თვის ყველა სადგურში ჰქონდათ მდიდრული ლოჯიხები და აბრეშუმის საბნები.


შორეულ მოგზაურობებში მარკო პოლომ ნახა და გაიცნო ის ქვეყნები, რომლებიც დღეს ცნობილია ტიბეტის, მონღოლეთის, ინდოჩინეთის და სხ. სახელით. ვენეციელი მოგზაური, სხვათა შორის, ხუან-ჰეს და იან-ცზი-კიანგის წაყოფიერ ხეობებსაც ეწვია, რომლების ნაპირებზეც აღორძინდა და ჰყვაოდა ძველი ჩინეთის კულტურა.

მარკო პოლოს მოგზაურობის დროს ხუან-ჰე სანაოსნოდ უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ამჟამად, რაც ოკეანის დონის ცვლილებით აიხსნება. ამიტომაც ჩინეთის შინაგან ნაწილებში მისასვლელად პოლო ნავებით სარგებლობდა. მან ინახულა ჩინეთის ის განთქმული არემარეები, რომლებშიც ნიადაგი ე. წ. ლიოსისაგან შესდგება.

ლიოსი წარმოადგენს შუა აზიის მთებიდან ქარის მიერ ჩამოტანილ თიხნარს მტვერს გაფენილს ჩინეთის დაბლობებზე და დროთა განმავლობაში მკვრივად დატკეპნილს. ლიოსი — საუკეთესო ნიადაგია, მასხედ მშვენიერი მოსავალი მოდის და განაყოფიერებასაც სრულიად არ მოითხოვს. ლიოსი იმდენად რბილია, რომ მიწის მოხვნის დროს ჩინელები ხშირად უპირუტყოდაც იოლათ მიდიან და ნიჩბებით ბარავენ ნიადაგს. ლიოსშივე აკეთებენ ოთახებს, რომლებიც სახლების მაგივრობას უწევენ.

სამაგიეროდ, ლიოსიან მხარეში ადამიანს ძალიან აწუხებს მტვერი და ტალახი. ქარის ერთ წამობერვას შეუძლია მტვრის ღრუბლებით აავსოს სივრცე, ხოლო წვიმას წებოსავით ტალახი მოსდევს. ლიოსის სითბილის გამო, აქაური გზები ეტლების მიძოსვლით თანდათან ღრმავდება და ზოგიერთ შემთხვევაში 10—30 მეტრის სიღრ-

მე დერეფნადაც გადაიქცევა, მიღიხარ და თავს საპყრო-
ბილესში გრძნობ.



მარკო პოლოს უამბეს, რომ აზიის მთებში ცხოვრობს
ხალხი, რომელსაც ძაღლის თავები აზია. მარკო პო-
ლოს სჯეროდა ასეთი მახინჯი ადამიანების არსებობა.

როგორც უკვე ითქვა, ხუან-ჰეს გარდა, მარკო პოლო
ეწვია ჩინეთის მეორე დიდი მდინარის — იან-ცზი-კიანგის
ხეობასაც. მართალია, ამ მდინარეშიც, ლიოსის მეოხე-
ბით, წყალს ყვითელი ფერი გადაჰკრავს, მაგრამ ჩინელები
მას მაინც „ცისფერ მდინარეს“ უწოდებენ, ვინაიდან
მათის რწმენით ეს მდინარე მიძღვნილია ცისადმი. მდი-
ნარეზე მიდი-ჰოდის მრავალი ნავა; ჩინელები მეთევზეო-
ბას მიხედვენ იან-ცზი-კიანგის ნაპირებზე და არა ერთ-
გან შეხვდები წყალზედ გამართულ ბოსტნებსაც: ტივებ-
ზე მიწასა ყრიან და ზედ ბოსტნეული მოჰყავთ.


იან-ცზი-კიანგის უზარმაზარმა შენაკადმა მინ-ცზიანმა,
რომელიც ქალაქ ჩენ-დუ-ფუზედ მიედინება, მარკო პო-
ლო განცვიფრებაში მოიყვანა:

„სიგანეზე მდინარე, სწორედ რომ ვთქა, ნახევარი მილი იქნება და მეტად ღრმაა. მიდის ძალიან შორს, თვით ოკეანემდე და იწოდება „კიან-სუი“-დ, მდინარის ნაპირებზე უამრავი ქალაქები და კოშკებია აგებული, ვისაც საკუთარი თვალათ არ უნახავს, ის ვერ დაიჯერებს, რამდენ საქონელს მიაცურებენ ვაჭრები ამ ზღვასავით განიერ მდინარეზე“...

რუსტიჩიანო პიზანელის ხელნაწერის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მარკო პოლოს მიერ მონღოლთა იმპერატორის სამსახურში გატარებულ ხანას, წარმოადგენს კრელ კრებულს, რომელშიც თავმოყრილია ცნობები აღმოსავლეთ აზიის გეოგრაფიიდან, ეტნოგრაფიიდან, ისტორიიდან, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებიდან და სხ. რასაკვირველია, მარკოს ნაამბობში ჩვენ ვერ ვიპოვით რაიმე სისტემატიურ აღწერილობას და ვერც მოვითხოვთ ამას, ვინაიდან ვენეციელ ვაჭარს მიხნად არა ჰქონია ეს დასახული. ისტორიკოს-გეოგრაფები მადლიერნი უნდა იყვენ იმ ცნობებითაც, რომლებსაც იძლევა რუსტიჩიანოს ჩანაწერი. ამ ცნობების შედარება ჩინურ ხელნაწერთან საშუალებას იძლევა აღდგენილი იქნეს იმ დროინდელი ჩინეთის უტყუარი სურათი, თორემ ამ ხელნაწერის გარეშე ძრავალი რამ თანამედროვე მეცნიერებისათვის სავსებით უცნობი და გაუგებარი დარჩებოდა.

მარკო პოლოს ნაამბობი საინტერესოა კიდევ იმ მხრივაც, რომ შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა 6—7 საუკუნის ძახძილზედ იმ ქვეყნებში, რომლებსაც იგი აგვიწერს. მაშინდელი სოციალური და პოლიტიკური ყოფა მკაფიოდ მოჩანს მარკოს მიერ აღწერილი ეპიზოდებიდან და მის მიერვე გამოთქმული მოსაზრებებიდან.

თუ ჩვენ მიხნად დავისახავთ გავიმეოროთ ვენეციელის მოგზაურობა და მისი მარშრუტით აზიის საქარავნო გზებს



ვიწოლ კლდოვანი ხეობა ჩინეთის იმპერიის სამხრეთ ნაწილში,
ინდო ჩინეთის საზღვრის ახლო.

გავყვებით, დავინახავთ რომ აზიის ქვეყნებს სხვადასხვა-
ნაირი ბედი ეწვია.

სპარსეთში, ავღანისტანში, მონღოლეთსა და ჩინეთში
ცხოვრება თითქმის არ შეცვლილა. თავრიზში ბაზრობა
ეხლაც იმნაირია, როგორც მარკო პოლოს დროს იყო;
სპარსეთის უდაბნოებში და სინ-ცზიანის ბილიკებზეც
მგზავრს ისევ ძოვლის ყაჩაღების მხრივ ხიფათი, რომლის
შესახებაც ჩვენი მოგზაური მოგვეთხრობს. მონღოლები
კულტურისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ ეხლაც თითქმის
იმავე დონეზე იმყოფებიან, როგორც მე-13 საუკუნეში და
ტიბეტიც საშუალო საუკუნეების სიბნელითაა მოცული.

კულტურულმა ევროპელებმა, რომლებმაც თავისი გავ-
ლენის ქვეშ მოაქციეს ხსენებული ქვეყნები, ადგილობრივ
მოსახლეობას კარგი ვერაფერი მოუტანეს. დეე, გაიყვა-
ნონ ინგლისელებმა საავტომობილო გზები და თავისი კო-
ლონიების ცენტრებში უნივერსიტეტებიც გახსნან—სულ
ერთია ეს ყველაფერი აზიის შვილებისთვის არ არის მოწ-
ყობილი. უცხოეთის იმპერიალისტებს ურჩევნიათ კოლო-
ნიებში კულტურულად ჩამორჩენილი ხალხი ყავდეთ, ვიდ-
რე შეგნებული ერი, რომელიც „თეთრ ბატონებს“ ზარ-
ბაზნებს დაუმიზნებს და თავისუფლებას მოითხოვს.

სწორედ ამიტომაც ხდება, რომ კაპიტალისტები ცდი-
ლობენ არ მიუშვან აღმოსავლეთის დამონებული ერები
კულტურასთან. ვინაიდან რელიგია ყოველთვის ეწინააღ-
მდეგება ახალ კულტურას, ამიტომ იმპერიალისტები რე-
ლიგიას მუდამ მხარს უჭერენ, ვინ არ იცის, მაგალითად,
რომ ტიბეტელების „ცოცხალი ღმერთი“—დალაი-ლამა
და ისმაილიტების (თაჯიკებისა და ავღანების) „ცოცხა-
ლი ღმერთი“ ალა-ყაენი სინამდვილეში დიდი ბრიტანე-
თის აგენტები და ყურმოჭრილი ყმები არიან?! ამგვარად
იმპერიალისტებმა ყოველგვარ ხრიკებითა და ძალდატა-

ნებით შეძლეს აზიის ქვეყნების განვითარების შეჩერება, ერთ წერტილზე გაყინვა.

ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილშია მოქცეული. ასეთია თურქმენისტანი, თაჯიკისტანი, ყირღიზეთი და ჩრდილო-მონღოლეთი. „ყორანისა“ და ფეოდალური ჩაგვრის ქვეყანაში დღეს მშრომელთა მთავრობა მშენებლობას ეწევა. „ქვეყნიერების ბანს“ ჰამირს უკვე გარშემო ურბენს საავტომობილო გზატკეცილი, რომლითაც აქაური ხეობების მოსახლეობას ეგზავნებათ პური, ხივთიერ და კულტურულ მოთხოვნილებათა საგნები. თურქმენისტანის უდაბნო უახლოეს წლებში მთლიან წალკოტად გადაიქცევა და მარკო პოლო რომ გაცოცხლდეს, იგი ველარ იცნობდა ყარა-ყუმის უდაბნოს...

მარკო პოლოს იტალიაში დაბრუნება და ცხოვრება

1286 წლის გაზაფხულზედ საქართველოში მყოფს, სპარსეთის მფლობელს, მონღოლ ილხან არღუნს, მოუკვდა ცოლი—ბულღან-ხათუნჯი.

დაქვრივებულმა ილხანმა განიზრახა ახალი ქორწინებით განემტკიცებინა თავისი ნათესაობრივი კავშირი ჩინეთის იმპერატორთან და მონღოლეთის თავად-აზნაურობასთან. ხუბილაი-ყაენს დესპანები გაუგზავნა და საცოლეს სთხოვა.

პეკინში ილ-ხანის საცოლედ უფლისწული კუკაჩინა ამოარჩიეს. მარკო პოლოს თქმით, კუკაჩინა „17 წლის, ლამაზი და საამური შესახედავი“ ქალი იყო, რომელიც ბულღან-ხათუნის გვარს ეკუთვნოდა.

ილხანის დესპანებმა დიდის ზემოთ წაიყვანეს პატარა და საქარაავნო გზებს გაუდგენ, მაგრამ ამ დროს იმ-

პერიის დასავლეთ საზღვართან ომი ატყდა და პატარძალი მაყრებთან ერთად უკან დაბრუნდა.

ამ მომენტით ჩვენმა ვენეციელებმა ისარგებლეს, რომლებსაც აქამდე ხუბილაი-ყაენი იტალიაში დაბრუნების ნებას არ აძლევდა. სამივენი მივიდნენ იმპერატორთან და ნება სთხოვეს გაჰყოლოდნენ საზღვაო გზით ილხანის საცოლეს-პარსეთში.

იმპერატორმა ცოტა ხანს იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა და ვენეციელები კუკაჩინას მეთვალყურეებად დანიშნა.

მარკო პოლო ნაწილობრივ უკვე იცნობდა იმ ქვეყნებს, რომლებზედაც მათ ეხლა ხომალდით უნდა გაეარათ, ვინაიდან 1287-დან 1292 წლამდე მან ხუბილაი-ყაენის დიპლომატიური დავალებების შესასრულებლად იმოგზაურა ზონდის არქიპელაგზე, სიაქში და ინდოეთში.

ზღვის ქარმა გააქროლა მათი ხომალდი სამშობლოსაკენ. გაიარეს კუნძული სუმატრა, ინდოეთის ნაპირები, ცოტა ხნით შეჩერდნენ ნიკობარისა და ანდამანის კუნძულებთან, ცვილონთან, შევიდნენ თანამედროვე ბომბეის უბეში და როგორც იყო, ორი წლის მოგზაურობის შემდეგ, სპარსეთის ნავთსადგურ ორმუხში მივიდნენ.

ვენეციელებმა კეთილსინდისიერად შეასრულეს ხუბილაის დავალება და კუკაჩინა უვნებლად გადასვეს სპარსეთის მიწაზე.

მაგრამ ამ დროს თვით საქმრო—ილხან არლუნი ცოცხალი აღარ იყო. ჯერ კიდევ 1291 წელს, როდესაც კუკაჩინა ხუბილაის სასახლეში იმყოფებოდა, ილხანი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. ტიბეტელმა ექიმბაშებმა ილხანს რაღაც „წამალი“ დააღვეინეს, რომელშიც ყაენის ერთერთმა ცოლმა მისი გულის მოსაგებად შელოცვილი ფესვები ჩაურია. ცოტა ხნის შემდეგ ილხანი სააქაოს



ასე გამოიყურებოდა მარკო პოლოს დროს ხუბილა-ყენის ფლოტი. ასეთი ხომალდებით
შემოუარა მარკო პოლომ მთელ აზიას, როდესაც ჩინეთიდან სამზობლოში დაბრუნდა.

გამოეთხოვა და საიქიოს გაემგზავრა. მეტიჩარა ქალი, რათქმა უნდა, მდინარეში გადაისროლეს, მაგრამ ილხანს ამით ვერაფერი ეშველა.

ილხანის ადგილი მისმა ძმამ გაიხატუმ დაიჭირა, ხოლო მისი მემკვიდრე ლაზანი კი ცარიელზე დატოვა. სამაგიეროდ ლაზანმა გაიხატუს ბრძანებით კუკაჩინა მიიღო. ვინც მის მამას უნდა შეერთო ცოლად, ლაზანს დარჩა. ვენეციელებმა ლაზანს პატარძალი ჩააბარეს და თავისუფლად ამოისუნთქეს, ვინაიდან ეხლა სამშობლოს გზა მათთვის ღია იყო.

„რალა ბევრი ვილაპარაკო?—გვიამბობს მარკო პოლო.—სამივენი გამოვემშვიდობეთ გაიხატუს, გზას გაუდექით. მივედით ტრაპიზონში, იქიდან კონსტანტინეპოლში, ნეგროპონტში და 1295 წელს ვენეციასაც მოვატანეთ“.

*
* *

ვენეციაში ნიკოლოზი, მათე და მარკო თითქმის აღარავის ახსოვდა. დიდი ხანია, რაც ისინი ყველას მკვდრები ეგონათ და ამიტომ, როგორც სრულიად უცხო ხალხს, ისე შეხვდნენ. როდესაც პოლოებმა თავისი ვინაობა აცნობეს, ყველა უნდობლად მოექცა; არ დაუჯერეს, რომ ეს თათრულ ტანსაცმელში გამოწყობილი, მზისა და ქარისაგან დამწვარი უცნობები—არიან მათი ძველი მეზობლები და თანამემამულენი.

რამუზიო მოგვითხრობს, რომ ურწმუნო მეზობლების დასაჯერებლად ვენეციელმა მოგზაურებმა შემდეგ საშუალებას მიმართეს:

ძმებმა ნიკოლოზმა და მათემ წვეულება გამართეს და ყველა თავისი ნათესავ-ნაცნობები დაპატიჟეს. როდესაც სტუმრები შეიკრიბნენ და მიუსხდნენ მაგიდას, მასპინძლები

შიგნითა ოთახებიდან წითელ აბრეშუმის გრძელი ტან-საცმელით მოკაზმულები გამოვიდნენ. ჩამოართვა, თუ არა ლაქიამ სტუმრებს ხელების დასაბანი წყალი, პოლოები ისევ გავიდნენ და სხვანაირი, ალისფერი დამაჯი-ნის სამოსელით მოველინენ დამსწრეებს. პირველ კერძის შემდეგ იგივე გაიმეორეს. ნიკოლოზმა, მათემ და მარკომ ეხლა მოვარდისფრო თათრული ხალათები ჩაიცვეს, შემდეგ ძვირფასი ქსოვილი დასჭრეს და ნაჭრები მსახურებს დაურიგეს. მესაძედ კი მოგზაურები გამოვიდნენ ხავერდის ტანისამოსით, რომელსაც იმ დროს ვენეციაში ხმარობდნენ, ეს ტანსაცმელიც მსახურებს გაუნაწილეს. მასპინძლების უცნაურმა ქცევამ სტუმრებში განცვიფრება და შიში აღ-ძრა. ბოლოს და ბოლოს, პოლოებმა ისევ ის ტანსაცმე-ლი ჩაიცვეს, რომლითაც მოვიდნენ ვენეციაში, შემდეგ და-ნებით სარჩული გამოსჭრეს და აღფრთოვანებული მაყუ-რებლების წინაშე გადმოალაგეს უამრავი ძვირფასი თვა-ლი: აღმასი, ლალი, ზურმუხტი. საფირი, მარგალიტი, ფირუზი, კარბუნკული და სხვ. ყველას გაოცების ყვირილი აღმოხდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუბილაის სატახტო ქა-ლაქიდან წამოსვლის წინ მოგზაურებმა მთელი თავისი ქო-ნება თვალმარგალიტზე გადაცვალეს და იმდენი განძი შე-აგროვეს, რომ ეხლა ვენეციაში მათზე მდიდარი კაციც არ მოიძებნებოდა.

ახალი ამბავი ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო. მთე-ლი მოსახლეობა პოლოს სახლთან შეიკრიბა. შორეული ჩინეთიდან დაბრუნებულებს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, ულო-ცავდნენ, ესალმებოდნენ. ამგვარად პოლოებმა თავიანთი სა-ხელი აღიდგინეს და მოქალაქეობრივი უფლებებიც დაიბ-რუნეს.


მკითხველებმა ამ ნარკვევის შესავლიდან უკვე იციან მარკოს გენუელთა ტყვეობაში ძოხვედრის ამბავი, რაც

მოხდა ჩინეთიდან დაბრუნების მესამე წელს. ვენეციასა და გენუას შორის ზავის დადების შემდეგ, მარკო პოლო მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და ამის შემდეგ სიკვდილამდის ვენეციის წარჩინებულ, პატიოსან და დარბაისელ მოქალაქედ ითვლებოდა.

სანამ მარკო გენუის საპყრობილეში იჯდა, მისმა მამამ—მოხუცმა ნიკოლოზმა ცოლი შეირთო და მეორე ვაჟი შეეძინა. ტყვეობიდან დაბრუნებულ მარკოს სახლში პატარა ძმა დახვდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძმა მას მამის მემკვიდრეობის ნაწილს ართმევდა, მარკოს ამაზე ჯავრით თავი არ შეუწუხებია და შემდეგში თითონაც დაცოლშვილებულა. მორეტტა და ფანტინა—ასე უწოდებდნენ მის ქალიშვილებს.

მარკო პოლოს ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ ცნობები თითქმის არ შენახულა. დარჩენილია მხოლოდ ერთი საბუთი—„ვენეციის უზენაეს საბჭოს“ დადგენილება მარკო პოლოზე ჯარიმის დადების შესახებ. როგორც ამ საბუთიდან ირკვევა, „კეთილშობილი მოქალაქე მარკო პოლო“ წესიერად არ ინახავდა წყლის გასასვლელ მილს ქუჩაში, რისთვისაც ჯარიმა მიესაჯა. ამ დროს მისი ორივე ქალიშვილი უკვე გათხოვილები იყვნენ, რაც ჩანს მის მიერ 1324 წელს დაწერილი ანდერძიდან.

1325 წელს, როგორც საბუთებიდან ვგებულობთ, მარკო პოლო—მონღოლეთის იმპერატორის სტუმარი და მოხელე, უდიდესი მოგზაური, უკვე გარდაცვლილი იყო.



17 წელი გავიდა იმის შემდეგ, რაც მარკო პოლო თავის მამასთან და ბიძასთან ერთად შორეულ ქვეყნებში გაემგზავრა. ერთ მშვენიერ დღეს მოგზაურებმა მოულოდნელად მიაკაკუნეს თავისი სახლის კარზედ, მშობლიურ ვენეციაში.

ს ვ ე ნ ჰ ე დ ი ნ ი ცენტრალური აზიის დაუღალავი მკვლევარი

როგორ გაეღვიძა პატარა სვენს
მოგზაურობის წყურვილი

1879 წელს შვედეთის დედაქალაქს—სტოკჰოლმს მოადგა გემი.

ნავთსადგური დროშებით, მწვანე ტოტებითა და ფერადი სანათურებით იყო მორთული. ნაპირზე თავი მოეყარა თითქოს საღღესასწაულოდ მოკაზმულ ხალხს, რომელიც ბალტიის ზღვიდან შემომავალ პატარა გემს ზარბაზნების ჭექა-ქუხილით და „ვაშას“-ს ძახილით ხვდებოდა.

ამ ხალხში ერია პატარა ბიჭი—სვენი, სტოკჰოლმელი ძოქალაქის ლუდვიგ ჰედინის ვაჟიშვილი, რომელიც სხვებთან ერთად მოუთმენლად ელოდა გემის ნაპირზე მიდგომას.

ან კი როგორ არ უნდა ეცადნა, როდესაც ამ შედარებით მცირე გემმა ზღაპრული თავგადასავალი გამოიარა?! ეს ხომ ის გემი იყო, რომლითაც შვედეთის გამგებდავმა მოგზაურებმა—ნორდენშელდმა და პოლანდერმა მთელს აზიას გარშემო შემოუარეს!

ხორდენშელდმა და ძისმა თახამგზავრენმა აიოველზდ გაარღვიეს ყინულოვანი ზღვები და ციმბირის დაუსრულებელი ჩრდილო სანაპიროების გასწვრივ თავისი გემი „ვეგა“ უხიფათოდ გაატარეს.

უხიფათოდ?! არა, ეს არ არის მართალი. ყინულოვან ზღვებში სიკვდილის ხიფათი ყოველ ნაბიჯზეა მოსალოდნელი, მაგრამ ნორდენშელდისა და მისი გემის ეკიპაჟის გმირობამ ყველა განსაცდელი სძლია.

პატარა სვენი სხვებსავით აღტაცებულია ნორდენშელდისა და პოლანდერის გმირობით.

აი, გემის ბაქნიდან ნავთსადგურის ბაქანზე ორი კაცი გადმოვიდა. მოზღვავებული ხალხი სწრაფად გარს შემოეხვია ჩამოსულებს. ნორდენშელდი და პოლანდერი ხელს ართმევენ ყველას, ვინც კი მათი ამაგის პატივსაცემად მოსულა. ფოტოგრაფები წამდაუწუმ აჩხაკუნებენ თავის აპარატებს, ჟურნალისტები კი ესაუბრებიან მოგზაურებსა და მათ ნაამბობს წიგნაკებში იწერენ.

სვენი მორცხვობს, ვერ გაუბედნია ამ მამაც ადამიანებთან ლაპარაკი, მაგრამ უკანა რიგებში დგომის დროსაც იმსჯვალება მათდამი პატივისცემით და უსიტყვოდ ფიცსა სდებს:

— „მეც თქვენსავით ბევრ ღამეს გაატარებ ვარსკვლავების ქვეშ...“

ამის შემდეგ პატარა ბიჭუნა თანდათან ეჩვივა იმ აზრს, რომ იგი მოგზაური გახდება. მთელი დღე ჩაპკირკიტებს იატაკზედ გაშლილ დიდ ქაღალდს, რომელზედაც მას მსოფლიოს რუკა დაუხაზავს, მას სადილობას დროც აღარ ახსოვს, — სადილობასთვის სცხელა განა სვენს, როდესაც დედაძიწის ზურგზედ ამდენი რამ დარჩა შეუსწავლელი და უნახველი?! აი, თუნდაც ეს აზია, უზარმაზარი ხმელეთი, რომლის შუა ნაწილის რუკაზე თეთრი ადგილე-

ბია, ვინაიდან რუკის შემდგენელებმა არ იცოდნენ როგორია ის ადგილები, რა მდინარეები და მთები მდებარეობს იქ, სადაც ჯერ ევროპიელ მოგზაურს ფეხიც არ შეუდგამს. სვენმა მტკიცედ გადაწყვიტა ემოგზაურა ცენტრალურ აზიაში.

— მე მიხდა, რომ რუკებზედ მოისპოს თეთრი ლაქები, რომლებზედაც დაწერილია: „Unexplored“ — „გამოუკვლეველია.“

ამ ძივნის გაქსახორციელებლად სვენი არაფერსა ზოგავს. ჯერ ერთი, უეჭვოა, რომ მოგზაურს უნდა შეეძლოს გადაიტანოს ყოველგვარი გაჭირვება: სიმშლი, სიცხე, სიცივე. ამიტომ ზამთარ-ზაფხულ ძისი ოთახის ფანჯარა ღიაა და გრილი ზღვის ჰაერი თავისუფლად დანავარდობს სვენის ოთახში. მშობლებს და სვენის უმცროს დას—ალმას ეშინიათ, რომ ბიჭი გაცივდება და ავად გახდება, მაგრამ სვენი თავისას განაგრძობს და თავს მშვენივრად გრძნობს.

უცხოში ქვეყნების მკვლევარი, გამძლეობის გარდა, სამეცნიერო ცოდნითაც უნდა იყოს შეიარაღებული. სვენი არც ამაში ჩამორჩება: გატაცებით სწავლობს ტოპოგრაფიას, ხაზვას, ალმოსავლეთის ენებს.

სვენის მშობლები ხელს არ უშლიან შვილის მისწრაფებას, ისინი ხედავენ, რომ სვენს მძლავრი ნებისყოფა და მაღალი მიზანი აქვს და არ სურთ ხელი შეუშალონ მას ცხოვრების გზის გაკაფვაში.

მაგრამ სვენის დეიდები და ძაღუები, რომლებიც შეჩვეულნი არიან ქალაქის მყუდრო ცხოვრებას, ეწინააღმდეგებიან სვენის მიდრეკილებას. „ეს ბიჭი მაწანწალათ გაიზრდება“. ხშირად ამბობს დეიდა ავგუსტა, ხოლო დეიდა მარტა ყოველთვის ადასტურებს მის ნათქვამს.

„ვინც რა უნდა სთქვას, წისკვილმა კი ფქვას“ — ფიქრობს სვენი და ყურადღებას არ აქცევს ნათესავების, ანუ, როგორც თითონ უწოდებს — „წინაპრების“ მიტქმა-მოთქმას. სვენს მტკიცედ სწამს, რომ მის მიერ ამორჩეული გზა კაცობრიობის კეთილდღეობისკენაა მიმართული.

სვენი მოგზაურობს მცირე აზიაში

იმ დღეს, როდესაც სვენს 20 წელი შეუსრულდა, ჰედიზების ოჯახში გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა საჩუქარი მიეძღვნათ სვენისათვის.

მამამ — ლუდვიგ ჰედიზმა სათვალეები შუბლზე აიწია და მხრები აიჩეჩა:

— რა ვაჩუქოთ სვენს? ჩვენ მას იმდენი სახაზავი ხელსაწყოები, იმდენი ფოტოგრაფიული აპარატები, საღებავები, ალბომები, საგზაო ჩანთები, უბის წიგნაკები ვუსახსოვრეთ, რომ შეუძლია შეაგროვოს ერთად და უნივერსალური სავაჭრო გახსნას. ველ მომიაზრია, რა შეიძლება ვაჩუქოთ...

— ცოცხალი აქლემი!

დაიყვირა პატარა გოგონამ — ალმამ.

ალმა დასცინის სვენს, ვინაიდან მას შურს, რომ თითონაც ბიჭი არ არის და შორეულ ქვეყნების ნახვაზედ ვერც კი იოცნებებს.

მაგრამ სვენს არ სწყენია დის ნათქვამი:

— აქლემი მართლაც კარგი საჩუქარი იქნება! — აცხადებს ღიმილით ჭაბუკი. — ხვალ მე მცირე აზიაში მივემგზავრები!..

— რაო? — იყვირეს ყველამ ერთად. — ხვალ?!. აზიაში?!

— დიახ. ინჟინერი ზანდგრენი წინადადებას მაძლევს კავკასიაში გავყვე, რომ იმის შვილს მასწავლებლობა გავუწიო. მე მგონია, რომ შეეძლებ ვასწავლო გეოგრაფია.

ისტორია, მათემატიკა და ფიზიკა. ამავე დროს კი მეც ბევრს რაქვს ვნახავ და შევისწავლი.

ლიუდვიგ ჰედინმა სათვალეები შუბლიდან ისევ ცხვირზე ჩამოიწია და სთქვა:

— მაშ მეტი საჩუქარი აღარც გინდა: კავკასიაზედ უკეთეს ჯილდოს ვერც ჩვენ გიშოვნით!

ლიუდვიგი სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა სვენის ამ განზრახვას, ვინაიდან მისი აზრით ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს სხვის დაუხმარებლად თავისი ცხოვრების გზის გაკაფვა.

ერთი კვირის შემდეგ სვენმა სტოკჰოლმი დატოვა. კავკასიაში მან სწრაფად შეისწავლა რუსული და თურქული ენები და შემდეგ ბაქოდან სპარსეთისაკენ გაემგზავრა. ქალაქ ბაღდადში, სადაც „ათასერთი ღამის“ მოწმობით ოდესღაც ცხოვრობდა ხალიფი ჰარუნ-ალ-რაშიდი, სვენი პოლიციელმა დააპატიმრა, როგორც საეჭვო პიროვნება, მაგრამ მალე ისევ გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ ქუჩებში ფოტო-სურათებს არ გადაიღებდა და არც რამეს ჩაიხატავდა ალბომში.

ბაღდადიდან სვენი გაემგზავრა უძველესი კულტურის ნაშთების სანახავად ბაბილონსა და ნინევიასში, სადაც იმ დროს ევროპიელი არქეოლოგები გათხრას ახდენდნენ. მაგრამ არც ამან ამოსწურა სვენის ცნობისმოყვარეობა; სვენმა დაიქირავა ერთი ცხენი და გაჰყვა ვაჭრების ქარავანს, რომელიც ქალაქ ქერმან-შაჰში მიდიოდა.

სახლვარზე დარაჯებმა შარი მოსდეს ჰედინს, მაგრამ სვენმა ადგილობრივ გუბერნატორს ცოტაოდენი ქრთამი მისცა და გზა განაგრძო. მალე სვენს მოხვებდა ქარავანის ზანტი სიარული და მოურიგდა ერთ არაბს, რომელსაც საუცხოვო ბედაური ჰყავდა. მართალია, იმასი კრო-

ნის გადახდის შემდეგ, რომლებიც არაბმა მოსთხოვა, სვენის ჯიბეში ხურდა ფულიც კი აღარ დარჩა, მაგრამ ახალგაზრდა მოგზაური ხვალინდელ დღეზე არ დადარდიანდა, შემოუჯდა არაბს ცხენზე და ორივენი ჭენებით გაემართენ ქერმან-შაჰისაკენ. არაბი გზა და გზა უამბობდა სვენს, რომ ამ გზაზე ყაჩაღები ხშირად ძარცვავენ მგზავრებს და ამიტომაც სვენს რევოლვერი მზადა ჰქონდა თავდამსხმელების დასახვედრად.

საბედნიეროდ, გზაში ერთი ყაჩაღიც არ შეხვედრიათ და ორივენი მშვიდობით მივიდნენ ქერმან-შაჰში. სვენმა არაბს 100 კრონა მისცა და თითონ ცალიერი დარჩა სრულიად უცხო ქალაქში, სადაც ერთი ნაცნობიც კი არა ჰყავდა.

სვენი ქვაზედ ჩამოჯდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რომ სიმშილის მსხვერპლი არ გამხდარიყო. ღამდებოდა და მას კი თავშესაფარიც არ გააჩნდა. ამდროს მას გაახსენდა, რომ ქერმან-შაჰში ცხოვრობს მდიდარი არაბი, ალა-მუჰამედ-ჰასანი, რომლის მრავალრიცხოვან ჩარავნებს დააქვთ საქონელი მექადან—სამარყანდში. სვენმა იცოდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში სტუმრებს გულუხვად უხვდებიან და ამიტომ მოურიდებლად მიადგა მდიდრის სასახლეს.

ალა-მუჰამედ-ჰასანი ამ დროს ხალიჩაზე ბალიშებ-შემოწყობილი იჯდა და დასტა-დასტა წერილებს კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ სვენი ცუდად ჩაცმული და სულ მტვერში ამოვანგლული იყო, არაბი მას თავაზიანად შეეგება.

არაბმა ჰკითხა:

— სადაური ბრძანდებით?

სვენმა მიუგო.

— შეეციიდან გახლავართ.

— შვეცია? სად არის ეგ ქვეყანა?

— რუსეთისა და ინგლისის შორის!

არაბმა გაუღიმა ჰედიხს და უთხრა:

— რა კი თქვენ ასეთი შორეული ქვეყნიდან მობრძანებულხართ, ჩემთან რ თვეზე ნაკლები არ უნდა დარჩეთ. რაც მე მეკუთვნის—თქვენად იგულეთ. ჩემი მსახურები გიჩვენებენ ბაღსა და სასახლეს, შევმოსავენ და გაგმასპინძლდებიან. იმედი მაქვს, არ მოიწყენთ ჩემთან...

სვენმა თავი „შეჰერაზადას“ ზღაპრის უფლისწულად იგრძნო, როდესაც მას მიაართვეს შემწვარი ცხვრის ხორცი, ნოყიერი ფლავი, ყველი და ტკბილი სასძლეები. რამდენიმე ღამე მარმალღოს აუზთან გაატარა, სადაც დასრიალებდნენ ოქროსფერი თევზები და ჰფეთქავდა ანკარა შადრევანი. მაგრამ სვენმა არაბთანაც დიდხანს ვერ გაძლო, ვინაიდან თავი მუქთახორად იგრანო, ძობებრდა უსაქმოდ ჯდომა, განცხრომა და გადასწყვიტა თეირანისაკენ გამგზავრება.

სწორედ ამ დროს თეირანში მიდიოდა ფოსტა საწი შეიარაღებული მხედრის თანხლებით. ქერმან-შაჰიდან თეირანამდე 500 კილომეტრია და მთელს ამ მანძილზე საფოსტო ქარავანი მხოლოდ 1 დღესა და 1 ღამეს ჩრდება ჰამადანში, დანარჩენ სადგურებზედ კი სასწრაფოდ ცვლიან დაღლილ ცხენებს. რაც შეეხება კაფას, გზაში კვერცხის, პურისა და ხილეულის გარდა არაფერი მოიპოვება.

როდესაც სვენი ცხენზე შეჯდომას აპირებდა, მასთან მივიდა მდიდარი არაბის მდივანი—მირზა-მიზაქი და გადასცა სვენს ალა-მუჰამედ-ჰასანის საჩუქარი: ვერცხლით გატენილი პარკი.

სვენმა არ იცოდა როგორ გამოეხატა თავისი აღტაცება არაბის საჩუქრის გამო, ვინაიდან ეს ვერცხლიანი

პარკი მას საშუალებას აძლევდა სამშობლოში დაბრუნებულყო.

ქერმან-შაჰიდან სვენ ჰედინი, ეტიკი ალი-ეჰბერი და სამი მცველი ჭენებით გაეშურენ თეირანისაკენ. პირველივე 16 საათის განმავლობაში მათ 160 კილომეტრი გაიარეს. დილით მათ წინ აღემართათ დემავენდის დათოვილი სერები. მთელი დღე სვენმა ჰაძაღანში გაატარა: გამოიძინა და დაათვალიერა ეჰბათანის ნანგრევები, რის შემდეგაც საღამოზე ისევ განაგრძეს გზა.

თეირანს ისე მიაღწიეს, რომ 55 საათის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავთ.

თეირანის დათვალიერების შემდეგ, სვენმა გადალახა ელბურსის მთები, გემით ძივიდა ბაქოში და აქედან ტფილისზე, ბათომზე და სტამბოლზე გავლით შვეციაში დაბრუნდა.

სვენი მოგზაურობს ქაზლარიდან—კეკინში

სვენ ჰედინის „წინაპრებისთვის“, ე. ი. დეიდებისათვის რომ გეკითხათ, აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობამ საბოლოოდ დალუბა ლუდვიგ ჰედინის ერთადერთი ვაჟი.

— ეს ბიჭი ისე გაუსაქმურდა, რომ თავის ცხოვრებას ქვეყნიერების ზურგზე ხეტიალში გაატარებს და ისეთ ქვეყნებშიც შეყოფს ცხვირს, სადაც კეთილ ქრისტიანს არც კი მიესვლება!

მაგრამ სვენი ამ აზრს არ ეთანხმება. პირიქით, იგი თანდათან იმსჭვალება გეოგრაფიულ კვლევა-ძიების წყურვილით.

— დეიდა ავგუსტა, მე ძალიან ბევრსა ვმუშაობ. მე უნდა შევისწავლო მეცნიერების რამდენიმე დარგი: გეო-

ლოგია, მინერალოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა და ლათინური ენა...

და შემდეგ სვენმა უამბო „წინაპრებს“ გამოჩენილი მოგზაურის, პრევეალსკის ცხოვრება, გაახსენა ფრიტიოფ ნანსენის გმირული არქტიკული მოგზაურობები, მაგრამ მაინც ვერ დააჯერა იმაში, რომ გეოგრაფიული აღმოჩენები კაცობრიობის კითილდღეობას ემსახურება.

სამეცნიერო ცოდნის მისაღებად სვენი სტოკჰოლმის უნივერსიტეტში შევიდა და სწავლას ხარბად დაეწაფა. სამი წლის შემდეგ მან უკვე ჩააბარა გამოცდები სამეცნიერო ხარისხზე და ცოდნის შესავსებად ბერლინში გაემგზავრა.

— რა დაგრჩენია ბერლინში, სვენ?—ჰკითხა წასვლის წინ დეიდა ავგუსტამ.

— სწავლა!—მიუგო ახალგაზრდამ.—უნდა შევისწავლო გეოგრაფია, პალეონტოლოგია, რუკების დახაზვა... მე მინდა გეოგრაფიული რუკა განსაკუთრებული ხერხით დავხაზო ისე, რომ პირველი შეხედვითვე მნახველს შეეჩმნას ქვეყნის თითოეულ კუთხეზე ნათელი და სრული წარმოდგენა.

მართლაც, სვენმა ასეთი რუკა დახაზა და მიუძღვნა ბერლინის გეოგრაფიულ ინსტიტუტს.

შემდეგ სვენი შვეციის დიპლომატურ მისსიას სპარსეთში გაჰყვა და ადრიან გაზაფხულზე უკვე ქალაქ მეშხედში იმყოფებოდა. თეირანში სვენი ესაუბრა სპარსელ შაჰს. საუბარი შეეხო სპარსეთში არსებულ მართვაგამგეობას.

ამ საკითხში შაჰი და სვენი ვერ შეთანხმდნენ. სპარსეთის მეფე ამტკიცებდა, რომ მის ქვეყანაში საუკეთესო წესწყობილებაა დამყარებული, რომ მისი ქვეშევრდომები მას თაყვანს სცემენ და აღმერთებენ. სვენი კი არწმუნებდა შაჰს, რომ, პირიქით, ქვეშევრდომებს უნდათ, რომ შაჰი

მათ „აღმერთებდეს“, გამბედავი სვენი ძლივს დააშოშმინეს დამსწრეებმა, რომლებსაც შაჰის რისხვისა ეშინოდათ.

ამის შემდეგ სვენი ესტუმრა სპარსეთის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებს—აბდულ-ჰამიდს და ნასრედინ-შაჰს; ავიდა დემავენდის მწვერვალზე და იქიდან გადახედა კასპიის ზღვას. რამდენიმეჯერ მიწისძვრას დაესწრო, ებრძოდა კოლოებს ჭაობიან ადგილებში და მლოცველებთან ერთად მიემგზავრებოდა მეშხედში. ბოლოს იგი ყაშლარშიც მივიდა, საიდანაც განზრახული ჰქონდა თავისი დიდი ექსპედიციის დაწყება.

* * *

ქალაქი ყაშლარი ჩინეთის დასავლეთ ნაწილშია, რომელსაც სინ-ცზიანი ანუ, სხვანაირათ, აღმოსავლეთი თურანი ეწოდება. ესაა უზარმაზარი ტაფობი, რომელიც მოქცეულია ტიან-შანის, ტიბეტისა და პამირის მაღალი ქედების შორის. მთელი ტაფობის სიგრძეზე მიედინება დიდი მდინარე თარიმი, რომელიც შემდეგ გუბდება და ლობ-ნორის ტბას აჩენს.

სინ-ცზიანის უმეტესი ნაწილი—უდაბნოა. ხალხი ბინადრობს მდინარეების გასწვრივ (თარიმი, ხოტან-დარია და სხ.), ან მთის ფერდობებზე. სადაც კი წყალი მისწვდება, იქ უხვი მოსავალი მოდის: ბამბა, საზამთრო, გარგარი, ბრინჯი, ყურძენი...

ყაშლარი—სინ-ცზიანის მთავარი ქალაქია და სავაჭრო ცენტრი. ბამბითა და საქონლის ტყავეულით დატვირთული ქარავნები აქედან ჩინეთშიც მიდიან და უზბეკისტანშიც, ინდოეთშიც და ავღანისტანშიც. ყაშლარშივე ცხოვრობს სინცზიანის გუბერნატორი „დაჰო-თაი“ და თავმოყრილია სხვა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საკონსულოები.

ყაშლარის ადგილობრივ მოსახლეობას შეადგენენ ჩინელები, თურანელები და თუნგანები. ისინი უმთავრესად მექარავენობას მისდევენ და თავის სიცოცხლეს ხეტიალში ატარებენ.

აი სწორედ ამ ქალაქიდან გავიდა სვენის საექსპედიციო ქარავანი.

ჩინური ენის შესასწავლად სვენმა ქალაქ ხოტანში ჩინელი ფანგ-ჩი იქირავა და სამსახურში მიღებისას პირობა მისცა, რომ წაიყვანდა ფანგ-ჩის მის მშობლიურ ჩინეთში.

ფანგ-ჩი სიხარულით დათანხმდა და ორივენი დაუყოვნებლივ შეუდგნენ ჩინური ენის გაკვეთილებს.

ივლისის მიწურულს სვენის ქარავანმა, რომელშიც იყო ექვსი აქლემი, ოცი ცხენი და ოცდაცხრა სახედარი, მიატოვა სოფელი და ლაი-ყურღანი. სვენს თან რვა თანამგზავრი მიჰყავდა, რომელთაგან მას განსაკუთრებულ სიმსახურით თურანელმა დსლამ-ბეიმ გაუწია. დალაი-ყურღანში ცხვრების ფარა იყიდეს და ქარავანის ბოლოში მიადევნეს.

ქარავნის თავში პატარა ბანჯგვლიანი სახედარი მიჩაკჩაკებდა და ახმავ აქლემებს გზას უჩვენებდა. აქლემებს ცხენები მიჰყვებოდნენ, ცხენებს—სახედრები. ქარავნის ბოლოში ცხენზედ ამხედრებული სვენი მიდიოდა, მარშრუტის რუქასა ხაზავდა, სხვა და სხვა კოლექციებს აგროვებდა და მთებს ხატავდა.

ექსპედიციის ოთხი ძაღლი წკმუტუნით და ყეფით დარბოდნენ აქეთ-იქით, სანამ არ მოიქანცებოდნენ. ჭკვიანი „ჯოლბარსი“ ყველაზე უფრო ადრე გაიგებდა ხოლმე თურა ხდება ქარავნის მოწინავე რიგებში და მხიარული ყეფით სვენს ატყობინებდა. ქარავნის ბოლო როგორც კი საღამოზედ საბანაკო ადგილას მიადგებოდა, „ჯოლბარ-

სი“ სვენის კარავთან იდგა, თავაზიანად კუდს იქნევდა და თითქოს ჰპატიჟობდა მას: „გთხოვთ, შებრძანდითო“!

ექსპედიციის გზა მიმართული იყო ტიბეტის მაღალი ზეგანისაკენ და ამიტომაც სვენის ალტიმეტრი ყოველდღე უფრო და უფრო მეტ სიმაღლეს აღნიშნავდა. სიმაღლის გადიდებასთან ერთად ექსპედიციის წევრებს უფრო მეტად აწუხებდა ე. წ. „მთის სენი“—ყველას თავბრუ ესმობდა და გული აჩქარებით უძგერდა. განსაკუთრებით ძლიერ იტანჯებოდა ჩინელი ფანგ-ჩი, რომელიც უნაგირზე თავს ძლივსლა იმაგრებდა. მისი წაყვანა შეუძლებელი გახდა და რომ ჩინელი სიკვდილის ხიფათისაგან გადაერჩინა, სვენმა იგი ისევ თურანში დააბრუნა.

აღამიანებიც და ცხოველებიც თავს ძალიან ცუდად გრძნობდნენ. ისლამ-ბეი სისხლიან ნახველს იღებდა და თუბებს ძლივსლა მიათრევდა. ჩრდილო ტიბეტის საზღვარზე გადასვლის დროს სვენ ჰეიდინის ექსპედიცია ინვალიდებისაგან შესდგებოდა. ეს იყო 5.000 მეტრის სიმაღლეზე. ქარიშხალი თითქმის გამუდმებით დათარეშობდა ტიბეტის ზურგზედ და მოგზაურებს ხან მსხვილ სეტყვით უმასპინძლდებოდა, ხან კი თოვლითა და ქარბუქის კორიანტელით. ერთხელ სვენის ეტიკებმა გაქცევაც სცადეს, მაგრამ მოხერხებულმა ფარფი-ბეიმ დაატყვევა და სვენს ბანაკში მოჰგვარა. სვენმა გაასამართლა ეტიკები და მიუსაჯა... არა გაჯოხვა, როგორც მექარავენები მოითხოვდნენ, არამედ განთავისუფლება, და მხოლოდ ერთი მათგანი დასტოვა ექსპედიციისათვის გზის საჩვენებლად.

არკა-ტანგის მთავრეხილიდან ექსპედიცია ტიბეტის ზეგანზე გავიდა. სენი ხშირად ხედავდა „კულანებს“—ე. ი. გარეულ ვირებს, რომლებიც ქარავნის და ნახვისთანავე ფრთხებოდნენ და მირბოდნენ. „ჯოლბარსი“

რიხიანი ყვეთით მისდევდა კულანებს, მაგრამ იმედ-გა-
ცრუებული და მოქანცული ისევ უკანა ბრუნდებოდა.

ერთხელ „ჯოლბარსი“ წავიდა და აღარ დაბრუნდა.
როგორცა სჩანს, ძალლი ვირების დევნამ გაიტაცა, გზას
ასცდა და სამუდამოდ მოსწყდა ქარავანს.

სვენს ძალიან დაენანა თავისი ოთხთეხი დარაჯი და
მეგობარი. სალამოზედ, ვახშობობისას იგი ჯოლბარსს დარ-
ლობდა, რომელიც უკვე დაღუპულად მიაჩნდა.

ლამე ვილაცამ კარავის ქობა ასწია, სვენის ლოგინს
ეტაკა და სიხარულის ალიაქოთი და კუდის ქნევა ას-
ტეხა. ეს იყო ჯოლბარსი, რომელმაც მიაგნო ექსპედი-
ციის ბანაკს და საყვარელ პატრონს სახე ენით გაულო-
კა. გახარებული სვენი ძალს მოეხვია და ორივენი რამ-
დენიმე ხანს ასე იყვენ გაყუჩებულნი ვარსკვლავიანი ცის
ქვეშ. საქმე იმით დამთავრდა, რომ ჯოლბარსი სვენის
ლოგინზედ ნებივრად გაიშობა, თითონ სვენი კი კარავის
კუთხეში მიწვა:

*
**

ერთი თვე გავიდა იმის შემდეგ, რაც ქარავანმა ყაშ-
ლარი მიატოვა. ცხოველების დიდი ნაწილი სიცივემ და
სიმშობილა დახოცა; დარჩა ხუთი აქლემი, ცხრა ცხენი და
სამი სახედარი. გზა და გზა ექსპედიცია ვერ ხედავდა
ადამიანებს, ვინაიდან ტიბეტის ეს ნაწილი სრულიად
დაუსახლებელია. სამაგიეროდ, ხშირად ხვდებოდა ქვებზე
გაკეთებულ ტიბეტურ წარწერებს. ყველა წარწერა ერთსა
და იმავე სიტყვებს შეიცავდა— „ომმანი პადმე ჰუმ“, რაც
ნიშნავს „საჭნჯევ ლოტოსისავ, ამინ!“ (ტიბეტური შე-
ლოცვა). ბოლოს, როგორც იქნა, შეხვდათ პირველი მონ-
ლოლები.

ერთხელ ისლამ-ბეიმ თოფი ესროლა უზარმაზარ იაკს,
რომელიც ბორცვზედ გადმომდგარიყო. ტყვია ნიშანს

ასცდა. ამ დროს საიდანღაც გამოვარდა და აურზაური ასტეხა ქალმა, რომელიც თურმე იქვე იაკების ჯოგს აძოვებდა.

მონღოლი მანდილოსანი, რომელიც სრულიადაც არ განირჩეოდა სილამაზით, მოგზაურებს მაინც ბედნიერების მოციქულად მოეწონა, ვინაიდან იგი პირველი ადამიანი იყო, რომელიც ექსპედიციას ტიბეტზე შეხვდა. დედაბერი მარტო იყო სადგომში, მისი ქმარი კი მთებში იაკებზე სანადიროდ წასულიყო.


სვენმა სულ 4—5 მონღოლური სიტყვა იცოდა: „ულა“ — მთა, „ნორ“ — ტბა, „ლობი“ — უდაბნო და სხ. რაც შეეხება მის თანამგზავრებს, მათთვის მონღოლური ენა უცხო ხილი იყო და ამიტომაც დიდი დრო და ჯაფა დასჭირდათ, სანამ მოახერხებდნენ დედაბრისაგან ყოჩის ყიდვას.

სალამოზედ სადგომში დაბრუნდა ქალის ქმარი — მოხუცი მონღოლი დორჩა, რომელსაც ნადირობის დროს ზაკი მოეკლა. დორჩას არ გაჰკვირვებია უცხოელების დანახვა და გულკეთილად შეხვდა. სვენმა შეიძინა მისგან სამი ცხენი და ორი ცხვარი და მოურიგდა მონღოლს მონღოლური ენის სწავლებაზედ.

ორი კვირის განმავლობაში დორჩა ეტიკად მიუძღვებოდა ქარავანს და თანაც სვენს ენის გაკვეთილებს აძლევდა.

მალე სვენის მონღოლური ლექსიკონი საგრძნობლად გამდიდრდა. „ჩურბა უმ ენ ბაინა“ (ჩვენ სამი აქლემი გვყავს) — ეუბნებოდა იგი მონღოლს და დაუმატებდა: „ბამბურაში მუ“ (დათვი ავია). უბის წიგნაკში მალე დაუგროვდა სხვა და სხვა საგანთა და მოვლენათა მონღოლური სახელწოდებები.

იქ, სადაც ყურუ-ბურის ხეობა ფართოვდება, დორჩა ექსპედიციას დაემშვიდობა და შინისკენ გამო-



ჩინეთიდან ტიბეტისაკენ მიმავალი მგზავრი ვერ ასცდებდა
ღრმასა და გიწრო კლდოვან ხეობებს, რომლებშიც მხო- 95
ლოდ საცალფეხო ბილიკებით შეიძლება გავლა.

ბრუნდა, სვენი კი თამამად გაუძღვა ქარავანს ტიბეტის ზეგანზე. უდაბნოს ნაცვლად მათი გზა ეხლა ბუჩქნარიან ველზე მიდიოდა. ერთ ღამეს შორს ცეცხლები გამოჩნდა— იქ იმყოფებოდა მომთაბარე მონღოლების ბანაკი.

სვენმა ცხენი ააჩქარა, გააპო აყეფებული ძაღლების ხროვა და ბანაკში მოურიდებლად შევიდა. ექვსი მონღოლი კოცონის გარშემო იდგენ და გაცეცხებით შეცქეროდნენ უცნობ სტუმარს. სვენმა ცხენი დააბა, მიესალმა მონღოლებს: „ამურ საინ!“ და ვითომც არაფერი იყო, ცეცხლის პირას ჩამომჯდარმა ჩიბუხნი გააბოლა:

თვალეზდაჭყეტილი და ენა-ჩავარდნილი მონღოლები უძრავად უყურებდნენ შოგზაურს. მალე სვენის ქარავანიც მოადგა ბანაკს და ყველა ერთად აყაყანდა, ყველა უხსნიდა მასპინძლებს თავის ვინაობას ხელებისა და ცოტაოდენი მონღოლური სიტყვების დახმარებით.

მონღოლებთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად, სვენმა მიმართა აქაური მისალმების წესს: ექვსივე მონღოლს ზურგზე ხელები დაუტყაპუნა, შემდეგ თავისი ზურგი მიუშვირა და ამით სამუდამოთ მათი გული: მჩიგო.

დიპლომატიური კავშირის დამყარების შემდეგ სვენმა იყიდა მონღოლებისაგან ოცი ცხენი და სხვა და სხვა ადგილობრივი ნაკეთობა—თილისმები. მონღოლების ღმერთი—ბუდა კრძალავს ყოველგვარ ადებ-მიცემობას და ამიტომ სვენთან ვაჭრობის დროს მონღოლები ბუდას ქანდაკებას ზურგიდან ეფარებოდნენ: „არ დაგეინახოს და ბედი არ გვაწყევლინოსო!“

აქედანვე სვენმა ეტიკად წაიყვანა ყბედი და მხიარული მონღოლი, სახელად ლოპსენი. მაგრამ რაც უფრო შორს მიდიოდნენ, ეტიკი უფრო მოწყენილი ხდებოდა, დელავდა და წამდაუწუმ გაიძახოდა:

— ომ მანი პადმე ჰუმ! ყაჩალი თანგუთები... ცხენები წაიყვანეს ყაჩაღებმა... ყაჩაღები... თოფი გაისროლეს...

ლოპსენს ძალიან ემინოდა აქაური მცხოვრებლების— თანგუთების თავდასხმისა და ამიტომ სვენს ყოველდღე ეხვეწებოდა: რაც იარაღი და ტყვიები გაქვს, დაარიგე, თორემ ყველას დაგვხოცავენო.

მაღე ლოპსენმა დათვებზედაც დაიწყო ლაპარაკი. ლოპსენის ინიციატივით ლამ-ლამობით გუშაგებს აყენებდენ ბანაკის გარშემო და თვით იგი ხშირ-ხშირად რევიზიას უკეთებდა მათ, რომ არ დასძინებოდათ. დათვებოს შესაშინებლად ლოპსენი ქვაბებს არახუნებდა და გუშაგებს ძალით ამღერებდა ხმამაღლა, რომ ჩაეხშო ძრწოლა ლამის წყვედიადის წინაშე.

ლოპსენის შიში ნაწილობრივ გამართლდა და ერთხელ სვენ ჰედინის ქარავანს თორმეტი ცხენოსანი, შორი-ახლოს აედევნა. ლამისთევის დროს თანგუთები ბანაკს შემოეხვივნენ და დასაშინებლად ტურების ხმით ჩხავილი მორთეს. მთელი ლამის განმავლობაში ბანაკი ფხიზლობდა. სვენმა თანგუთების დასაფრთხობად და თავისი თანამგზავრების დასამშვიდებლად უბრძანა მათ, როგორც კი შესძლებდენ, ეყვირათ. ბანაკმა ღრიალი მორთო, ძალღებები გააფრთხებით იყეფებოდენ. პარპი-ბეი და ისლამი დროგამოშვებით ბლაოდენ: „ხაბერდამ“? (დარაჯებს ღვიძავთ?), ხოლო ლოპსენი და ერთი თურანელი სპილენძის ქვაბებს აბრახუნებდენ.

თანგუთებმა ბანაკზე დაცემა ვერ გაბედეს. დილით ბანაკი აიზღარბა, ცხენები და აქლემები დატვირთეს და გზას გაუდგენ.

როგორცა სჩანს, ნაბანაკარ ადგილში თანგუთებმა კონსერვის ყუთებისა და ქალაღის ნახევების მეოხებით გაიგეს, ვისთანაც ჰქონდათ საქმე. ყოველ შემთხვევაში მათ ექსპედიციას თავი დაანებეს და უგზოუკვლოთ გაქრენ.

ქარავანი მიიზღაზნება მონღოლეთის ველებზე. სვენი ცხენზე ზის და უნაგირთან ერთად ირწევა.

ირწევა და თან დალილინებს იმ სიმღერას, რომელიც ინგლისელმა ჯარის კაცებმა ომის დროს გამოიგონეს:

„It is long way to Tipperary!“.

(გრძელია გზა ტიპერარიმდის!)

სვენს შეეძლო გადაეკეთებინა ეს სიმღერა და ეთქვა:

„გრძელია გზა პეკინამდის!“

მართლაც, პეკინში მისასვლელად სვენს გრძელი გზა დარჩენოდა. მანძილის გამომხატველი რიცხვები ნელა მცირდებოდა: დარჩა 1.500 კილომეტრი, 1.200 კილომეტრი, 1.000...

მონღოლური სიტყვები ჩინურმა სახელწოდებებმა შეცვალა: „დინ-ჯა-და-მინ“, „შან-ია-ვა“, „ჩინ-ფან“, „კატო-ხოა“, „კუკუ-ბურტუ“, — ამ სახელწოდებებზედ სვენი ენას იმტვრევს და დიდის გაჭირვებით იმანსოვრებს. ექსპედიციამ მდინარე ჰუან-ჰეს ნაპირებს მიაღწია და ჩინეთის ნაყოფიერ დაბლობზე გავიდა.

ერთ ადგილას ექსპედიცია ბუდდისტების მონასტერს მიაღვა, რომელსაც სახელად „გუმბუმ“ ეწოდება. აქ ცხოვრობს „ცოცხალი ბუდდა“, ე. ი. ღმერთის მოადგილე. სვენის იქ ყოფნის დროს „ცოცხალი ბუდდა“ 30 წლის ვაჟკაცი იყო, ტანში მოსული და ქოსა. იგი იჯდა დროშების შორის, კრიალოსანს ათამაშებდა და წამდაუწყუმ იმეორებდა:

— „ომ მანი პადმე ჰუმ!“

ლოასენმა „ღმერთის“ დანახვისთანავე მოწიწებით ქუდი მოიძრო და პირქვე დაემხა. „ცოცხალმა ბუდდამ“ მოწყალება გამოიჩინა და მოგზაურებს ნება უბოძა დაეთვალთყვიანათ მონასტერი.

მონასტრის ეზოში ტიტველი ხე იდგა. ლამები, ე. ი. აჭაური მღვდლები სვენს არწმუნებდნენ, რომ ყოველ გაზაფხულზე ეს ხე ფოთლებს ისხავს და თითოეულ ფოთოლზე აღბეჭდილია წარწერა:

„ომ მანი პადმე ჰუმ!“

— თუ შეიძლება, ერთი ასეთი ფოთოლი მაჩვენეთ! — სთხოვა სვენმა ლამებს.

— ვერ გაჩვენებთ! — უპასუხეს ეშმაკმა მღვდელმსახურებმა. — ყველა ფოთლები უკვე მლოცველებმა იყიდეს.

სვენს, რა თქმა უნდა, არა სჯერა ფოთლების ამბავი და ცდილობს ლოპსენისაგან გაიგოს საქმის ვითარება. ბოლოს და ბოლოს, ლოპსენმა აღიარა, რომ ლამები თითონვე აკეთებენ ფოთლებზე წარწერას: „ომ მანი პადმე ჰუმ“ და ბრიყვ მლოცველებს ატყუებენ, ვითომც ეს წმინდა ხე ყოფილიყოს.

გუმბუმის მონასტრიდან სვენის ქარავანი გზას განაგრძობს მოტველებილ მინდვრებზე. ყინვა და ქარი გამუდმებით თავზე ატყდება ექსპედიციას. სვენი მოიქანცა, მაგრამ მაინც თამამად მიაღვა ორ დღოს ის უდაბნოს და ქარიშხლიან ამინდში გადაჰკვეთა იგი.

მაგრამ აი, წინ გამოჩნდა სანატრელი პეკინის ვალავანი, ციური ალაყათის კარები, რომლის ქვეშაც ჭიანჭველებივით ხალხი დაცოცავს...

სვენი ტახტრევანით შევიდა ჩინეთის სატახტო ქალაქში. ხანგრძლივი და ძნელი მოგზაურობა უკვე დამთავრდა. როგორც ამ რამდენიმე წლის წინად იგი ქერმან-შაჰში, მომქანცველი ხეტიალის შემდეგ, ალა-მაჰომედ-ჰასანის სასახლეში მოხვდა, ისევე ეხლაც მონღოლეთის უდაბნოებიდან მან თავი ამოჰყო საელჩოთა ბრწყინვალე დარბაზებში, სასტუმროებში და სასახლეებში, სადაც ცოტახები ხალიჩებითა და აბრეშუმის მოქარგული ქსოვილებით იყო მოკაზმული.

პეკინში სვენ ჰედინი სადილზე მიიწვია ჩინეთის დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ლი-ხუნ-ჩანგმა, რომელიც თარჯიმანის შემწეობით ბევრი ესაუბრა შვედელ მოგზაურს, ჩინელს მეტად აინტერესებდა ჰედინის მოგზაურობის მიზანი და ცდილობდა დიპლომატური ხრიკებით გაეგო მისგან ეს:

— თქვენ ალბად პეკინში უნივერსიტეტის კათედრას დაიკავებთ ლექციების წასაკითხად?!—ჰკითხა ლი-ხუნ-ჩანგმა მოგზაურს.

— არა, ასეთ რამეს არ ვაპირებ.—მიუგო სვენმა.

— მაშ, ალბად, თქვენ შვედეთის თავადმა გამოგაგზავნათ ჩინურ ენის შესასწავლად?

— არა, არავითარ თავადსაც არ გამოგუგზავნივარ. საერთოდ, შვეციაში თავადები არ არიან. შვეციას მეფე განაგებს.

ლი-ხუნ-ჩანგი დაფიქრდა.

— კეთილი და პატიოსანი! ერთი მიბრძანეთ, თუ შეიძლება, როგორი ადგილია თქვენი შვეცია?

— შვეციაში სამთრობით ზომიერად ცივა, ზაფხულში კი ზომიერად ცხელა. შვეციაში არც უდაბნო მოიპოვება, და არც ტრამალები, არამედ მინდვრები და ტყე. იქ ვერც მორიელსა ნახავ, და ვერც გველებს, თითქმის ვერც მტაცებელ ცხოველებს. ისე კი, შვეციას არა უშავს რა—კარგი ქვეყანაა.—განუმარტა სვენმა.

ლი-ხუნ-ჩანგმა ეშმაკურად თავისი წვრილი თვალები მოჭუტა და ჰკითხა:

— თუ ეგრეა, მაშ რუსეთმა რატომ არ დაიპყრო შვეცია?! განა ვერ შეეძლო?

— მე მგონია, რომ გაუძნელდება.—გაუბედავად უპასუხა სვენმა.

ჩინელმა იფიქრა, იფიქრა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და პირდაპირ ჰკითხა:

— ნება მომეცით გკითხოთ: მაშ რისთვის მობრძანებულხართ ჩვენს ქვეყანაში?

მაშინ სვენს უნებურად დეიდა ავგუსტა გაახსენდა, რომელიც ასეთსავე კითხვებს ხშირად აძლევდა მას, და ამოოხვრით უპასუხა:

— ვმოგზაურობ იმისათვის, რომ რუკაზე დავხაზო გამოუყვლეველი ადგილები. ვსწავლობ უცნობი ქვეყნების გეოგრაფიულ, გეოლოგიურ, ბოტანიკურ თვისებებს...

ჩინელმა გააწყვეტინა:

— აი, თქვენ ბრძანეთ: გეოლოგიური თვისებებიო?... ნება მიბოძეთ გკითხოთ, თუ თქვენ, მაგალითად, მინდორზე მიდიხართ და შორს, ცის ტატნობზედ მთასა ხედავთ,— შეგიძლიათ, თუ არა განსაზღვროთ: არის, თუ არა იმ მთაში ოქროს მადანი?!

— რა თქმა უნდა, ვერ განვსაზღვრავთ! ამისთვის საჭიროა კლდის ჯიშების ქიმიური ანალიზი და...

— მადლობა მომიხსენებია!— დაცინვით თავი დაუკრა ლი-ხუნ-ჩანგმა.— ამას მაინც და მაინც დიდი ოსტატობა არ უნდა. ბიჭობა ის იქნება, შორიდანვე თვალდათვალ გამოარკვიო მადნის ადგილი.

ჩინელი უკმაყოფილო დარჩა და მთელი სადილი დუმულში გაატარა.

* * *

ჩინეთიდან სვენმა ჩამოიტანა აუარებელი მასალა შუა აზიის გამოუყვლეველ ქვეყნების შესახებ: ნაწერები, განახომები, ნახატები და ფოტო-სურათები.

შვეციის სამეცნიერო წრეები აღფრთოვანებით შეეგებენ აზიის გამხედავ მკვლევარს. სვენს ხშირად იწვევდნენ ხოლმე მოხსენებების წასაკითხად ხან გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ხან სხვა სამეცნიერო გაერთიანებებში.

შეუკვეთეს წიგნის დაწერა, რომელსაც მან სახელად უწოდა „აზიის გულში“.

დეიდა ავგუსტა სტენის გამარჯვებით მეტად გაკვირვებულია. „განსაკუთრებული რა ჩაიღინა ამ ახალგაზრდამ, ასე რომ აქებენ და პატივსა სცემენ?—იძახოდა იგი.—ნუთუ მეფე ოსკარმაც ისურვა მისი ნახვა? რატომ მიზართავენ მას საზეიმო შეხვედრებზე სადღეგრძელოებითა და ნილოცვებით? სადღაც იხეტიალა, ქვები და ბალახ-ბულახი შეაგროვა, ქუჭყიან ქოხებში ეძინა და ველურებში ცხოვრობდა. მაგას ხომ არც სახარება წაუკითხავს მათვის და ქრისტეს რჯული არ გაუფრცვლებია და რაც დეიდა მარტამ საღვთო წიგნები გაატანა, სულ უკლებლივ უკან ჩამოიტანა?! მაშ რა დამსახურება მიუძღვის სვენს?“

მართალია, დეიდა ავგუსტა ეხლა უკვე ისე რიხიანად ველარ დასცინის სვენს, როგორც წინად, მაგრამ მაინც ხანშესულ მანდილოსანს ეხამუშება თავისი ძმისწულის პროფესია. „არა, ერთი რომ ჰკითხოს კაცმა, რა პატიოსანი ადამიანის ხელობაა მოგზაურობა?!. მესმის კაცმა იმოგზაუროს ქორწილის შემდეგ, ან სასეირნოდ და დასასვენებლად გაემგზავროს და შვეიცარიიდან სახსოვრად სურათებიანი ალბომი გამოგზავნოს. ეს წესიერი მოქალაქისათვისაც მისაღებია. მაგრამ მოგზაურობის პროფესიად ამორჩევა,—ღმერთო ჩემო! გიჟი ხომ არ არის, ან მაწანწალად დაბადებული? ჩვენს გვარში ყოველთვის წესიერი ხალხი იყო, მუყაითად შრომობდნენ, წესიერად დადიოდნენ ეკლესიაში და სტუმრად ნათესავებთან, ცოლს ირთავდნენ, ოჯახს იჩენდნენ, ქონებას იძენდნენ, ქალებს მზითევს უმზადებდნენ და წყნარად, მშვიდობიანად კვდებოდნენ“...

ვერა, დეიდა ავგუსტავ, შენ ვერ შეგიგნია სვენის მიზანი.

შენ არც კი იცი, რომ აზიის შუა ნაწილში არის უცნობი ქვეყნები, სადაც განათლებულ კაცს ჯერ ფეხიც არ შეუდგავს. ვინ იცის, რა ბუნებრივი სიმდიდრეებია იქ უსარგებლოდ მიტოვებული! ვინ იცის, როგორა ცხოვრობს იქაური ხალხი! სვენს უნდა კაცობრიობას გზა გაუკაფოს ამ ქვეყნებში და სამეცნიერო შესწავლით გააცნოს მას ის, თუ რა არის მოქცეული ცენტრალური აზიის „თეთრ ლაქებში“.

— დასწყევლოს ღმერთმა! ნეტავი რას ჩააცივდა სვენი ამ საბრალო „თეთრ ლაქებს“?! — დაცინვით კითხულობს დეიდა ავგუსტა და შემდეგ თვით სვენს მიმართავს:

— რა დაგიშავეს „თეთრმა ლაქებმა“, სვენ?

სვენმა პაპიროსი გააბოლა და უპასუხა:

— მე მათ არაფერი დამიშავეს, მაგრამ კაცობრიობას კი დიდ ზიანს აყენებენ. მათი გამოკვლევა შესაძლებლად გახდის ახალი გზების გაყვანას, ჰავისა და ნიადაგის შესწავლას, მეურნეობის განვითარებას. სამეცნიერო შესწავლის საშუალებით შეიძლება ვებრძოლოთ მოუსავლიანობას და სიმშოლს... ~~თუ~~ ნახეთ, მე მალე თაკლა-მაკანის უდაბნოში წავალ გამოსაკვლევად და გამოჩნდება რა მნიშვნელობაცა აქვს მის შესწავლას.

დეიდა ავგუსტა უნდობლად თავს იქნევს.

თაკლა-მაკანის უდაბნოში

შუა აზია, საერთოდ, განთქმულია ხრიოკი ადგილებით. მათ შორის ყველაზედ უფრო ვრცელია უდაბნო გობი ანუ შამო, რომელიც მონღოლეთში მდებარეობს.

სინ-ცზიანის დასავლეთ ნაწილში, მდინარე თარიმის სამხრეთით გადაჭიმულა აზიის მეორე დიდი უდაბნო — თაკლა-მაკანი.

სვენ ჰედინმა მიზნად დაისახა ამ უდაბნოს გავლა და გამოკვლევა. რუსი მოგზაურის — პრუვეალსკის სიტყვით ამ უდაბნოში ამართულია მაზარ-ტაგის მთა-გრეხილი. სვენმა განიზრახა შეესწავლა ეს ქედი და გამოერკვია აქაური ბუნებრივი სიმდიდრეებს გამოყენების შესაძლებლობა.

მდინარე იარკენდ-დარიას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს დიდი სოფელი მერქეთი, რომელშიც სვენამდე არც ერთი ევროპელი მოგზაური არ მოსულა. აქედან გაემართა სვენის ქარავანი უდაბნოს გულში.

ქარავანი 8 აქლემისაგან შესდგებოდა. თან მიჰყავდათ აგრეთვე ძაღლები, ცხვრები, ქათმები და ერთი მამალი წყალი მოიმარაგეს რუმბებში და რკინის ჭურჭლებში. სულ წაიღეს 455 ლიტრი წყალი, რაც 25 დღეს უნდა იკმარონ.

აპრილის ერთს მშვენიერ დილას სვენის ქარავანი მერქეთიდან გავიდა. მთელი სოფლის ქუჩები სავსე იყო ცნობისმოყვარე თურანელებით. მათ მიმავალ ქარავანს თვალი დაადევნეს და გაიძახოდნენ:

— მიდიან, მაგრამ ველარ დაბრუნდებიან!

— ვერა, ცოცხლებს ველარა ვნახავთ!

— აქლემები ძალიან მძიმედჷ ჰყავთ დატვირთული. ველარ დაბრუნდებიან!

სვენი ყურს უგდებდა ამ საზარელ წინასწარმეტყველებას და დასცინოდა თურანელების შიშს უდაბნოს წინაშე.

ქარავნის მოწინავე ნაწილში მიიფხორება ოთხი ახალგაზრდა აქლემი, მათ მისდევს აქლემი „ბოღრა“, რომელზედაც სვენს მოუკალათნია. თურანელი გამყოლი მაჰომედ-შაჰი წინ მიუძღვის „ბოღრას“, ასე რომ სვენს სრული შესაძლებლობა აქვს გზა და გზა განუწყვეტლად დაკვირვებები აწარმოოს მარშრუტზე, ყამირისა და რელიეფის ცვლილებებზედ.

სანამ ქარავანი სოფლებზედ მიდის, ახალგაზრდა აქლემები ვერ მოჰკვიანებულან. აი, ორი მათგანი თითქოს გაცოფდა, ტვირთები დაიბერტყეს და ტლინკების ასროლით მინდორში გაიქცენ. თურანელი მხედრები გამოედევნენ ურჩ ცხოველებს და საკმაო წვალების შემდეგ ქარავანს დაუბრუნეს.

მაჰომედ-შაჰი ამბობს:

— ეს ასეა ყოველთვის. აქლემებმა ბევრი ხნით თუ დაისვენა, შემდეგ ცოტა ხანს თავს მოიგიჟიანებს, მაგრამ დაიღლებიან, თუ არა, მაშინვე ბატკანივით უწყინარები ხდებიან.

აი, უკანასკნელი სოფელიც გაიარეს. დაიწყო ბუჩქნარით დაფარული, ბალახოვანი ტრამალი. აქა-იქ ასვეტებულან ალვის ხეები. ამ ალვის ხეების ქვეშ სალამოობით იშლება ხოლმე ექსპედიციის ბანაკი. ცეცხლზე ბრინჯი და კვერცხები იხარშება. იქვე ბალახსა სძოვენ ცხვრები და ნაშარ-ნუყარსა ქექავენ ქათმები. გამძღარი ძაღლები ცეცხლთან წამოგორებულან და ნებივრობენ.

*
* *

მაგრამ მალე ტრამალი უდაბნოდ იქცა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ქარი მტვერს მოერეკება. ვზაში თანდათან მატულობენ ბარხანები—ტიტველა ქვიშის გორაკები. აქ საბრალო აქლემებს ფეხები ქვიშაში ეფლობათ და ძლივს მიაბიჯებენ. გრძელი კისერი წინა აქვთ გაწვდილი და ხმელ ბალახს ჰკორტნიან, თითქოს გრძნობდენ, რომ მალე „მარხვის შენახვა“ მოუხდებათ....

ყველანი უფროთხილდება თან წამოღებულ წყალს, ვინაიდან უდაბნოში ერთ წვეთსაც ვერ იპოვიან. ძაღლები სიცხისაგან იტანჯებიან, ენები გამოუყრიათ და სადაც კი ორმოს, ან ჩრდილს დაინახავენ, გასაგრილებლად შიგ

წვებიან. ქვიშა გახურებულია—მისი ტემპერატურა 45 გრადუსს აღწევს და ამიტომ საცოდავი ძაღლები თათებოთ თხრიან ქვიშას, სანამ სიღრმეში გრილ ფენებს მიაღწევდნენ.

ერთერთ ეტიკს სახელად ჯოლჩი ჰქვიან მას ძალიან ცუდი ხასიათი აქვს: დაღვრემილია და მღუმარე, ყველას ერიდებოდა და ცეცხლთან მხოლოდ მაშინ მიდის, როდესაც ყველა დაწვება.

ისლამ-ბეის, სვენის ძველ მეგობარსა და თანამგზავრს ექვი აქვს აღებული, რომ ჯოლჩი განგებ შემცდარი გზით მიუძღვება ქარავანს. მაგრამ სვენს ეს არა სჯერა, ვინაიდან გზის დაკარგვის შემთხვევაში თითონ ჯოლჩიც ხიფათში გაებმება.

იქ, სადაც მიემართება ქარავანი, არის მდინარე ხოტან-დარია. სვენის ამოცანა გადაწყდება, თუ კი მან ამ მდინარის ნაპირებს მიაღწია: ჯოლჩი არწმუნებს სვენს, რომ ხოტან-დარიამდე სულ 120 კილომეტრია დარჩენილი ანუ 4-6 დღის სავალი.

მაგრამ დღითი-დღე ცხება, ირგვლივ მხოლოდ წაკუზულ ბარხანები მოჩანს, მაგრამ გზა არ იღევა: გაჰქრა ბუჩქნარისა და ბალახის ყოველგვარი ნიშანი. ერთი ძაღლი მალე ქარავანს მოშორდა, — ალბად უკანასკნელ ტბას მიუბრუნდა, სადაც სიგრილე ეგულებოდა. ყვითელი წვრილი ქვიშა — ერთადერთი მასალაა, რომელსაც ხვდებიან უდაბნოს მგზავრები.

დროგამოშვებით კუდიანი ქარი ამოვარდება, ქვიშის კორიანტელს დაატრიალებს და მტვერს ღრუბლებივით წამოშლის. ქვიშა სახეში ეყრებათ ადამიანებსა და ცხოველებს, თვალებსა და ღრძილებს უვსებს, კბილებში შექარივით ხრამუნობს. სვენი და მისი თანამგზავრები თვალების დასაცავად სათვალეებს იკეთებენ.

აქლემებს უკვე დაღლილობა შეეტყობოთ. ძაღლები მოუსვენრად არიან და ამაოდ წყალს დაეძებენ.

* * *

უკვე დიდი ხანია იმის შემდეგ გასული, რაც სვენმა სტოკჰოლმი მიატოვა.

ლუდვიგ ჰეიდინის ოჯახში ყველას მღელვარება ეტყობა: კარგა ხანია, რაც შეწყდა სვენისაგან წერილების მიღება. ფოსტის მიღებას ყოველთვის მოუთმენლად ელიან; წერილები ბევრი მოსდით, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის სვენის აჩქარებული ხელით დაწერილი; არც ერთ კონვერტს არ აწერია შორეულ საზღაპრო ქალაქთა სახელები დაღონებული ალმა ყოველდღე ნელა ამოდის კიბეზე და მშობლებს ეუბნება:

— დღეს სვენისგან არაფერია... ხვალ შეჰქველად იქნება.

მაგრამ ეს „ხვალ“ ძლიერ გაჭიანურდა. დღე დღეს მისდევდა და სვენის შესახებ კი არაფერი ისმოდა. ლუდვიგ ჰეიდინი ღამ-ღამობით მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში და ხედავდა, რომ მისი ცოლიც არა ნაკლებ დადარდიანებულია სვენზე, მაგრამ ერთმანეთს არ უმხელდენ და ცდილობდენ საზარელი ეჭვები გულში დაემაღათ.

და აი, დადგა სანატრელი დღე: მოვიდა სვენის წერილი. არა, ეს არ იყო წერილი, არამედ სქელტანიანი ხელნაწერი, ალმამ სიხარულით შეჰყვირა და ხელნაწერს დაყნოსა:

— ნამდვილი უდაბნოს სუნი უდის, უდაბნოსი!

ერთი წუთის შემდეგ ის იჯდა მაგიდასთან და სვენის დღიურს კითხულობდა:

„დიდი ხანია, რაც ჩვენ უდაბნოს ტყვეებად ვიქეციით. საითაც გაიხედავ, ყველგან ქვიშის ბარხანები აზვინებულა...

ხანდახან ისლამ-ბეი რომელიმე ბარხანზე ავა და გულდასმით იცქირება გარშემო—იქნებ მოსახერხებელი გზა შეამჩნიოს. მაგრამ გზა თანდათან ძნელდება. დამწუხრებულნი ისლამ-ბეი უკან ბრუნდება და ყვირის: „ხი-იოყ!“ (გზა არაა) ან: „ყუმ-ტაგ“ (ქვიშის, ბორცვები). ეს იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ ვერ წავალთ და განზედ უნდა შემოვუაროთ.

ქარავანი კუსავით მიცოცავს. მექარავნეები და ეტიკები ფეხით მოდიან, წამდაუწუმ ჩერდებიან და წყალს სვამენ. წყალს 30°-იანი ტემპერატურა აქვს, ვინაიდან მოძრაობის დროს რუმბების კედლებს ეხლება და ხახუნისგან თბება. მიუხედავად ამისა, ამ თბილ სითხესაც ხარბად ეწაფებიან.

ქარავნის ბოლოში მოდის ერთადერთი დარჩენილი ცხვარი და საბრალო ჯოლბარსი. მიუხედავად იმისა, რომ მე ჩემი წყლის ულუფის ნახევარს მას ვუთმობ, ძალღიწყურვილისაგან მეტად იტანჯება.

აი, ერთი აქლემი ბარხანის სერთან დაეცა ქვიშაზე და წამოდგომა ვეღარ შეძლო. საჭირო გახდა მთელი ტვირთის მოხსნა და საერთო ძალღონის მოხმარებით აქლემის დაბლა ჩაგორება, სადაც იგი ძლივ-ძლივობით ფეხზე დადგა.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ კოჭლი აქლემი „ბაბაც“ დავარდა. არც წამოდგა, სანამ ტვირთი არ მოაცალეს. მე მივხვდი, რომ ერთერთმა „უდაბნოს ხომალდმა“ სიარულის უნარი დაკარგა და ვუბრძანე მაჰომედ-შაჰს ჯერჯერობით ამ აქლემთან დარჩენა,—იქნებ „ბაბა“ გამომჯობინდეს.

დილით არა სასიამოვნო რამ აღმოვაჩინე. მომეჩვენა, თითქოს რკინის ჭურჭლებში წყალი. საექვო ხმით შხაპუნობს, მაშინვე ჭურჭლები გავსინჯე და დავრწმუნდი, რომ

შიგ მხოლოდ ორი დღისათვის საკმარისი მარაგი დარჩენილიყო. ხალხს თავი მოეუყარე და ვკითხე რატომ არ შეასრულეს უკანასკნელ წყაროსთან ჩემი ბრძანება 10 დღის მარაგის წამოღების შესახებ. მაშინ ლაპარაკში ჩაერია ჯოლჩი და დაიწყო მტკიცება, რომ 1—1½ დღის შემდეგ ისეთ ადგილებს მივალწევთ, სადაც მიწაში წყალს ვიპოვით.

მოდრი და ენდე ამის შემდეგ უცნობ ეტიკს! მე ბრძანება გავეცი შეემცირებინათ წყლის ხარჯი.

ერთხელ ისლამ-ბეიმ სიხარულით დაიყვირა: „ყარლა! ყარლა!“ და ყვავი დაგვანახვა, რომელიც ფრთების ტყლაშუნით ქარავანს დასტრიალებდა. ამ შემთხვევაში არავის არ მოუვიდოდა აზრად ეთქვა, რომ ყვავის დანახვა ცუდის მომასწავებელია, ვინაიდან ფრინველის დანახვა ჩვენთვის ნაყოფიერი ადგილების სიახლოვეს მოწმობდა. ყვავმა ყველა გაახარა.

სალამოზედ ვითათბირეთ, ყველა დაეთანხმა იმ აზრს, რომ ხოტან-დარიამდე სამ დღეზე მეტი გზა არ იქნება. მეორე დღიდან მე აქლემზედ აღარ შევმჯდარვარ, — ფეხით მივდიოდი და სიამაყით ვითვლიდი ყოველ ას გადადგმულ ნაბიჯს.

ბარხანები თითქოს დადაბლდა. მე წინ მივდივარ და ვცდილობ უადვილესი გზა მოვძებნო, ვინაიდან მუდამ მახსოვს. რომ ჩემს კვალს საცოდავი აქლემები მოჰყვებიან.

მაგრამ, აი, ბარხანები ისევ გამაღლდა და 40—50 მეტრზედ აიმართა. ისინი ჩვენ გზას გვიღობავენ, სიარულს ანელებენ და სიკვდილით გვემუქრებიან.

დაახლოვებით შუადღეზე ისე მოვიქანცე, ისე მომწყურდა წყალი, რომ დავეცი გახურებულ ქვიშაზე და უძრავად ვეგდე უმოწყალო მზის სხივების ქვეშ. გზის გაგრძელება აუტანელ ტანჯვად მეჩვენებოდა. ამ დროს

ბზული შემომესმა და დავინახე ბუზი, რომელიც თავზე დამაფრინდა. ბზულიმა ღონე ჩამიდგა. წაბა, ერთი ვცადოთ და გავიაროთ კიდევ 1000 ნაბიჯი, კიდევ 1000 ნაბიჯით მივუახლოვდეთ ხოტან-დარიას ანკარა, ცივ-ცივ ტალღებს...

1000 ნაბიჯი გავიარე და ისევ ბარხანის ზურგზე გავიშოტე, ზურგზე დავწექი და სახეზე თეთრი ქუდი დავიფარე.

მე თვალწინ წარმომიდგა, თითქო მწვანე მდელიოზე ვისვენებ, განიერი ვერხვის ძირში... მესმის ნაკადულის ჩუხჩუხი და ჩიტების ჭიკჭიკი.

მაგრამ ზარების რეკამ გონზე მომიყვანა. ქარავანი დამწეოდა. აქლემები ბარბაცობით მოდიოდნენ ჩემკენ. ქვიშაზე წამოფეჭი და ქარავანს თვალი გადავაფლე. ექვს აქლემს მოჰყვებოდნენ ისლამ-ბეი და ქასიმი, დანარჩენები კი „ბაბასთან“ და „ჩონ-ყარასთან“ დარჩენილიყვენ.

მალე სიარული ველარ შევძელით და ბანაკი გავშალეთ. მოვიდნენ დანარჩენებიც—აქლემებისთვის თავი დაენებებინათ, მაგრამ ღამე აქლემები თითონვე მოვიდნენ ბანაკში. ალბან ღამის სიგრილემ ჯანზედ მოიყვანა ისინი და ნაფეხურებს გამოჰყვენ...

უეცრად მე თავში ერთმა აზრმა გამიელვა: რატომ არ შეიძლება ჭის ამოთხრა ვცადოთ?! ვინ იცის, იქნება ქვევით წყლიანი ყამირია? ისლამ ბეიმ და ქასიმმა ჩემს წინადადებას მხარი დაუჭირეს და მაშინვე მუშაობას შეუდგნენ, მალე ორი სხვაც მიემგელა და რიგრიგობით თხრიდნენ ყამირს. ქვიშა თითქოს სველი გამოდგა.

ამ აღმოჩენამ ყველა წაგვახალისა. სადილი სახელდახელოდ გადავყლაპე და მეც მუშაობაში ჩავები. ქასიმი გამგელბული მუშაობდა, ასე რომ იარაღს დაწა-ღუწი გაჰჭირდა იმის ხელში. გავიდა ორი საათი, სამი, დაღამ-

და. ორმოს ირგვლივ ნოტიო ქვიშა ზვინად დაგროვდა. ორმოში უკვე კაცი თავისუფლად იმალებოდა.

ორმოს კედლები ცოტაოდენზე შევთხარეთ, შიგ სანთლები შევდგით და მუშაობა განვაგრძეთ.

ცხოველებიც დაინტერესდნენ ჩვენი საქმით, ჯერ აქლემებმა გამოიწვდინეს თავისი გრძელი კისრები, შემდეგ ჯოლბარსი მოვიდა და ნოტიო ქვიშაზე წამდგორდა. ბოლოს ცნობისმოყვარეობამ ქათმებსაც სძლია! დროგამოშვებით ორმოსთან მოდიოდნენ და ქვევით ჩამოგვყურებდნენ.

გადარჩენის იმედმა ყველას ძალღონე მოგვიმატა. წელამდე გატიტვლებული ქასიმი სანთლების შუქზე საზღაპრო დევგმირს მოგვაგონებდა.

უცბად მას ხელიდან წერაქვი გაუვარდა.

ქასიმი თითქოს გაქვავდა.

— რა მოხდა? — შემფოთებულმა ვკითხე.

— მშრალი ქვიშა! — თითქოს სამარიდან ამოსული ხმით მიპასუხა ქასიმმა.

მართლაც, მალე ყველა დაერწმუნდით, რომ ქვიშა აბედივით მშრალი გახდა. როგორც სჩანს, ზედა ფენების სისველე აიხსნებოდა დიდი წვიმებით, ან ზამთარში ყოფილი თოვლის ნაბუქართ. სხვა მიზეზი ვერ გვეპოვნა. ჩვენ მხოლოდ ვიცოდით, რომ უკანასკნელი იმედიც ჩაგვეფუშა.

მაშინვე უკანასკნელ წყლიან ჭურჭელს ვეცით და გავსინჯეთ. შიგ სულ ერთი დღის სამყოფი წყალი ლა დარჩენილიყო. ეხლა ჩვენ წყალი ოქროდ გვიღირდა და წვეთ-წვეთობით უნდა გაგვენაწილებინა. თითოეულ ჩვენგანზე დღეში ორი ჭიქა მოდიოდა. ჯოლბარსსა და ცხვარსაც თითო ფინჯანი შეხვდათ, აქლემებისთვის კი აღარაფერი რჩებოდა.

უწყინარი და მომთმენი, უზარმაზარი ცხოველები
ამაო მოლოდინით იდგენ გათხრილ ქასთან.

წყალი! წყალი! წყალი არ არის!

ჩვენ ამას ხმამალა არ გავიძახოდით, მაგრამ ვფიქ-
რობდით. საერთოდ, ეს იყო და მხოლოდ ეს ჩვენი ერ-
თადერთი საზრუნავი.

ირგვლივ—ცის ტატნობამდე არც ერთი ჩირგვი არ
მოჩანს, არაფერი—ბარხანების გარდა. ამ ქვიშის ოკეა-
ნეში თავბრუ მეხვეოდა.

მე წინ მივდიოდი, უკან ქარავანი ავადმყოფ აქლემე-
ბით ნელა მოიზღაზნებოდა. აუტანელ დაღლილობასა-
ვგოძნობდი, მაგრამ ვხედავდი რა ჩემი აქლემის—„ბოლ-
რას“ აცახცახებულ მუხლებს, ფიქრშიც არ გამიტარებია
მასზედ შეჯღომა.

ბარხანები გაიზარდენ და ნამდვილ მთებს დაემსგავ-
სენ. მათთან შედარებით აქლემები ჭიანჭველებს მაგონე-
ბდენ. ჯოლბარსი განუყრელად მოსდევდა იმ ჭურჭელს,
რომელშიც წყალი შხაპუნობდა. ყოველ გაჩერებაზედ ჭკვია-
ნი ძაღლი ჰყეფდა და თათებით ქვიშასა თხრიდა. თიბ-
ქოს გვეუბნებოდა: „წყალი მინდა, რალას უცდით—ჭა
ვათხარეთო“.

მალე დაგვეწია მაჰომედ-შაჰი და გვაცნობა, რომ იგი
იძულებული გახდა მომაკვდავი „ბაბა“ და „ჩონ-ყარა“
(აქლემები) ბედის ანაბარად მიეტოვებინა. საბრალო ცხო-
ველები სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა და ტყვიით ვერ
მოჰკლა.

მე შემადრწუნა ფიქრმა იმის შესახებ, რომ შეიძლება
უდანაშაულო პირუტყვებმა კიდევ დიდხანს იტანჯეს სი-
კვდილამდე, ან ცოცხლად დაიძარხენ უდაბნოს
ქარის მიერ მიყრილი ქვიშის ქვეშ!

ცაზედ ღრუბელი გამოჩნდა და წვიმის იმედებით გა-

გვაგვსო. მაგრამ როდესაც მოვამზადეთ კარვის ტილოს ნაჭერი წვიმის წყლის შესაგროვებლად, ღრუბელმა გადაიარა...

ისლამ-ბეი და მაჰომედ-შაჰი ჩუმთან მოვიდნენ და ამიწერეს ის საშინელი ბედი, რომელიც ყველას მოგველის: ჯერ აქლემები დაილუპებიან, შემდეგ ადამიანების ჯერიც მოვა. ეს ყოველთვის ასეა: ჯერ პირუტყვი კვდება და მერე ადამიანი.

მე ვუპასუხე, რომ არავინ დაილუპება და ჩვენ უნდა გადავრჩეთ ხიფათს.

დილით მძლავრი გრივალი ამოვარდა. ჰაერში ქვიშა ტრბალებდა; ყვითელი კუდიანი ქარი დავლურს უვლიდა ბარხანთა ზურგებზე. მზე აღარ მოჩანდა. ასეთ გრივალს მრავალი მგზავრი დაულუპავს. დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ ბანაკის გამართვა. დილით ქვიშაში ჩაფლულებს გამოგვეღვიძა და დიდხანს ვიწვალეთ, სანამ ქვიშიდან ყველა საგანს ამოვთხრიდით.

იმ დღეს სიარული მეტად გაგვიძნელდა. ნათელი დღე უცბად ღამედ იქცეოდა, ქვიშის კორიანტელი გვადრჩობდა. ხანდახან ქარი საშინელი სიძლიერით შემოგვიტევდა. მისგან თავის დასაცავად აქლემებს ვეფარებოდით, ხოლო აქლემები ქარს ზურგს უშვერდნენ და თავებსა ღუნავდნენ. ცხადად ვხედავდით, რომ აქლემებს ძალა ელეოდათ და მალე ვეღარ შესძლებდნენ სიარულს.

მართლაც, საღამოზედ მესამე აქლემი მოგვიკვდა. დილით, გასვლის წინ ქარავანს ვათვალისწინებდი და ვფიქრობდი: „ვისი ჯერია?“

მე და ისლამ-ბეიმ სანოვაგე გავსინჯეთ. შაქარი, ფქვილი, თაფლი, ბრინჯი, კართოფილი და კონსერვები დაახლოებით სამ თვეს გვეყოფოდა. რაც ზედმეტი იყო, ცალკე დავაწყეთ, ქილობი გადავაფარეთ და ბარ-

ხანებზე დავტოვეთ. ვინიცობაა მოგვიხდეს აქ დაბრუნება, —სანოვაგის საპოვნელად სარი დავდგით, რომელსაც ალამის მაგივრად შვედური გაზეთი მივაბით.

გზა-და-გზა ისლამ-ბეი ქვიშაში ფიცრის ნაფოტებს არჭობდა, რომ გზა აღენიშნა.

მთელი დღე ნელა მივაბიჯებთ. აქლემები თანდათან სუსტდებიან. მათი განავალი ეხლა რამდენიმე ბზის ღეროსაგანლა შესდგება. კუშები დაელიათ და თითონაც გამჭლევდენ.

ქოთანში სულ ორი ქიქა წყალი და დარჩა. ვხმარობთ ტუჩების გასასველებლად; ჩვენი ეტიკი-ჯოლჩი უზო-უკვლოდ გაჰქრა: ალბად დატოვებულ სანოვაგეს დაუბრუნდა და იქ დაიკდის, სანამ ვინმე დაეხმარება.

მწყურია და ვსვამ საზიზლარ ჩინურ არაყს, რომელიც გოგირდის სიმჟავესავით ყელსა სწვავს. ჯოლბარსი ხედავს, რომ მე რალაცასა ვსვამ და კუდის ქიცინით ჩემთან მორბის, მაგრამ დასუნა თუ არა ბოთლს, ცხვირს დააცემინა და იმედ-გაცრუებული გაბრუნდა.

ისლამ-ბეი ყიბლანით ხელში წინ მიდის. მას მისდევენ მაჰომედ-შაჰი და ქასიმი აქლემებით. საიდანღაც ჯოლჩი ისევ ჩვენთან გაჩნდა და უკანასკნელ აქლემს მიუძღვება. მე კი, წყურვილით გონ-წართმეული ბოლოში მივეთრევი, ვეცემი, ფეხზე ვდგები, რამდენიმე ნაბიჯს გადავდგავ და ისევ ქვიშაზედ ვეცემი.

სრული სიჩუმეა, ზარების რეკა აღარ ისმის. ხუთივე აქლემი დაწოლილა, ღონე აღარა აქვთ. აქვე მაჰომედ-შაჰი ქვიშაში პირქვე დამხობილა. ქასიმ-ბეის თავი აქლემის კისერზე დაუდვია და ისე ქშინავს, თითქოს მკერდი უსკდება.

სიმტკიცითა და გამძლეობით ისლამ-ბეი ჩვენ ყველასა გვეჯობნის. იგი ფიქრობს, რომ ამალამ შეგვიძლია კიდევ

25 კილომეტრი გავიაროთ. კეთილი, მაგრამ თავი როგორ მივანებოთ მაჰომედ-შაჰს, ქასიმსა და ხუთ აქლემს?!

კარავსა ვდგავთ და მის ჩრდილში სრულიად ტიტველი, ღონე-წართმეული ვწევარ. პირველად, მთელს ჩემს ცხოვრებაში, სასოწარკვეთილებას ვეძლევდი.

ვინ მოკვდება ჩვენგან პირველი და ვინ იქნება ის უბედური, რომელიც ყველაზე გვიან დაიღუპება?

ღრო ნელა მიცოცავდა. საათზე ხშირად ვიხედებოდი და თითოეული საათი საუკუნედ მეჩვენებოდა.

მაგრამ, აი, გრილმა სიომ წამოუბერა. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ სიცხისაგან მოთენთილი სხეული წახლისებულყო. სიოს ქროლვასთან ერთად სიცოცხლე მიბრუნდებოდა. როდესაც მზე დასავლეთით ცის ტატნობს დაებჯინა, მე თავს უკვე ყოჩაღადა ვგრძნობდი. მოუთმენლად ველოდი გზის გაგრძელებას.

მე არ მინდოდა სიკვდილი!

სალამოზე ქასიმი და ისლამ-ბეიცი გამოქცობლდენ, მაგრამ მაჰომედ-შაჰი და ჯოლჩი ისევ იმავე მდგომარეობაში ხწვენ, ბოდავდენ და ჩვენს კითხვებზე პასუხს არ იძლეოდენ. ბოდვის დროს წამდაუწუმ ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებდენ: სუ! სუ! (წყალი, წყალი).

უცბად თვალეში მეცა ჩვენი მამალი, რომელიც ქათმების შორის დასეირნობდა. ხომ შეიძლება მისი სისხლი დავლიოთ! ქასიმმა მამალს დანით კისერი მოსჭრა და წვეთ-წვეთად გადმოიღვარა სისხლი.

მაგრამ ეს ძლიერ ცოტა იყო. წყურვილისათვის მსხვერპლად ცხვარიც უნდა შეგვეწვია. მე და ისლამ-ბეი დიდხანს ვყოყმანობდით, გვენანებოდა ჩვენი ერთგული თანამგზავრი, რომელიც ფინიასავით ყველგან მოგვდევდა, მაგრამ ქასიმმა საკითხი უფრო ადვილად გადაჭრა.

როდესაც მან ცხვარს ყელი გამოსჭრა, სისხლი ნაკა-

დულივით ჩაიღვარა ვედროში, სადაც მაშინვე პირი შეიკრა. სისხლი ჯერ ისევ თბილი იყო, ჩვენ რომ კოვზებით მივადექით და ხვრება დავიწყეთ. მაგრამ, ოჰ, რა საძაგელი გემო და რა საზიზლარი სუნი ჰქონდა მას!

მე ერთი ჩაის კოვზიც ძლივს გადავყლაპე და მეტი ვეღარ შევძელი. ყველამ უარი თქვა სისხლის დაღვევაზე და ჯოლბარსს მთელი ვედრო დაუთმეს. ძაღლმა ორჯერ ენა აუსვა და განზე გადგა.

რა ტყუილ-უბრალოდ დავღუბეთ საცოდავი ცხვარი!.. ისლამ-ბეიმ, რომელიც წყურვილმა გაატიჟა, ქვაბში აქლემების შარდი შეაგროვა, შიგ შექარი და ძმარი ჩაუმატა, ცხვირზე ხელი მოიჭირა და დალია...

ერთი საათის შემდეგ ისლამ-ბეის პირის ლებინება დააწყებინა და მას უკანასკნელი ძაღლონეც წაერთვა.

ჯოლჩი, რომელსაც ტანჯვით თვალები გადმოკარგლოდა, კარავთან დაჯდა და დაკლული ცხვრის ფილტვებს ლეჭვა დაუწყო. ხელეტი და სახე სისხლით მოთხუპნული ჰქონდა. იგი ნახევრად გიჟსა გავდა.

ჩვენი ბარგიდან გამოვარჩიე ის, რაც აუცილებლად ვცანი: მარშრუტთა გეგმები, ქანთა ნიმუშები, ქვიშა, რუკები, ხელსაწყოები, ქალაღი და ჩემი საგზაო დღიურები. ისლამ-ბეიმ აიღო სამი დღის საგზაო, ფქვილი, ჩაი, შექარი და რამდენიმე კონსერვის ყუთი. ამის გარდა, მან გადაწყვიტა თან წამოეღო ჩინური ვერცხლის ფული, რომლის ღირებულება დაახლოვებით 2.500 მანეთს უდრიდა.

ისლამ-ბეის დაჟინებული მოთხოვნით წავიღეთ აგრეთვე სანათი, სანთლები, ვედრო, რკინის კეტი, პაპიროსები და სიგარები. ჩვენს უკანასკნელ ნაბანაკარში დავტოვეთ ტყვია-წამლით სავსე ორი ყუთი, კარავი ხალიჩითა და ლოგინით, ქსოვილები, ქუდები, ხალათები, ფოტოგრა-

ფული აპარატები, ათასი ფირფიტა, უნაგირები, სამგზაგრო აფთიაქი და სხ.

ყველაფერი ყუთებში ჩავალაგეთ და კარავში შევდგით. იმედი გვქონდა, რომ თუ დაბრუნება მოვახერხეთ, ბარხანზე ამართული თეთრი კარავი კანდელივით გზას გვიჩვენებს.

რაც აუცილებელი იყო, ყველაფერი ხუთ ხურჯინში მოვათავსეთ და უნაგირ-მოხდილ აქლემებს გადავკიდეთ.

სალამოს 7 საათზე ჩვენი ქარავნის ზარები უკანასკნელად აჟღარუნდენ... მაჰომედ - შაჰმა და ჯოლჩიმ ვერ შეძლეს ჩვენთან ერთად წამოსვლა.

მე მივედი მათთან, შევეცადე რაც შეიძლება მოხერხებულად დამეწვინა და ვუთხარი, რომ ჩვენ აღმოსავლეთისაკენ წავალთ, ექ წყალს მოვძებნით და სავსე ვედროს მოვუტანთ. პასუხად ჯოლჩიმ რაღაცა წაიბურტყუნა, ხოლო მომაკვდავმა მაჰომედ-შაჰმა ძლივს მოახერხა გამომშვიდობების ნიშნად ხელის დაქნევა.

ნელა დავიძარით ბანაკიდან. ჩემი საყვარელი ჯოლბარსი, მჭლე, როგორც ჩონჩხი, თან გამომყვა.

წინ სიბნელე იყო და სიბნელეში ქვიშის ზღვა. მაგრამ მე კუნთებში ძალას ვგრძნობდი. მე არ მინდოდა უდაბნოში სიკვდილი! რა ნელა მივდივართ...

პირველი ბეჭობის მახლობლად დაგველუბა კიდევ ერთი აქლემი.

სიბნელეში გზას ვერ ვარჩევდით და ხშირად ოღრო-ჩოღროებს ვაწყდებოდით. სანათი ავანთე და გასავლელის საძებნად წინ წავედი. კომპასი აღმოსავლეთის გზას მიჩვენებდა, სანათი კი ბარხანების ზედაპირს შუქსა ჰფენდა.

ისლამ-ბეი ბარბაცით მომიახლოვდა და ჩემს ფეხებთან წაიქცა.

— მეტი სიარული არ შემიძლია! — ამოიხრიალა მან.

მე მივხვდი, რომ თუ აღმოსავლეთისკენ არ ვისწრა-

ფებ და წყალს არ ვიშოვნე, მაშინ უდაბნოს დრამის უკანასკნელი აქტი მთელი ქარაენის დაღუპვით დასრულდება.

მე და ქასიმმა ერთმანეთს გადავხედეთ. მან უკვე ზურგზე წამოიკიდა რკინის კეტი, ვედრო, თოკები და ყველაფერი, რაც ჭის სათხრელად საჭიროა. მე თან წავიღე კომპასი, ზარი, ორი ქრონომეტრი, კონსერვი, შოკოლადი და ათი პაპიროსი. სწორედ შუალამე იყო, როდესაც ქასიმმა და მე ჩვენი ოდესღაც მდიდრული ქარაენის ნაშთები მივატოვეთ.

ოთხი აქლემი კისერ-გაწვდილნი ქვიშაზე წყნარად და უმოძრაოდ იწვნენ.

ისლამ-ბეიმ თვალის არ გამოგვაყოლა. მხოლოდ ჯოლბარსმა გაკვირვებით გვიყურა, ალბად ფიქრობდა, რომ ჩვენ წყლის მოსატანად წავედით და მალე დავბრუნდებოდით, ვინაიდან ქარაენი ადგილზე რჩებოდა.

ჯოლბარს თავზე ხელი გადავუსვი. ეს ჩემი უკანასკნელი ალერსი იყო მისთვის.

ისლამ-ბეის ახლოს სანათი დავდგით, რომელიც ერთხანს გზას გვიშუქებდა მაგრამ, აი, ის ბარხანების იქით მიჰქრა და ჩვენ ყოველის მხრივ შემოგვეხვია კუნაპეტილამე უდაბნოს სამარისებული დუმილით.

*
*
*

მე და ქასიმი ორ საათს შეუჩერებლივ მივაბიჯებდით. მაგრამ ფხვიერ ქვიშაზე სიარული არც ისე ადვილი იყო და ღონე რომ გამოგველია, წამოვწყვეით. ძალიან გრილილამე იყო და თეთრ ტანსაცმელში შეგვცივდა... დილის 4 საათზე სიცივემ წამოგვახტუნა და ხუთ საათს ისე ვიარეთ, რომ არ შეგვისვენებია. შუადღისას საშინლად ჩამოცხა და უღონონი, შიშველ-ტიტველნი ჩვენს მიერ ამოთხრილ ორმოებში ჩავწყვეით. გათბებოდა თუ არა ორმო, ახალსა ვთხრიდით და წუთიერი სიგრილით ვტკებოდით.

ჩვენი ერთადერთი თანამგზავრები იყვენ: კოლო და ორი ბუზი; ალბად ქარს თუ შემოჰყოლიან. ცოტა წავიძინეთ და ისევ აღმოსავლეთისაკენ გავეშურეთ.

უცხად ქასიმმა ხელი მტაცა. მან თავისი მახვილი თვალით ცის ტატნობზე თამარისკის მწვანე ბუჩქნარი დაინახა. ჩვენ მისკენ გავექანეთ და მისვლისთანავე დავეტაკეთ, მწვანე წიწვნარს ლექვა დავუწყეთ. ბუჩქები ცოცხალი იყო და არა დამჰქნარი. მისი ფესვები, როგორც ჩანს, ყამირის წყლებს აღწევდნენ. მაშასადამე, ახლო-მახლო ზედაპირზედაც უნდა იყოს წყალი.

გადარჩენის იმედმა ძალღონე გავვიორკეცა.

ხმელი ფიჩხი შევაგროვეთ და დიდი კოცონი დავანთეთ, რომელიც არემარეს ყვითელ შუქსა ჰფენდა. თუ ისლამ-ბეი გამომჯობინდა, ეს ცეცხლი მას გზას აპოვინებს. გარდა ამისა, თუ სადმე ახლოს მგზავრი იმყოფება, მის ყურადღებასაც მოვიპყრობთ.

მე და ქასიმმა ძლივსძლივობით შეეკლავით თევზის კონსერვის ორიოდე ლუკმა და ცოტაოდენი შოკოლადი. შოკოლადის კოლოფი დავიტოვე, — იქნება წყლის ამოსაღებად გამოგვადგეს.

მაგრამ მეტი არავითარი მცენარეულობა აღარ შეგვხვედრია. მთელ დღე სიცხეში ვიბორიალეთ. ბოლოს და ბოლოს, მოქანცულმა ქასიმმა იგივე სიტყვები წარმოთქვა, რაც უკვე ერთხელ ისლამ-ბეისაგან გავიგონე:

— მე მეტს ვეღარ ვივლი.

ტანზე თითქოს კანის მაგივრად ყავისფერი ეტრატის ტყავი შემოეჭიროთ — ხელის მიკარებისა გეშინია.

*
**

სამარისებური სიჩუმე იწვა, როდესაც ქასიმი დავტოვე და მარტოთ მარტო გზას გავუდექი.

ვარსკვლავები ელექტრონის ლამპებივით ბჟუტავდენ. მივდიოდი და მესმოდა მხოლოდ ქრონომეტრის ტიკტიკი, ჩემი საკუთარი გულისცემის ხმასთან ერთად.

მაგრამ მზე ამოვიდა თუ არა, აღმოსავლეთით გარკვეულად გამოჩნდა ჰორიზონტული ზოლი. სიხარულისაგან შევკრთი და თვალებს არ ვუჯვრებდი; ვინაიდან ეს ზოლი ტყე იყო,—ტყე სანატრელ ხოტან-დარიას ნაპირზე. ტყე, რომელშიც იზრდება დიდრონი ხეები, ყვავილებით მორთული, ჩრდილიანი და გრილი!..

თავზე ხელებ-წავლებული ვიდექი და მოჯადოებულივით ვიყურებოდი შორს. წინ ბილიკი მოჩანდა და მასზედ—ნადირთა ნაკვალევი. ამ ბილიკს ჩემთვის გზის სწავლება და მდინარესთან მიყვანა შეუძლია.

ქანაობითა და ბარბაცით, მაგრამ მაინც მივდიოდი. რამდენჯერმე ხშირ ტევრებში გავები, ხელპირი დავიკაწრე და ტანსაცმელი დავიფლითე. დაღლილობისაგან ხან ქვაზე ვჯდებოდი, ხან კუნძზედ.

უცბად ტყე შეწყდა და წინ ვაკე გადამეშალა. ამ ვაკეზე ბარხანები არ მოჩანდა—მაშ ესა ყოფილა ხოტან-დარიას კალაპოტი!

მაგრამ მდინარე კი ჯერ არ ჩანდა. მთელი დღე და საღამო მივდიოდი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. რატომ სამხრეთ-აღმოსავლეთით და არა აღმოსავლეთით, როგორც აქამდე მივდიოდი? ამას დანამდვილებით მეც ვერ გეტყვოდი. მთვარე ანათებდა და ვცდილობდი დამენახა: ხომ არ გაიეღვებს სადმე წყლის ზედაპირი...

უცბად ხშირ ბუჩქნარსა და ლერწამში მოვხვდი. ნახევრად წაქცეული ალვის ხე გზას მიღობავდა. უეცრად შემომესმა, თუ როგორ აფრინდა, იქვე სადღაც ახლოს, შემინებული იხვი... გაისმა წყლის შხაპუნი—და ერთი

წუთის შემდეგ გუბეს მივაღეჭი, ცივი და წმინდა წყლით
სავსე გუბეს.

ჯიბიდან საშოკოლადო კოლოფი ამოვიღე, წყლით
აეავსე და სმა დავიწყე. ვინც წყურვილისაგან სიკვდილის
პირამდე მისულა, მხოლოდ იმან იცის, თუ რა სასიამოვნოა
წყლის დაღვევა. სვი, სვი და სვი... წყალზე მშვენიერი
და გემოიანი ამ ქვეყნად არაფერია. არც ერთი სას-
მელი! 10 წუთის განმავლობაში დაახლოვებით 3 ლიტრი
დავლიე, ვინაიდან კოლოფში ჯიბის სავსე ჭიქა ეტეო-
და, მე კი ის 12-ჯერ დავცალე. ამ გრილ და სუფთა წყა-
ლთან ერთად ჩემს ძარღვებში სიცოცხლის ძალა იღვრე-
ბოდა. წყალი შედიოდა მთელი სხეულის ყველა ქსოვი-
ლებსა და ნასვრეტებში, რომლებიც ღრუბელივით იჟღენ-
თებოდა. მაჯის ცემა ამიჩქარდა, სისხლი წინანდებურად
დატრიალდა ძარღვებში. ტყავისავით დაქმუჭნული კანი
ისევ გასწორდა, მოქნილი და გლუვი გახდა.

არასოდეს სიცოცხლე ასეთი მომხიბლველი და თვალ-
წარმტაცი არ მომჩვენებია.

მაგრამ ამ დროს მე გამახსენდა მომაკვდავი ქასიმი.
იგი აღვილიდანაც ვერ დაიძვრება, თუ მე წყალი არ მი-
ვუტანე. უნდა ვიჩქარო, თორემ გვიანლა იქნება. ჩემი
თუნუქის კოლოფი მეტად პატარაა. რაც ამაში წყალი
ჩაეტევა, ქასიმის გაღიზიანებასაც ვერ ეყოფა, რა ვქნა,
როგორ მოვიქცე?

უცბად ერთი რამე მომაგონდა: ფეხებზე წყალგაუვა-
ლი შვედური ჩექმები მეცვა. აი რითი შემიძლია ქასიმს
წყალი წავულო!

საჩქაროდ ჩექმები გავიხადე და გუბეში ჩავუშვი. ჩე-
ქმები ბუბუბუყით გაივსო. ფრთხილად ამოვიღე და წამო-
ვედი. მე ვიცოდი, რომ ამ ჩექმებით მომაკვდავი ადამი-
ანისთვის სიცოცხლე მიმაქვს.

მთვარის შუქზე ჩემს ნაკვალევს მივყვებოდი. თხელი წინდებით ტყეში სიარული არც ისე ადვილი იყო, წამდაუწუმ ტირიფებში ეკალი და წიწვი მესობოდა. მაგრამ კიდევ უფრო უარესი იყო, რომ მთვარე ღრუბლებში გაეხვია, ტყე ჩაბნელდა და ნაკვალევი დავკარგე.

წუმწუმა გავკარი და ყიბლანის ხმარება ვცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე...

მე დავიყვირე: „ქასიმ“...

არავინ მიპასუხა.

კოტაოდენი ხნის შემდეგ ხმელი ფიჩხის გროვას მივაწყდი და ცეცხლი წავუკიდე.

კოცონი ცამდის ავარდა. ცეცხლის ენები ალვის ხეებს ლოკავდენ, მთელ ტყეს საზარელი ყვითელი სინათლე მოეფინა. შეუძლებელია, რომ ქასიმმა ვერ დაინახოს ცეცხლის შუქი, ან მისი ტკაცუნე არ გაიგონოს. მაინც იგი არ მოდის.

სევდიანი ველოდი დილას. ირიჟრაჟა თუ არა, ისევ ხელი მოვავლე სავსე ჩექმებს (ერთი წვეთი წყალიც არ გასვლოდათ) და ჩემი ნაფეხურების ძებნას შევუდექი.

მალე კიდევაც მივაგენი.

ქასიმთან რომ მივედი, იგი როგორც დავტოვე, — იმნაირადვე იწვა. ჩემს დანახვაზედ შეინძრა, თავს ძალად აატანა და ამოიჩურჩულა:

— ვკვდები!

— წყალი გინდა? — დინჯათ ვკითხე.

მან ტუჩები მოილოკა და ნაღვლიანად ამოიკვნესა:

— წყალი ვინ მომაოხრა?

მან არ იცოდა, რა იყო ჩექმებში.

თავი ავუწიე და ჩექმის ყელი პირთან მივუტანე. გაიგონა თუ არა წყლის ბუებუყი, შეკრთა, ჩექმას მიაკვდა, დაეწათა და ერთბაშათ გადაყლაპა. მალე მეორე ჩექმასაც ასეთივე ბედი ეწვია.

წყალმა ქასიმიც ისევე ჯადოსნურად გარდაქმნა, როგორც მე“...

ორი დღის შემდეგ სვენ ჰედინი ქვიშაზე ორი ადამიანისა და ოთხი სახედრის ნათეხურებს წააწყდა. ქასიმი წინა დღეს წყალთან ჩამორჩა, ვინაიდან ჯერ სიარული ვერ შეეძლო. მჯლე მოგზაურმა ძროხის ზმუილიც გაიგონა და მიადგა მინდორს, სადაც მწყემსი ნახირს აძოვებდა.

მწყემსმა დაინახა ძონძებში გახვეული კაცი ლურჯი სათვალეებით და მიშისაგან შეჰყვირა.

— ა! ა!...

— სალამ ალეიქუმ! — შესძახა სვენმა.

მწყემსმა ნახირს თავი მიანება და „მოუსვა“, მაგრამ მალე დაბრუნდა და მეორე მწყემსი მოიყვანა, რომელიც მასზედ უფროსი და აზრიანი გამოდგა.

სვენმა დაიწყო მწყემსებთან ცხოვრება. ორი ხის ძირში ფანჯატური გამართეს, შიგ სვენმა თავისი ხელსაწყოები, რუკები და უბის წიგნაკები დაალაგა და დარწმუნდა, რომ ხოტან-დარიას ნაპირზე გამართული მისი კაბინეტი არ ჩამოუვარდება სტოკჰოლმში დატოვებულ კაბინეტს.

რამდენიმე დღის შემდეგ მწყემსების ბინასთან ქარავანმა გამოიარა. მექარავენებმა უამბეს სვენს, რომ გუშინ მათ ტყის პირას უგონო მგზავრი და თეთრი აქლემი ნახეს. მომაკვდავი კაცი გონს მოაბრუნეს, მოამარაგეს ნივთებით, ქიშმიშითა და პურიით და აუხსნეს, რომ ქარავენის კვალს მისდიოს.

იმავე სალამოს სვენი გადაეხვია ქასიმსა და ისლამბეის, რომელთაც მოჰყვა დარბაისელი თეთრი აქლემი, ზურგზე ხურჯინ-გადაკიდებული.

ისლამ-ბეიმ დაისვენა და თავის თავგადასავალს მოჰყვა. სვენისა და ქასიმის წასვლის შემდეგ იგი გონს მო-

ვიდა და მათ კვალს გამოედევნა. მან შენიშნა ამათმიერ დანთებული ცეცხლი და წახალისდა. თეთრი აქლემი და ჯოლბარსიც მას გამოჰყვეენ, მაგრამ ტყის პირთან ჯოლბარსი უგზოუკვლოდ დაიკარგა...

ისლამ-ბეიმ იცოდა, როგორ უყვარდა სვენს ჭკვიანი ჯოლბარსი. ბევრი უსტვინა და უძახა ძაღლს, მაგრამ ამაოდ...

აქლემთან ერთად მდინარის მშრალ კალაპოტამდის მოვიდა, მაგრამ წყალი ვერ ნახა და სიკვდილის მოლოდინში იწვა მიწაზე.

აქ მას მექარავნებმა მიაგნეს. შემდეგ ისლამი ქასიმს შეხვდა და ერთად წამოვიდნენ.

მაგრამ ისლამ-ბეიმ, ამ პატროსანმა და თავგანწირულმა ყაშლარელმა მბრტოოდენ თავისი თავი კი არ გადაარჩინა სიკვდილის კლანჭებს... მან გადაარჩინა ბარგის ნაწილი, რომელიც სვენს შესაძლებლობას აძლევდა სამეცნიერო მუშაობა განეგრძო...

* * *

მაისის პირველ რიცხვებში შვედეთის დედაქალაქს—სტოკჰოლმს გემი მიაღვა.

ნავთსადგური დროშებით, მწვანე ტოტებით, ფერადი სანათურებითა და ყვავილებით იყო მორთული. ნაპირზე შეგროვილიყო სადღესასწაულოდ მოკახმული ხალხი.

ერთის სიტყვით, ისეთივე ამბავი იყო, როგორც ნორდენშელდისა და პოლანდერის შეხვედრის დროს.

მაგრამ ეს გემი „ვეგა“ არ იყო და მის ბაქანზედაც ნორდენშელდი არ იმყოფებოდა. სხვა მგზავრებთან ერთად ამ გემის ბაქანზე იდგა და სტოკჰოლმს გასცქეროდა პატარა ტანის, მაგრამ კუნთებიანი კაცი. მას ცხვირზედ სათვალეები ეკეთა, სახე ბრინჯაოსავით გარუჯული ჰქონდა. ეს იყო სწორედ ის პატარა ბიჭი, რომელიც ოდეს-

ლაც ნორდენშელდს გულის ფანცქალით ხედებოდა ამავე ნავთსადგურში. ეხლა ის უკვე ცნობილი მოგზაურია, აზიის მკვლევარი—სვენ ჰედინი.

ბიჭოს, ეს ქალი რომ დგას ნაპირზე, ალმა უნდა იყოს. როგორ გაზრდილა! თმაც დაწნული აღარა აქვს და კეთაზედ დახვეული ადევს.

— სვენ! სვენ!—ყვირის ალმა, მიაღწევს გაზეთების კორესპონდენტებისა და ფოტო-რეპორტიორების გროვას, სადაც ფოტო-აპარატის საკეტები ჩხაკუნობენ. ალმა გაჯავრებულია: ვიღაც უცხო ხალხი სვენს ხელს ართმევს, სვენი კი ალმას ვერა ხედავს. იქვე, განაპირას ჭალარა წვერიანი მოხუცი ლუდვიგი დგას, რომელსაც სვენის მიმართ ყველაზე უფრო მეტი უფლებები გააჩნია, მაგრამ შინც თავის რიგს უცდის. ალმა მას შესჩივის.

— მამა, უყურე, სვენს ყველა ხელს ართმევს, ჩვენ კი...

— შვილო, ნუ ჩქარობ! სვენი უკვე აღარაა ჩვენი. სვენი ყველასია. ეს მე ძალიან მახარებს!

— საძაგლობაა! ჯავრობს ალმა.

სვენს ყვავილებს აყრიან, როდესაც იგი მოხუც მამას და დას ეხვევა. მას ეჩქარება, ვინაიდან სახლში თმა-მოვერცხლილი დედა ნავთსადგურის გზას გაჰყურებს...

ველოსიპედით მოსიარულე ფოსტალიონს ყოველდღე მრავალი წერილი და მოსაწვევი ბარათი მოაქვს ჰედინების სახლთან და თავის ჩანთას აქა სცლის. სვენიც დროგამოშვებით მოხსენების წასაკითხად მიდის კოპენჰაგენში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში, ბერლინში, ან პეტერბურგში. მთელი მსოფლიოს პრესა ქება-დიდებას მიუძღვნის გამბედავ მკვლევარს.

სასტუმრო ოთახის კუთხეში ისევ „წინაპრები“ სხედან: ბიძია ქრისტეფორე, რომელმაც ინგლისელი ქალი შეირთო ცოლად, დეიდები: ავგუსტა და აგატა. რა თქმა უნდა, ისინი სვენს აღარ დასცინიან.

დეიდა ავგუსტამ პირველად დაარღვია სიჩუმე:

— ერთი მითხარით, ვის წავიკითხავთ სვენის წიგნი „ცალიერი აზია“?

ბიძია ქრისტეფორე გამოეხმაურა:

— მე წავიკითხე, მაგრამ იმ წიგნს „ცალიერი აზია“ კი არ ეწოდება, არამედ „უდაბური აზია“. უნდა მოგახსენოთ, რომ სვენის მართლაც უდაბნოს მგონად არის შობილი. რომ იცოდეთ, როგორ აღწერს უდაბნოს, ოჰ, როგორ აღწერს!

ბიძია წიგნის ქებამ გაიტაცა:

— ის წიგნი ორი ნაწილისაგან შესდგება. ორი დიდ-რონი ტომია. ჯერ ზურგზედ დაწოლილი ვკითხულობდი, მაგრამ ხელები დამელალა მათი სიმძიმით. მაშინ მუცელზე გადავტრიალდი. იცით, ასეთ მდგომარეობაში კითხვისაგან მუცლის კუნთები ძალიან გამიმავრდა. ჩემი მეუღლე გეტყვით, რომ ეს ძალიან სასარგებლოა და...

მაგრამ დეიდა ავგუსტას მრისხანე თვალები სიტყვას შუაზედ აწყვეტინებენ,

— ჩვენ ის კი არ გვინდა გავიგოთ, თუ რას გვეტყვის მეჯი შენი მუცლის კუნთების გამავრების შესახებ, — ჯავრობს დეიდა ავგუსტა. — არამედ ის, თუ შენ რას იტყვი იმ ორი წიგნის შესახებ, მუცელზე დაწოლილმა რომ წავიკითხე. რა სარგებლობა მოგიტანეს?

— ოჰ, ძალიან დიდი სარგებლობა! მათი მეოხებით წონაში ორი კილო მაინც მომაკლდა და ვინაიდან მე საერთოდ...

— ბრიყვო!

გაბრაზდენ დეიდები ძმის გულუბრყვილობით.

მეჯიმ სვენს დაუჭირა მხარი, ალმაც ჩაერია; ბოლოს თითონ სვენიც შემოვიდა ოთახში და ამიტომ კამათი ახალგაზრდობის გამარჯვებით დასრულდა.

სვენის ახალი თავგადასავალი თურანში

სტოკჰოლმში სვენი ბევრ ხანს არ დარჩენილა. მის წინაშე წამოიჭრა შუა აზიის სხვა უცნობი ნაწილების გამოკვლევის საკითხი.

— მე გამიგონია ძველი თქმულება იმის შესახებ, რომ გობის უდაბნოში, მოძრავი ქვიშის ბარხანების ქვეშ დამარხულია უძველესი ქალაქი ლიუ-ლანი.—უთხრა სვენმა თავის დედამას და აღმას.

— მეც სადღაც წამიკითხავს.—კვერი დაჰკრა ლუდვიგ ჰედინმა.

— უფრო სწორედ რომ ვთქვათ,—განაგრძო სვენმა.—ეს თქმულება კი არ არის, არამედ ისტორიულ წყაროებში შენახული ამბავი. მე ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე...

— შენ ეგ ძველი ქალაქი უთუოდ უნდა გათხარო, სვენ!—უთხრა დედამ, რომელიც თავისი შვილით ამაცობდა.

სვენი მაგიდას მიუჯდა და მსჯელობა დაიწყო:

— მე გავივლი ასთინგ-ტალას პარალელური ქედების შორის, აღმოსავლეთისაკენ—400 კილომეტრის მანძილზე, გადავალ ანამბარულ-ულას მთებზე და იქიდან ჩრდილოეთისაკენ გობის უდაბნოს გადავჭრი. თან წავიყვან რვა კაცს! მათ შორის ერთი რუსი იქნება, ერთიც ყაზახი—სახელად შაგდურ და ერთიც ჩინელი—ლი-ლოი. უკვე დიდი ხანია, რაც მათთან მიწერ-მოწერა გავაჩაღე.

ამ მოგზაურობაში სვენს ყველანი ხელს უწყობენ: აღმამ ძალის ლეკვი „პატარა“ აჩუქა; მეჯიმ, ბიძია ქრისტეფორეს ცოლმა მოახერხა ექსპედიციის მოსაწყობად საჭირო ფულის შოვნა და სხვა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებაში 40.000 კრონა მოუგროვა სვენს.

ძველი ქალაქის—ლიუ-ლანის გარდა სვენს იზიდავს შუა აზიის მეორე ქალაქი, რომელიც აგრეთვე უძველესი ქალაქია, მაგრამ ლიუ-ლანისავით ქვიშა-წაყრილი არ არის. პირიქით, იგი ეხლაც ტიბეტის დედაქალაქად ითვლება. ესაა ლჰასსა, სადაც ცხოვრობს ტიბეტელების „ცოცხალი ღმერთი“ და ბუდდას მოადგილე—დალაი-ლამა.

ლჰასაში მისვლა ევროპელებს აკრძალული ჰქონდათ, ვინაიდან ჩინელებსა და ტიბეტელებს არა სურდათ თავის უწმინდეს ქალაქში ურწმუნო უცხოელები შეეშვათ. ისინი აკავებდნენ და ხშირად აპატიმრებდნენ კიდევაც მოგზაურებს, რომლებსაც ტიბეტის ზეგანებზე თვალს მოჰკრავდნენ.

სვენ ჰედინამდე დაახლოვებით ორი საუკუნის განმავლობაში მრავალი ევროპელი მოგზაური შეეცადა ლჰასაში მისვლას, მაგრამ ზოგი გზაში დაიღუპა, ზოგი კი გაჰკირვებამ და ტიბეტელების სიმკაცრემ უკანვე გამოაბრუნა. ლჰასიდან მიმავალ ყველა გზებზე შეიარაღებული რაზმები და ციხე-სიმაგრეები იდგა. ვერც პრევევალსკი და ვერც სხვა გამბედავმა მოგზაურებმა ვერ მოახერხეს ნატვრის ასრულება.

სვენმა ტიბეტზე მოგზაურობის ერთერთ მიზნად ლჰასაში მისვლა დაისახა.

* * *

ახალ წელს სვენი უდაბნოში შეხვდა.

აღმას ნაჩუქარს ლეკვს „პატარას“ ხუმრობით ყური აუწია და უთხრა:

— გილოცავ ახალ წელიწადს!

ყაზახი შაგდური თოფის მარჯვე მსროლელი გამოდგა, გზა და გზა ბევრს კაკბებსა ხოცავდა. 12 იანვარს

ქარავენის გობის გადახრუკულ უდაბნოს მიადგა. ვინაი-
დან ამ უდაბნოში ერთი წვეთი წყალიც არ მოიპოვებოდა,
ამიტომაც თან ხუთი ყინულით სავსე ტომარი წაიღეს.

გარეული აქლემების ნასიარულევის გარდა, უდაბნო-
ში სიცოცხლის ნიშანიც არ ჩანდა. მალე ყინული გამო-
ელიათ და აქლემებს აღსასრულის დღე მოუახლოვდა, მა-
გრამ სვენმა შემთხვევით წყაროს მიაგნო და წყლის მა-
რაგიც განიახლა.

ასტრონომიული ხელსაწყოებს შემწეობით სვენმა გა-
ნსაზღვრა ქალაქ ლიუ-ლანის ადგილმდებარეობა და მალე
იპოვა ქვიშა-წყარილი 19 სახლი. მაშინვე ყველანი ქვი-
შის თხრას შეუდგნენ. სვენი კარგ ჯილდოს დაჰპირდა თა-
ვის თანაშემწეებს, თუ ისინი წარწერიანი ქალაქის ნა-
გლეჯს მაინც იპოვნიდნენ. მაგრამ ჯერჯერობით აღმოჩნდა
მხოლოდ წითელი ქსოვილის ნაფლეტები, თმა, შინაური
პირუტყვის ჩონჩხები, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, ჩი-
ნური ლითონის ფული და სხვა წვრილმანი.

ერთერთ სახლში ყველაფერი ისევე ელავა, როგორც
იგი 1500 წლის წინად პატრონმა დატოვა.

შაგდური ყველაზე უფრო ბეჯითად მუშაობდა. მან
იპოვა ბუდისტების ტაძრის ნაშთი. ოდესღაც ეს მეტად
კოხტა და ლამაზი შენობა იქნებოდა; მის გარშემო გა-
ფენილი იყო სახლები, კოშკები, ლობეები და ბალები.

ეხლა კი აქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

ქვიშიდან ამოათრიეს ხიდან გამოთლილი ბუდდას ქან-
დაკება და ჩუქურთმები. შემდეგ შაგდურმა წარწერებით
აჭრელებულ ფიცარსაც მიაგნო და სვენისაგან დაპირე-
ბული ჯილდო მიიღო. მალე გოლახმაც დაწერილი ქა-
ლალდი იპოვნა და ჯილდო გაიკრა.

ბოლოს და ბოლოს 36 ქალაქის ნაგლეჯი აღმოა-
ჩინეს და ამის გარდა, აგრეთვე 120 ბამბუკის ჯოხი სხვა-
დასხვანაირი წარწერებით.

როგორც შემდეგში გამოირკვა, ეს საბუთები მეორე საუკუნეს ეკუთვნოდა და ამგვარად დედამიწაზე უძველეს შენახულ ხელნაწერებს წარმოადგენდა.

ეს ხელნაწერები განსაკუთრებით იმით არის შესანიშნავი, რომ მათში მოქცეული ცნობების მეოხებით შესაძლებელია ლიუ-ლანის ყოფა-ცხოვრების სურათის აღდგენა. მაგალითად, ერთერთ ბამბუკის ჯოხზედ სწერია:

„სამხედრო მართველობა. სია იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც მეოთხე წელს შეექვსე თვეში გაიგზავნენ და მივიღენ კაი-ხანგის ბანაკში. სია დენერტირებისა და მოკლულებისა და სხ.“

ამავე ხელნაწერების მიხედვით გამოირკვა, რომ ლიუ-ლანს ჰქონია საკუთარი ქარვასლა, საავადმყოფო, ფოსტა, ბუდდას ტაძარი და მრავალი ღატაკთა ქოხმხები. ლიუ-ლანელ მდიდრებს ჩინეთიდან მოსდიოდათ აბრეშუმი, ხალიჩები, რომისა და სირიის მინა, საყურეები, ფირუზის სამაჯურები, ბრინჯაოს კოვზები და ქინძისთავეები და სხ. მე-4 საუკუნეში მტრებმა შემუსრეს ჩინეთის ბევრი ქალაქი და მათ შორის ლიუ-ლანიც...

* *

ქალაქ ყარღალიკში ცხოვრობს „ამბანი“—ე. ი. მანდარინი ანუ თავადი. სახელად მას ლი-დარინს ეძახიან.

გაიგო თუ არა ლი-დარინმა, რომ მის სამფლობელოში ვიღაც ევროპიელი სწავლული იმყოფება, რომელიც „საიღუმლო ექსპედიციებს“ აწყობს, მაშინვე დილის 6 საათზე სვენ ჰედინის ბინას მიაღვა.

სვენის ჯერ ისევ ლოგინში იწვა, მაგრამ ამას სტუმარი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაუყენებია. ამბანი საწოლის ნაპირზე ჩამოჯდა და იატაკზე სვენისათვის მოტანილი ძღვენი გაშალა: ბრინჯი, ცხვრის ხორცი, პურისა და ჭადის ფქვილი, ქერი ცხენებისათვის და... შეშა.

ლი-დარინის სტუმართმოყვარეობამ სვენზე ძლიერ იმოქმედა. მეორე დღესვე სვენი მას ეწვია. ამბანის ეზოში სვენის მოსვლას ზარბაზნის დაჭეჭებით მიესალმენ, ცხენი დაუფრთხეს და სვენი კინალამ ჩამოაგდეს.

ამბანმა სტუმარს უხვი „დასტარხანი“ შესთავაზა — ნაირ-ნაირი მსხალი, ფორთოხალი, ქიშმიში და ნუში. სტუმარიც და მასპინძელიც იატაკზე ფეხებ-მოკეცილი დასხდნენ და მუსაფთი გააბეს:

— თქვენ ყაშლარში მიდიხართ?

— არა. ყაშლარში არა!

— აჰა! მაშ იარკენდში მიხვალთ?

— არა, მგონია არც იარკენდში მომიხდება წასვლა.

— ძალიან სასიამოვნოა. იარკენდში საშინელი ავადმყოფობა იცის—ჩიყვი. თუ ვინმე უცხოელი იარკენდში ჩავა, მაშინვე ჩიყვი ამოსდის. ჩიყვი სიმსივნეა, კაცის თავის ოდენა და ძალიან უშნო ხორცმეტი.

— დიახ, რა თქმა უნდა, ლამაზი არ არის, როდესაც ადამიანს ერთ თავზე მეორე თავი ამოსდის, მაგრამ ვინაიდან მე იარკენდში არ მივდივარ, ამიტომაც არ მეშინია. ამბანი თავს აკანტურებს:

— კეთილი და პატიოსანი!.. მაშ ალბად ლობ-ნორის ტბაზე მიბრძანდებით?

სვენს ჩინელის კითხვები არ ესიამოვნა. გამოცდილებით იცის, რომ როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას აქცევს ექსპედიციის მიზანს, ამას ექსპედიციისათვის უსიამოვნო შედეგები მოსდევს: მოგზაურებს შუა გზიდან უკან გამოაბრუნებენ. ამიტომაც სვენი ეშმაკურ პასუხს აძლევს:

— მე მაინტერესებს აქაური გარეული აქლემები.

მინდა მივაგნო მათს სამშობლოს...

იმევე დღეს სვენმა ბარგი ჩაილაგა და ყარლალიკი მიატოვა. იგი გაემართა ლობ-ნორის ტბისაკენ, რომელ-

შიც მდინარე თარიში ჩადის. აქ მან ნავით იცურა ტბაზე, შემდეგ ასეთივე ცურაობა ყარა-ყულის ტბაზედაც გაიმეორა, თან ახალ მარშრუტებს იკვლევდა.

ლობ-ნორის ტბასთან სვენმა შეაჯამა თავისი მოგზაურობის შედეგები და კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან უძველესი ქალაქების გარდა, მან შეისწავლა მდინარე ქერიმდარიას ხეობა სათავიდან—ბოლომდის, გამოიკვლია თარიშის რთული სისტემა და ლობ-ნორის „თეთრი ლაქა“ ძნელი და მომქანცველი მუშაობის შემდეგ. სვენი დასასვენებლად ხოტანისკენ გაემგზავრა.

ხოტანის გზაზე მდებარეობს სოფელი აკალიკი. აქ მისვლისთანავე სვენმა აქლემები ანდიჯანელ ვაჭარს მიჰყიდა, ვინაიდან მათი თან წაყვანა შეუძლებლად სცნო.

სვენს ძლიერ დაენანა საყვარელი ცხოველების მოშორება, მაგრამ გულის გასართობად ძაღლებს ეთამაშებოდა. „პატარას“ გარდა, მას ჰყავდა ძაღლი „იოლდაში“ რომელიც განებივრებული ჰყავდა. ერთხელ „იოლდაში“ ღამე სვენი გააღვიძა ღრენითა და წკმუტუნით. სვენმა ელექტრო-სანაბი გააშუქა და დაინახა, რომ კარავის მიწაზედ, სწორედ მის ბალიშის ახლო შხამიანი მორიელი დაცოცავდა. ამგვარად ჰკვიანმა ლეკვა თავისი პატრონი სიკვდილს გადაარჩინა.

ჩაკალიკიდან წასვლის წინ სვენმა ადგილობრივ ჩინელ ამბანს თავისი სასტუმრო ბარათი და პასპორტი გაუგზავნა.

ამბანმა თარჯიმანის საშუალებით მოგზაურს შარი მოსდო და ისეთი პასპორტი მოითხოვა, რომელიც პეკინში შემოწმებული იქნებოდა. სვენი ადგა და მოსალაპარაკებლად თვით ამბანთან მივიდა.

— თქვენ საეჭვო ვინმე ხართ!—უთხრა ჩინელმა ადმინისტრატორმა სვენ ჰედინს.—მე თქვენ დაგაპატიმრებოდა ყარა-შარში გაგზავნით.

საქმე გახათაბალდა, მაგრამ სვენმა იცოდა, თუ რო-
გორი მოქცევაა ამ შემთხვევაში საჭირო. ამიტომაც მან
უღარდელად განზე გადააფურთხა და ამბანს განუცხადა:

— ხვალვე მე ჩერჩენში მივდივარ, იქიდან კი ხოტანს
წავალ.

ამბანმა უპასუხა:

— ხვალვე დაგატუსაღებთ და ათი ჯარისკაცის თან-
ხლებით ყარა-შარში გაგამგზავრებთ.

სალამოზე სვენის ბინას მოადგა ჩაკალიკის გარნი-
ზონის უფროსი ში-დარინი, რომელსაც მისი დაპატიმრე-
ბა ჰქონდა ნაბრძანები.

ში-დარინმა „აუხსნა“ სვენს, რომ ამის მიზეზი პას-
პორტის უქონლობაა. სვენი გაბრაზდა:

— რას აგიჩემებიათ ეგ პასპორტი, სულ მაგას რომ
გაიძახით? მე როდესაც არაქათ-გამოცლილი თაკლა-მა-
კანის უდაბნოზე მივფორთხავდი, მაშინ პასპორტს არა-
ვინ არ მთხოვდა, ეხლა კი...

ში-დარინმა თვალეები დააქყიტა და შეჰყვირა:

— მაშ თქვენ ხართ ის კაცი, რომელმაც თაკლა-მაკანი
გაიარა და კინალამ თავის ქარავანთან ერთად დაიღუპა?

ში-დარინმა დიდის ამბით დაიჩოქა და სვენს აღტა-
ცებით მიაპყრო მზერა.

შემდეგ ორივენი დასხდნენ და შუალამედის საუბრობდნენ.
სვენმა აჩვენა ჩინელს თავისი მარშრუტები და ნახატები,
გაუზიარა თავისი მოსაზრებები ლომ-ნორის ტბისა და მი-
სი მნიშვნელობის შესახებ.

მეორე დღეს სვენი ში-დარინს ესტუმრა. ჩინელმა აჩ-
ვენა მას თავისი მარშრუტების გეგმა, რომლებიც მან ჩა-
კალიკის სამხრეთით მდებარე მთიან არემარეებში გადაი-
ლო; აჩვენა აგრეთვე ინგლისური ყიბლანები და სხვა სა-
ზომი ხელსაწყოები. შემდეგ ციხე და იარაღის საწყობე-
ები დაათვალიერებინა.

სვენმა ჰკითხა:

— მე როდისღა დამაპატიმრებთ?

ში-დარინმა მიუგო:

— წაბრძანდით, თუ გნებავთ, ჩერჩენში; მართალია, ამბანმა თქვენი დატუსაღება მიბრძანა, მაგრამ გარნიზონის უფროსი მე ვარ და არა ამბანი, ამიტომაც ამბანს არც ერთ ჯარის კაცს არ მივცემ. გზაში რომ ხრიკი არ მოგდონ, მცველებს გამოგაყოლებთ.

გახარებული სვენი გულდანად იცინის, თეთრ და წვეტიან კბილებს აელვარებს.

გამგზავრებამდის ში-დარინმა სვენს საჩუქარიც გამოუგზავნა—ბლომად შაქარი და თამბაქო. ქარავანმა ერთი თვე იარა და ხოტანს მიაღვა. აქ სვენს გაზეთები, წიგნები, ჟურნალები და შინაური წერილები დახვდა. მაგრამ უფრო გასაოცარი ის იყო, რომ აქვე ვილაცას მოეზიდა თაკლა-მაკანის უდაბნოში დატოვებული ნივთები: შვედური რევოლვერი, ხალიჩები, ფოტოგრაფიული აპარატი...

სვენს უთხრეს, რომ ეს ყველაფერი ში-დარინმა გამოუგზავნა. სვენი ამ განმარტებით ზრ დაკმაყოფილდა და საქმის გამოძიებას შერლოკ ჰოლმსის ოსტატობით შეუდგა.

გამოირკვა შემდეგი:

ამ რევოლვერს ატარებდა ვაჭარი იუსუფი—ერთი იმ ვაჭართაგანი, რომლებმაც უდაბნოში მომაკვდავ ისლამბეის წყალი დააღვინეს. ეს რევოლვერი თეთრი აქლემის ხურჯინში იღო.

შემდეგ იუსუფმა რევოლვერი დასავლეთ-თურანის ვაჭართა აღსაჰკაღს აჩუქა. აღსაჰკალი ძალიან დაინტერესდა და ცდილობდა გამოეკვლია, თუ საიდან იშოვა იუსუფმა ეს ძვირფასი ნივთი. იუსუფმა აღიარა, რომ მან

რევოლუციური საჩუქრად მიიღო სოფელ თავექ-ყელის უფროსის—თოღდა-ბეკისაგან.

მაშინ აღსაპკალმა, რომელსაც „სკოტლანდ-იარდის“ მაძებარის ნიჭი შესწევდა, სოფელ თავექ-ყელში ჯაშუში გაგზავნა, რომელიც თოღდა-ბეკს მოჯამაგირე მწყემსად დაუდგა.

ერთხელ, როდესაც მწყემსი თავისი უმნიშვნელო ხელფასის მისაღებად მივიდა, თოღდა-ბეკი სამ მონადირესთან ერთად სკივრებთან ისხდენ და ხალიჩაზე ისეთი ნივთები დაელაგებინათ, რომლებიც მხოლოდ ევროპელებს შეიძლება ჰქონოდათ.

ჯაშუში-მწყემსი მაშინვე უკან გამობრუნდა, ცხენს ზურგზედ მოახტა და ხოტანში აღსაპკალის ბინასთან მიაპყენა. აღსაპკალმა ყველაფერი ში-დარინს მოახსენა, ში-დარინმა კი თავექ-ყელში რაზმი გაგზავნა ბეკის სახლის გასაჩხრეკად.

მაგრამ ბეკი თითონაც გამოქნილი კაცი იყო. მწყემსის დაკარგვა შეამჩნია თუ არა, მაშინვე ყველა ნივთები ხოტანში წაიღო, რომ აქედან ში-დარინისათვის გაეგზავნა.

ში-დარინმა მონადირეებს ყველაფერი გამოჰკითხა. გამოიკვია, რომ მელის ნაკვალევმა ისინი მალალ ბარხანთან მიიყვანა, სადაც მელას თათებით ფქვილი ეთხარა. მონადირეებმა ქვიშა გათხარეს და კარავს მიაგნეს, შემდეგ კარავში ნაპოვნი ნივთები სახედრებს აჰკიდეს და თოღდა-ბეკს მიუტანეს.

ასე მოულოდნელად დაიბრუნა სვენმა თავისი ხელსაწყოები, აფთიაქი, ნავთის სამზარეულო და ფოტო-აპარატები. ამბანმა გაასამართლა ქურდები და მიუსაჯა აენაზლაურებიანთ სვენისათვის დაკარგული ნივთების ღირებულება.

სვენის ცდილობას ვიარაღი და ლაი-ლა- მას სატახტო ქალაქს.

ტიბეტი, რომელზე მოგზაურობაც სვენმა განიზრახა, წარმოადგენს უზარმაზარი მთაგრეხილებით გარემოცულს, აზიის ცენტრალურ ნაწილს. ესაა აზიის ვეებერთელა კუზი, რომელიც ზღვის დონიდან საშუალოდ 4—5 კილომეტრის სიმაღლეზეა ამართული. ინდოეთის ოკეანიდან და სამხრეთ აზიის ნახევარ-კუნძულებიდან ტიბეტი გამოყოფილია ჰიმალაის მთაგრეხილით. ჰიმალაის ქედზე ამართულია მსოფლიოში უმაღლესი მწვერვალები (ევერესტი, კანჩენჯუნგა, დაპსანგი და სხ.), რომელთა სიმაღლე 8.000 მეტრს აღემატება. ასეთია ტიბეტის სამხრეთი საზღვარი.

ჩრდილო საზღვარსაც თითქმის ასეთივე მაღალი და თოვლ-ყინულით შემოსილი კუენ-ლუნის ქედი შეადგენს, რომელიც აღმოსავლეთ თურანსა და ტიბეტს განაწალკევებს. დასავლეთით ტიბეტი პამირსა და ჰინდუ-კუშს ებჯინება. რაც შეეხება აღმოსავლეთ საზღვარს, მისი გავლება ზუსტად შეუძლებელია, ვინაიდან ამ მხარეზე ტიბეტის მალლობი დადაბლებას იწყებს და ეშვება ჩინეთში. აქ ჩინეთის დიდ მდინარეებს—ჰუან-ჰეს, იან-ცზი-ცზიანს და ბევრ სხვას მთებში ვიწრო და ღრმა ხეობები ჩაუთხრიათ.

მაგრამ თვით ტიბეტიც მაღალი ქედებით არის დასერილი. ეს ქედები მეტწილად გაჭიმულია დასავლეთიდან—აღმოსავლეთის მიმართულებით, ე. ი. ჰიმალაის პარალელურად. ქედების შორის მოქცეულია ზეგნები, სადაც მრავალი ტბაა. ზეგნებისა და ტბების საშუალო დონე ზღვასთან შედარებით 4—5.000 მეტრით მაღლაა.

კავკასიონზედ მარადიული თოვლი უკვე 3.000 მეტრის

სიმაღლიდან ფარავს ფერდობებს. ვინაიდან ტიბეტი კავ-
კასიონზე გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობს
(საშუალოდ, სივანედის 15 გრადუსით) და მისი ჰავაც
ძლიერ მშრალია, ამიტომ ტიბეტში თოვლის საზღვარი
გაცილებით უფრო მაღლა მდებარეობს. სხვა და სხვა
მკვლევარების მიერ ჩატარებულმა გაზომვებმა ნათელჰყვეს,
რომ თვით ჰიმალაის ქედის სამხრეთ ფერდობებზედაც კი
რომლებსაც ინდოეთის ოკეანე მუსსონების საშუალებით
ბევრ ატმოსფერულ ნალექს აწვდის, თოვლის ხაზი დაახ-
ლოვებით 4.900 მეტრის სიმაღლეზე გადის; ჩრდილო
(მშრალ) ფერდობებზე კი 5.600 მეტრზე. რაც შეეხება
კუენ-ლუნს, აქ ალაგ-ალაგ თოვლის ხაზი 6.000 მეტრის
სიმაღლეზედაც აღის!

ამის გამო თოვლიანი მინდვრები და ყინვარები ტი-
ბეტში მხოლოდ მაღალ მთაგრეხილებზეა განვითარებუ-
ლი. ტიბეტის უდიდესი ყინვარების (რონგბუკის, ბიაფო,
ბალტორო) სიგრძე 40—50 კილომეტრს აჭარბებს*). მთა-
გრეხილებზე ჩამოწოლილი თოვლ-ყინულის მთლიანი ზო-
ლების სივანე 100 კილომეტრს აღწევს, სიგრძე კი ათა-
სეული კილომეტრებით განიზომება.

რაც შეეხება ტიბეტის უფრო „დაბალ“ ნაწილებს,
ე. ი. ზეგნებს, მათი ბუნების შესახებ კარგ წარმოდგენას
იძლევა ფ რ ე ნ ს ი ს ი უ ნ გ ხ ე ზ ბ ე ნ დ ი ს აწერილობა:

„წვიმების იშვიათობის გამო მდინარეებს ჯერაც ვერ მოუ-
სწრიათ ტიბეტის ზეგნების დახრამვა და ისინი ვაკეებს წარმოა-
დგენენ.

„ამიტომაც ტიბეტის ზეგანს ღრმა ხეობები არ გააჩნია. აქ

*) დედამიწაზე უდიდესი მყის ყინვარი მდებარეობს პამირზე
და ცნობილია ფედჩენკოს ყინვარის სახელწოდებით. მისი სიგრძე
77 კილომეტრს უდრის. თითქმის ასეთივე სიგრძის მქონეა ტიან-
შანზე ინილჩეკის ყინვარი (ხან-ტენგრის მასივი).

სრულიად ვერ იპოვნით იმ კლდეკარების აჩრდილსაც კი, რომლებიც ასობით და ათასობით გზედება ჰიმალაის სამხრეთ ფერდობებზე. უწყვილობის მეოხებით აქ მცენარეულობაც ლატაკია, ხოლო ამ უკანასკნელი გარემოების გამო ტიბეტის ცხოველთა სამყაროც ღარიბია. თხელი მცენარეული საფარველი ვერ იცავს კლდეებს და ნიადაგს ტემპერატურის რხევისაგან; ტიბეტის ზედაპირი დღისით შხის შუქზე ხურდება, ღამე კი სწრაფად ცივდება, რის გამოც ტიბეტი განირჩევა ჰავის სიმკაცრითა და მძაფრი ქარებით.

„თითქმის მუდამ ლურჯი ცა, მზის განუწყვეტელი კაშკაში, სასტიკი ქარი, სიცხე-სიცივის მორიგეობა, ყინვა, შიშველ-ტიტველი ადგილები—ასეთია ტიბეტის დამახასიათებელი თვისებები. ეს უკანასკნელი დიდ სიმაღლესთან ერთად აქ მოსულ ვერობელებს სიცოცხლის ხალისს უკარგავენ და მათ ცხოვრებას თითქოს ანახევრებენ. ტიბეტში უცხოელები განიცდიან ე. წ. „სასიცოცხლო სევდას“ (tedium vitae ლათინურად).

„თქვენ გასცქერით ამ გადამლილ მინდვრებს და ისინი უდაბნოდ გეჩვენებათ. ძნელი წარმოსადგენია, თუ რით იკვებებიან აქაური მოცხალი არსებები. და უცბად თქვენ ხედავთ იაკებისა და ცხვრების ჯოგებს. თუ ყურადღებით დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ზეგანზე აქა-იქ გაფანტულია თხელი ბუჩქნარი და ბალახბუჩქანი. ზამთრობით ცხოველები ჩლიქებით თრვლსა თხრიან და ამ ლატაკურ საკვებს პოულობენ. მაგრამ მაინც ზამთრობით პირუტყვი დიდ სიმშლს განიცდის; გაზაფხულზე ტიბეტელების ცხვრები მხოლოდ ძვლებისაგან შესდგებიან, რომლებზეც ქურქია, გადაკრული.

„შინაური პირუტყვის გარდა, ტიბეტში გარეული ცხოველებიცაა: იაკი, კურდღელი, ჯეირანი, „პიკასები“ (პატარა მღრღნელი ცხოველები), კანჯარი (გარეული ვირი), მგელი და მელა. ფრინველებიდან აღსანიშნავია „ცინ ტოროლა“, მთის ჭილყვავი, როჭო, კაკაბი, მტრედი, მთის ჭერცხალი, ბელურა. ევროსტის ექსპედიციის მონაწილემ—უოლესტონმა 1921 წელს ტიბეტზე გუგულიც ნახა, რომელიც ლჰასაში გაყვანილი ტელეგრაფის მავთულზე იჯდა. ყველა ამ ფრინველებზე ნადირობენ არწივები, ქორები და მიმინა“... *)

*) The epic of mount Everest by sir Frausis Uoung Nusbaud.

*

თემერლიკიდან სვენმა ოთხი გტიკი წაიყვანა რაბზანვი, აბდული, რაჰიმ-ალი და მაჰომედ-იზა.

გადაწყვიტა რა ლობ-ნორის ტბის საიდუმლო, სვენ ჰედინმა თავისი ყურადღება ტიბეტს მიაპყრო. მართალია, მას აქამდისაც ბევრი უმოგზაურნია ტიბეტის ჩრდილო ნაწილში, მაგრამ ამ იდუმალი ქვეყნის გულში ჯერაც ვერ შესულა.

სვენს უკვე მთელ ტიბეტში სახელი აქვს განტყმული, როგორც გამბედავ მოგზაურს. ტიბეტელები მას უწოდებენ ხან „უდაბნოს მბრძანებელს“, ხან „ტიბეტის რისხვას“ და ხანაც „უდაბნოს ქარს“, ვინაიდან მათის აზრით, სვენის ქარავანი არაჩვეულებრივი სისწრაფით მიდის ერთი მხარიდან მეორეში.

მაგრამ თითონ სვენი კი ტიბეტელების ასეთ შეხედულებებს გაზვიადებულად თვლის. ნეტავი იგი მართლაც ქარივით სწრაფი იყოს; მაშინ ხომ აქამდის უკვე ინახულებდა ტიბეტის დედა-ქალაქს ლჰასსას, ცოცხალ „ღმერთს“ დალაი-ლამას და ტიბეტის სხვა საოცრებებს; არა, სვენო ქარს ვერ შეედრება...

ერთ მზიან დღეს ქარავანი ლიუტენის ტბას მიაღწა. სვენმა უბრძანა მაჰომედ-იზას ქარავანი ტბის აღმოსავლეთ ნაპირისკენ შემოეტარებინა, თითონ კი ტბაში თან წამოღებული ბრეზენტ-შემოკრული ნაგი ჩაუშვა და რაჰიმ-ალისთან ერთად ტბის გადაცურვას შეუდგა.

65 მეტრის სიგრძე თოკი მალე ტბის ძირს ველარა სწვდებოდა. ტბის სიღრმემ შეაშინა რაჰიმ-ალი და იგი ურჩევდა სვენს სახიფათო მოგზაურობაზე ხელი აეღო. მაგრამ სვენი არ დაეთანხმა, ვინაიდან სარკესავით გალიცლიცებულ ტბის ზედაპირი არავითარი ხიფათით არ იმუქრებოდა.

საუბედუროდ, უეცრად დასავლეთით ყვითელი მტკრის ღრუბელი გამოჩნდა, რაც გრიგალის მომასწავებელი იყო. მენაოსნებმა იალქნების აშვებაც ძლივს მოასწრეს, ქარიშხალმა რომ ტბა ააბობოქრა. ტალღებმა ისეთი ფერხული ჩააბეს, რომ პატარა ნავი ნაფოტივით აიტაცეს და აქეთ-იქით აგდებდენ. აქაფებული წყალი ნავს ზევიდან ესხმებოდა, გაბერილი იალქანი ლამის გახეულიყო. ჩამავალი მზის შუქი ალმაცერი სხივებით ტბის ზედაპირს ფინებოდა და წყლის მთა-გორებს საზარელს მოწითალო ფერი დაჰკრავდა. ნავი კი არ მიდის, — თითქოს მიფრინავს. მზე უკვე ჩავიდა და მის მაგივრათ ცაზე ნამგალა მთვარე ამობაჯბაჯდა. ტბაზე თითქოს გამდნარი ვერცხლი დაიღვარა და წყალი აციმციმდა. რაჰიმ-ალი შიშისაგან არც მკვდარია და არც ცოცხალი: ანძის ძირას ზღარბივით მოკუნტულა და ენა-ჩავარდნილი ძაგძაგებს.

სვენი წყვდიაღში იხედება და მოახლოვებულ ნაპირს ამჩნევს. თუ ნაპირი ქვიანია, — შშვიდობით! — ტალღა ნავს მგზავრებიანად ზედ დაანარცხებს საშინელი სიძლიერით.

— რაჰიმ-ალი! — ყვირის სვენი. — რაჰიმ-ალი!

მაგრამ თავზარდაცემული რაჰიმ-ალი პასუხს ვერ იძლევა.

სვენი ხედავს, რომ ნაპირი ქვიანია.

სწრაფად რაჰიმ-ალის საყელოში ხელი დასტაცა და წყალში გადააგდო, შემდეგ თითონაც ფან გადაჰყვა. ორივენი ნაპირისკენ გაემართენ და ნავიც მიათრიეს, თუმცა კი ბევრი იწვალეს და თავიდან ფეხებამდის ამოილუმპენ.

ამოვიდნენ თუ არა, სველი ტანსაცმელი გაეყინათ და ჯავშნათ გადაექცათ. ახლო-მახლო რაღაცა ნაფოტები იპოვეს და ცეცხლი გააჩაღეს. სვენმა ტანსაცმელი გაიძრო, გასწურა და გასაწრობად კოცონთან ეკავა, რაჰიმ-ალი კი ხან ერთ გვერდს უშვერდა სიმხურვალეს, ხან კი მეორეს.

საბედნიეროდ, სიბნელიდან, ცხენების ფეხის ხმა შემოესმათ და რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლის შუქზე გამოჩნდნენ მაჰომედ-იზა, რაბზანგი და აბდული, რომელთაც „ნაოსნობის მოყვარულებისათვისაც“ ორი ცხენი წამოეყვანათ. ცოტა ხნის შემდეგ სვენი უკვე თავის ლოგინში თბებოდა.

* *
*

დაზამთრდა. მექარავნებმა და ეტიკებმა ცხვრის ქურქები ჩაიცვეს. ღამლამობით მაჰომედ-იზა თხის ტყავის საბანში გახვეულ სვენს ზემოდან კიდევ რაღაცა „თბილ-თბულებს“ აფარებდა, ხოლო ორივე ძაღლს — „იოლდაშსა“ და „პატარას“ განსაკუთრებული ტანსაცმელი შეუკერეს. თავდაპირველად, ცხადია, ლეკვებს ეუცხოვებოდათ ტანსაცმელი, კოტრიალობდნენ, რომ როგორმე მოეშორებინათ, მაგრამ მალე შეეჩვიენ.

ყინვა მიწუს 28⁰-ამდე დავიდა. სვენის ქარავანში ჯერ 27 ცხენი, 27 სახედარი და 27 ადამიანი იყო, შემდეგ ცხოველების რიცხვმა კლება დაიწყო. ერთ ღამეს, მაგალითად ორი ცხენი და ერთი სახედარი გაეყინათ.

მაგრამ არც ადამიანები იყვნენ კარგ გუნებაზედ. 95 დღე გავიდა, რაც გზაზედ არც ერთი კაცი არ შეხვედრიათ; ქარბუქი გააფთრებით თავზე ატყდება ქარავანს. ზღვის დონიდან სიმალღემაც იმატა და 5615 მეტრს მიაღწია (დაახლოვებით იალბუზის მწვერვალის სიმალღეა). ხალხი მოიქანცა და ნებისყოფა დაუსუსტდათ, ასე რომ იაკებზე ნადირობაც აღარ იზიდავს მათ.

რამდენიმე დღის განმავლობაში დაიღუპა ხუთი ცხენი და სამი სახედარი. სვენის მზარეული ცერინგი ყველას არწმუნებს, რომ იგი მალე გაიყინება სიცივისგან და ღამლამობით პირუტყვებთან ერთად წვება, რომ

ისარგებლოს მათი სითბოთი. ადგილობრივ მცხოვრებთა უნახველობა ყველას აფიქრებს, სვენს კი ერთის მხრივ კიდევაც ახარებს, ვინაიდან უკეთესი იქნება, თუ ცნობა უცხოელი მოგზაურის მოსვლის შესახებ ლჰასაში გვიან მივა. იქნება ამ გარემოების მეოხებით მან მოახერხოს საოცნებო ქალაქის ნახვა?!

ერთვან ქარავანი ექვს დღეს გაჩერდა, ვინაიდან სვენი ავად გახდა, სიცხემ 41,50-ამდე აუწია და ექვსი დღის განმავლობაში უნაგირზე შეჯდომაც ვერ მოახერხა.

ერთხელ ექსპედიციის ბანაკი ტბის ნაპირზე იყო გამართული, წინ კი ვაკე გადაშლილიყო. დილით მაჰომედიზამ თვალი მოჰკრა საბალახოდ ჩამოსულ გარეულ იაკებს, მაშინვე კარავიდან გამოვარდა და თან თოფი გაიყოლა. იაკები დაფრთხენ და გაიქცენ. დარჩა მხოლოდ ერთი უშველებელი, შავი იაკი, რომელიც მაჰომედიზამ ტყვიით დაჭრა. გაბრაზებულ იაკს ეგონა, რომ მისი მტრები იქ იყვენ, სადაც სვენი, რაჰიმ-ალი და რამდენიმე მექარავენე შეეგუფულიყვენ და თავდაღუნული მათკენ გამოექანა. შეშინებული რაჰიმ-ალი გამოიქცა ბანაკისკენ და მოეჭიდა ერთერთი ცხენის კუდს, რომელზედაც რობერტი იჯდა.

დორბლ-მორეული იაკი მტვერს ბღვირს ადენდა და, რქებ-მომარჯვებული პირდაპირ ცხენოსან სვენს ეძგერა. იგი უკვე 15 მეტრის მანძილზედ მოუახლოვდა, როდესაც სვენმა წითელი ყაბალახი მოიძრო და ტორეადორივით ცხენი გამოაჭენა, თანაც ყაბალახს იჭნევდა.

ამ დროს რაჰიმ-ალიმ ცხენის კუდს უნებურად ხელი გაუშვა და მიიწაზე გაშოტა. იაკი მაშინვე მისკენ გაექანა, მაგრამ მის უმოძრაო სხეულს რომ მიაღვა, იფიქრა: „ეს უვნებელიაო“, ოდნავ რქები შეახო და შემდეგ დაოთხებული გაექანა საითკენღაც.

სვენნი ცხენიდან ჩამოხტა, რაჰიმ-ალისტან მივიდა და დაუძახა. რაჰიმ-ალიმ მიკნავებული ხმით წაიბურტყუნა:

— თავი ღამანებეთ, განა ვერა ხედავთ, რომ საიქიოს გავემგზავრე?

სვენმა დიდის ვაი-ვაგლანით დაარწმუნა საბრალო რაჰიმ-ალი, რომ იგი ცოცხალია.

ამის შემდეგ ორი დღე გავიდა და ექსპედიციას სამი ცხენი დაეღუპა. ერთ დღით უფრო გვიან კი ქარავანს პირველად შეხვდნენ ცხენოსანი ტიბეტელები.

ამ ჭუჭყიან, ჭვარტლითა და ქონით მოსვრილ მთიელებს, რომლებიც ნადირთა ქურქებით იყვენ შემოსილნი, თავებზე რალაც უაზრო ტყავის ბოხონები ეხურათ, შალგარი კი არ გააჩნდათ. ერთ მათგანს პუნზუკი ერქვა, მეორეს კი—დავა. სვენ ჰედინს მათ „ბომბო-ჩინბო“ დაარქვეს (მთავარი ბელადი). ამ ტიბეტელებისაგან სვენმა სამი საუცხოვო იაკი, ოთხი ცხვარი და ხუთი თხა შეიძინა, თითონ პუნზუკი და დავა კი ეტიკებად დაიქირავა.

ყოველ საღამოს სვენი ვერცხლის ფულით ტიბეტელებს ჯამაგირს აძლევდა და ისინიც ვერცხლს ბავშივით ათამაშებდნენ. პუნზუკსა და დავას თავისი პატარა მთის ცხენები ხორცის ჭამას ყავდათ მიჩვეული, რამაც სვენი ძლიერ გააოცა.

* * *

ინდოეთის ერთერთი უდიდესი მდინარის—ბრაჰმა-პუტრას სათავე ტიბეტში იწყება. მისი სათავის მახლობლად რუკაზე მოჩანდა „თეთრი ლაქა“ ზედ გაკეთებული წარწერით: „გამოუკვლეველია“.

ამასთან დაკავშირებით სვენ ჰედინს მიზნად დასახული ქონდა მიერ-მოყარა ჰიმალაის ქედის ჩრდილოეთით

მდებარე უცნობი მხარე და იქიდან კი ლჰასაში მისვლა
ეცადა.

5.506 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, პაბლას
მთაგრებილის ერთერთ უღელტეხილზე, ექსპედიციამ გა-
დააბიჯა ცენტრალური აზიის ჰიდროგრაფიულ მიჯნას და-
მდ. ბრაჰმაპუტრას აუზში თავი ამოყო.

მაგრამ გზაში სვენ ჰედინს შეატყობინეს, რომ 1904
წ. ინგლისელების სამხედრო რაზმი ტყვიისმფრქვეველისა
და ყუმბარების დახმარებით ძალით შეიჭრა ტიბეტის
წმინდა ქალაქ ლჰასაში და რომ ამჟამად ლჰასაში დაბა-
ნაკებულია ინგლისელების ჯარი გენერალ მაკდონალდის
მეთაურობით.

ამ ამბავმა სვენს ლჰასისადმი ინტერესი სავსებით მოუ-
სპო. მან იცოდა, რომ ეხლა ლჰასა ყველა ინგლისური
გაზეთების კორესპონდენტებით სავსე იქნება და იგი ახალს
ვერაფერს აღმოაჩინს. ამიტომაც სვენმა გადაწყვიტა წას-
ვლა ტიბეტის მეორე „საღვთო“ ქალაქში, რომელსაც „ჩი-
გატხე“ ეწოდება. ამ ქალაქში ჯერ კიდევ არ დადგმუ-
ლიყო ევროპელი მოგზაურის ფეხი.

9 თებერვალს სვენმა მაჰომედ-იზა, ქარავანთან ერთად,
საცალფეხო ბრლიკებით ჩიგატხეში გაგზავნა, თითონ კი
ორი თანამგზავრის თანხლებით ნავი იქირავა და წმინდა
ქალაქისაკენ მდინარის გზით გაემართა. ნავი შედგებოდა
ერთმანეთზე მიკერებული, ოთხი კამეჩის ტყავისაგან და
ისეთი მჩატე იყო, რომ ადვილი იყო მისი ზურგით ტა-
რება.

მდინარის გზა უფრო გრძელი იყო, ვიდრე მთის ბი-
ლიკი, მაგრამ სვენმა ეს გზა განგებ ამოირჩია, რომ ტი-
ბეტის უზენაესი მმართველის—თა ში - ლ ა მ ა ს ჯაშუშე-
ბისაგან თავი დაეძვრინა. ქარავნის გაგზავნის წინ იგი
მოელაპარაკა თავის თანამგზავრს ჰუფარს, რომელიც

მას ქალაქთან გზაჯვარედინზე დახედებოდა შეკახმული ცხენებით.

სვენის გეგმა ბრწყინვალედ შესრულდა: ნავი კარგახანს მიცურავდა ფირუზივით მოლურჯო, „წმინდა მდინარის“—ბრაჰმაპუტრას დაყოლებით: მარჯვნივ თოვლებს აელვარებდენ ჰიმალაის ქედის გოლიათი მწვერვალები, ხოლო მარცხნივ აწოწილიყვენ უზარმაზარი მთები, რომლებიც სვენ ჰედინამდე არც ერთ ევროპელს არ უნახავს. სვენ ჰედინმა ეს დიდი მთაგრეხილი გამოიკვლია, რუკაზე დახაზა და სახელად „ტრანს-ჰიმალაი“ ე. ი. „გალმა-ჰიმალაი“ უწოდა. შემდეგში ევროპის მეცნიერებმა ამ ქედს სვენ ჰედინის სახელი დაარქვეს. ბრაჰმაპუტრას ნაპირებს გარეული ბატები ყიყინით იკლებენ; თვით მდინარეზე დაცურავს მრავალი ნავი, რომლებშიც მლოცველები სხედან, მიდიან მთაში—ლუნგპოში საახალწლო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

მდინარის მარჯვენა ნაპირზე სვენს დახვდა ჰუფარი. ყველანი ცხენებს მოასხდენ და ქალაქის გალავნის კარში შეუმჩნეველად ბრბოსთან ერთად შევიდენ. სვენმა მიხანი შეისრულა—იგი უკვე ჩიგატხეში იმყოფებოდა.

მაჰომედ-იზამ ექსპედიციისათვის ქალაქში ბინა იქირავა, მაგრამ სვენმა არჩია კარავში ძილი, ჩრდილიან ბაღში.

მეორე დილასვე სვენს ესტუმრა ჩინელი, სახელად „მა“, რომელიც ქალაქის გარნიზონის უფროსი გამოდგა. „მა“-ს ძლიერ გაუკვირდა უცხოელის მოსვლა და ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ მოახერხა სვენმა ჩიგატხეში მოსვლა: ციდან ჩამოხტა, თუ მიწიდან ამოძვრა.

— რომ მცოდნოდა თქვენი ჩიგატხეში წამოსვლა, არ შემოგიშვებდით— განუცხადა ჩინელმა მოგზაურს.— ღკასაც და ჩიგატხეც ევროპელებისათვის აკრძალული ქალაქებია.

— რამდენი ინგლისელია ეხლა ლჰასაში?!—დაცინვით ჰკითხა სვენმა.

მამ არაფერი უპასუხა.

მა წავიდა, სამაგიეროთ მოვიდენ თაში-ლამას მდივანი—ჰალარა წვერიანი ლამა და ჩინელი მოხელე. ამ უკანასკნელმა სვენს ჰკითხა:

— რა ვინდათ ჩივატზეში?

— მე მინდა აქ საახალწლო დღესასწაულს დავესწრო.

— ევროპიელს ამის ნება არა აქვს.

— გარდა ამისა, მე მინდა ვინახულო უზენაესი მმართველი—თაში-ლამა.—განაგრძო სვენმა.

— მხოლოდ რამდენიმე მომაკვდავსა აქვს უფლება თაში-ლამას მხერა მიაპყროს.—უპასუხა მოხელემ, რომელსაც ჰედინის თავხედობამ შიში მოჰგვარა.

— თუ ეგრეა, მაშ მე მხოლოდ ვიცხოვრებ ამ ქალაქში. ორივე სტუმარს თითქოს თავზარი დაეცათ.

— თქვენ ამის უფლება არა გაქვთ!—ერთად წამოიძახეს მათ.

— როგორ თუ უფლება არა მაქვს? მაშ ეს რა არის?—სვენმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და თავისი ჩინური პასპორტი ამოიღო, თუმცა იცოდა, რომ მას ტიბეტთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა.

წარმოიდგინეთ სვენის გახარება: პასპორტმა აღტაცებაში მოიყვანა ორივე სტუმარი.

— მაშ ადრევე რატომ არ გვაჩვენეთ ეს საუცხოვო პასპორტი?—იძახოდნ ისინი.—ეხლა საქმე მოგვარებულია, შევიძლიათ აქ დარჩეთ.

და წავიდნ.

ხოლო იმავე საღამოს სვენმა თაში-ლამასაგან საჩუქრად თეთრი აბრეშუმის გრძელი ნაჭერი მიიღო, რომელიც წყალობის, მასპინძლობისა და მეგობრული დახვედრის ნიშნად ითვლება.

მეორე დღეს სვენი „გამოიპრანჭა“ ფრაკით, თეთრი სახამებლიანი საყელოთი, გაპრიალებული ფეხსაცმლით; მაჰომედ-იზამ თავისი მშვენიერი წითელი პლაში წამოიხნა, თავზე ოქრომკედით მოქარგული აბრეშუმი შემოიხვია ჩალმად და ორღვენი ტიბეტელების წინამძღოლობით წავიდენ სადღესასწაულო მოედანზე. სვენი და მაჰომედ-იზა საპატიო ლოჯაში დასვეს. ამ ლოჯის პირდაპირ პაწია ფანჯარა მოჩანდა, რომლიდანაც თურმე თვით თაში-ლამა იმზირებოდა. მოედანზე დიდის ამბით აღლუმი მოეწყობოთ ტიბეტელ ბერებს. აი, მუსიკის დაკვრახზე გამოვიდენ 40 ბერი, რომლებსაც სახეებზე ქაჯის ნიღბები უკეთიათ. მოედნის შუაგულში ერთერთ ლამას ხელში თხის სისხლით სავსე ჯამი უკავია. „ქაჯებმა“ ლამას გარშემო ფერხული და ბუქნაობა გააჩაღეს, თანაც კრელ-კრელ ქსოვილის ნახევენს, ალმასა და ბამბუკის ჯოხებს იქნევდენ. აივნებიდან ქაჯებს თავზე აყრიდენ ბრინჯსა და ქერს.

შემდეგ კოცონი დაანთეს და ალზე ქალაღი დასწვეს, რომელზედაც ჩამოწერილი იყო გასული წლის ყველა საუბედურო და უსიამოვნო ამბები,—თითქოს ქალაღდთან ერთად ამ უბედურებებისთვისაც ბოლო მოეღოთ!

„ქაჯების“ ცეკვა ჯერ დათავებული არ იყო, როდესაც სვენი მიუახლოვდა ჩინელი მოხელე და აცნობა, რომ „უწმინდესი ლამა“ სთხოვს ევროპელ მოგზაურს ხვალ სტუმრად ეწვიოს მას. ჩინელმა მაშინვე დაუმატა, რომ ეს მიპატიჟება ევროპელისათვის უდიდესი პატივისცემა და ბედნიერებაა.

მეორე დღეს სვენი და მაჰომედ-იზა (თარჯიმანის მაგიერი) თაში-ლამას ეწვიენ. ორივე დიდხანს ატარეს მიხვეულ-მოხვეულ დერეფნებში და ოთახებში და როგორც იყო, დარბაზში შეიყვანეს.

თაში-ლამა ფეხმორთხმული განიერ სკამზედ იჯდა ფანჯარასთან. წინ გრძელი ღურბინდი დაედო. თაში-ლამას ეცვა ყვითელი, ოქრომკედით მორთული ქულაჯა. სვენს გაუღიმა და ანიშნა თავის მსახურებს მოერთმიათ სტუმრისათვის სკამი, მაგიდა და ფინჯნით ჩაი.

გაიმართა საუბარი. თაში-ლამბ ეკითხებოდა სვენს ევროპის, ჩინეთის, იაპონეთის, ინდოეთის ამბებს, ემუსაიდებოდა ლორდ კიტჩენერის შესახებ და სხ., როდესაც თაში-ლამას უნდოდა სვენისათვის საიდუმლო რამ ეთქვა, თავის წვრილ თვალებს ოდნავ მოჭუტავდა და მაშინვე ყველა ბერები სწრაფად გაიხვეტებოდნენ ოთახიდან, რომ ვერ გაეგოთ საიდუმლო. თაში-ლამას მთავარ საიდუმლოს ის შეადგენდა, რომ მან სთხოვა სვენს არავისთვის გაემხილა თავისი ჩიგატსეში და აქაურ მონასტერში მოსვლის ამბავი.

— თუ ჩინეთში გაიგეს, რომ თქვენ აქ შემოგიშვით, მე ამას არ მაპატიებენ.— ამბობდა თაში-ლამა.

სვენი სამ საათ-ნახევარს ესაუბრა თაში-ლამას და მისგან ბევრი საყურადღებო რამ შეიტყო.

თურმე თაში-ლამას ტიბეტში იმიტომ სცემენ თაყვანს, რომ იგი ქვეყნის მბრძანებელის—დალაი-ლამას მასწავლებლად ითვლება.

მოკვდება თუ არა თაში-ლამა, მაშინვე ტიბეტის ყველა კუთხეში დაავზავნიან შიკრიკებს, რომლებიც აგროვებენ ცნობებს იმის შესახებ, თუ სად და ვის დაებადა ბავში სწორედ იმ დღეს, იმ საათსა და იმავე წუთში, როდესაც თაში-ლამა გარდაიცვალა. ტიბეტელებს მტკიცედა სწამთ, რომ თაში-ლამას სული უთუოდ გადასახლდებოდნენ იმ ბავშვში, რომელიც მისი სიკვდილის დროს იშვა. ხშირად ასეთი ბავშვები ბევრია და მაშინ ჩიგატსეში მათ კენჭს უყრიან: უფროსი ლამა ოქროს ჯამში ჩაყრის პაწია ბართებს, რომლებზედაც ბავშვთა სახელები წერია, შემდეგ

აურევს და თვალდახუჭული ერთერთ ბარათს ამოიღებს. ის ბავში, რომლის სახელიც ბარათს ამოჰყვება, ითვლება თაში-ლამას მოადგილედ და მემკვიდრეთ.

გამომშვიდობების დროს თაში-ლამამ სვენს პაწია ბუდ-დას ქანდაკება აჩუქა. სამაგიეროდ სვენმა მას მოვერცხლილი ხანჯალი მიუძღვნა. მაგრამ როდესაც თაში-ლამამ სვენს დიდძალი ბრინჯი, ფქვილი, ქერი და ხილეული მისცა, სვენმა ვერაფერი ველარ აჩუქა სტუმართმოყვარე ტიბეტის მეფეს.

*
* *

4.864 მეტრის სიმაღლეზე ოკეანის დონიდან სვენმა შიაგნო მდინარე ბრაჰმაპუტრას სათავეს, რომელიც ჯერ არც ერთ მოგზაურს არ ენახა.

შემდეგ მან თავისი ქარავანი მანასაროვარის ტბასთან მიიყვანა.

ბრაჰმას მოძღვრების მიმდევართა შორის მანასაროვარი უწმინდეს ადგილად ითვლება. ისინი ამბობენ:

„ვინც მანასაროვარის წყალში ამოევლება, იგი მოხვდება ბრამას სამოთხეში; ვინც მანასაროვარის ტბიდან თუნდაც ერთ წვეთ წყალს დაღევს, ყველა ცოდვებისაგან განიტვირთება. ჰიმალაის ვერც ერთი მთა ვერ შეედრება, ვინაიდან ჰიმალაის მთებშია მანასაროვარი. როგორც გარიჟრაჟის ბრწყინვა გააშრობს ხოლმე დილის ცვარნამს, ისევე კაცობრიობის ცოდვასაც გააქარწყლებს ჰიმალაის მწვერვალების ხილვა“...

„უნდა გამოვტყდე—წერს თავის დღიურში სვენ ჰედინი, — რომ ამ ტბის უწმინდეს ნაპირებს მე იმ მიზნით კი არ მივუახლოვდი, რომ მისი წყლიდან პირდაპირ ბრამას სამოთხეში თავი ამომეყო, ან შიგ ჩემი ცოდვები ჩამეყარა—ჩემი მიზანი გაცილებით უფრო უბრალო იყო:

ტბის ჰიდროლოგიური შესწავლა. ეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი ტბა, რომელიც ზღვის დონიდან 6.400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს“.

როდესაც სვენი, შუქურ-ალი და რაჰიმ-ალი პატარა ნავით მანასაროვარში შეცურდენ, ტიბეტელებმა ვაი-ვუო ატეხეს:

— ნუ მიდიხართ, წყლის ღმერთი ჩავითრევთ. წახვალთ და უკან კი ველარ დაბრუნდებით!

მაგრამ სვენმა ტიბეტელების მუქარას ყურადღება არც კი მიაქცია.

ათი დღის განმავლობაში სამივენი ტბაზე დაცურავდენ, ხანდახან ნაპირს მიადგებოდენ და იხვებზე ნაღირობდენ.

ერთგან ნავმა ტიბეტელთა მონასტერს გაუარა. სახლის ბანზე ერთი ლამა იდგა და ბუკს აყვირებდა. ნაპირზე მლოცველები ბანაობდენ და პეშვებით ტანზე წყალს ისხავდენ.

სულ, მანასაროვარის გარშემო რვა მონასტერი დგას. თავდაპირველად ლამებმა არ იცოდენ, რომ ნავში ევროპელი მოგზაური იჯდა და ავდრიან დღეებში ეპატიჟებოდენ თავისთან, მაგრამ ბოლოსდა ბოლოს აქამდისაც მოაღწია ხმებმა კანონის დამრღვევი უცხოელის შესახებ.

სვენს დევნა დაუწყეს. ნაპირზე ლამისთევის დროს მოგზაურებს ხშირად შემოესმოდათ ხოლმე ცხენების თქარა-თქური. სვენი მაშინვე ნავში ჩაჯდებოდა და ტბაში შეცურდებოდა, ხოლო ტიბეტელები, რომლებსაც ლჰასიდან თავხედი უცხოელის დაპატიმრების ბრძანება მოსვლიდათ, შუქურ-ალის და რაჰიმ-ბაის მიადგებოდენ.

— სად არის თეთრი ბატონი?—ეკითხებოდენ მათ.

— ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთ ესა? სადმე ტბაზე იქნება. თუ შეგიძლიათ—დაიჭირეთ!—უპასუხებდენ სვენის თანამგზავრები.

2 სექტემბერს სამივენი მივიდნენ ერთი მთის ძირში, რომელსაც „ყინულოვანი ალმასი“ (კანგ-რინპოტი) ეწოდება.

გულუბრყვილო ხალხს მტკიცედა სჯერა, რომ კანგ-რინპოტის მწვერვალზე სამოთხეა გადაშლილი და ამიტომ დიად ყინულოვან მწვერვალს ისევე აღმერთებენ, როგორც მანასაროვარის წმიდათა წმიდას. მიღებული ჩვეულების თანახმად მლოცველები გარს უვლიან კანგ-რინპოტის მასივს შემდეგნაირად: წვებიან მიწაზე მთელი ტანით, ხელით დანიშნავენ იმ ადგილს, სადაც თავი აქვთ დადებული, ადგებიან და ისევ დაწვებიან იმნაირად, რომ თავის ადგილას ფეხები მოხვდეს. ცხადია, რომ ასეთ „სიარულს“ ბევრი დრო უნდება და მლოცველები 20 დღეში ძლივს ასწრობენ მთის ირგვლივ შემოვლას.

სექტემბერში ჰედიანი მთავარ ბანაკში დაბრუნდა, სადაც მალე მოვიდა მისი ქარავანი, დატვირთული სანოვავით, კარავებით, ვერცხლის ფულით, წერილებითა და გაზეთებით.

გაზეთებიდან სვენმა ამოიკითხა ცნობა რუსეთისა და ინგლისის შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად რუსეთი და ინგლისი მოვალენი იყვნენ სამი წლის განმავლობაში არც ერთი სამეცნიერო ექსპედიციისათვის არ მიეცათ ტიბეტში მოგზაურობის ნებართვა. ასეთსავე ვალდებულებას ჩინეთიც კისრულობდა.

„აქამდე ჩემს წინააღმდეგ იყვნენ: ინგლისი, ინდოეთი ჩინეთი და ტიბეტი,—სწერს სვენ ჰედიანი თავის დღიურში,—ეხლა კი მათ მიემხროთ რუსეთიც. მიუხედავად ამისა მე მაინც განვაგრძობ გზას, მე არ მებრკოლებს არავითარი სიძნელე“.

ამის შემდეგ სვენმა თავისი მეგობრის—ტულამ რადოის დახმარებით ახალი ექსპედიცია მოამზადა, რომელ-

შიც შედიოდა 19 კაცი, 19 ცხენი, 21 ჯორი და ორი ძაღლი. სვენმა მექარავნეებს უთხრა, რომ იგი ქალაქ ხოტანში მიემგზავრება, სინამდვილეში კი მას განზრახული ჰქონდა ყარა-ყორუმის გზაზე გასულიყო და იქიდან ტიბეტის გამოუკვლეველ კუთხეებსა სწვეოდა.

გზა მეტად ძნელი გამოდგა და ვინაიდან უკვე დეკემბერი დადგა, ხოლო ტემპერატურამ—23°-ამდე დაიწია, ამიტომაც სვენის ქარავანმა ბევრი ხიფათი და გაჭირვება განიცადა.

„გზა თურანისა, ინდოეთისა და ყაშმირის შორის სამართლიანად იბრუნება უძნელეს გზად დედამიწის ზურგზე, —სწერს ჰედინი.—სანამ ბულაყს მივიდოდით, დაგვეხოცა 20 ცხენი და 63 ჯორი“.

მალე ქარავანს ქერი გამოელია. ექსპედიცია მიადგა ისეთ ვიწრო ხეობას, რომ შიგ კატაც ძლივს გაძვრებოდა. სვენმა უკან გამოაბრუნა ქარავანი და სხვა გზის ძებნას შეუდგა.

ყინვამ — 38°-ს მიაღწია. 25 ცხვირიდან ქარავანში 12-ილა დარჩა ცოცხალი: დანარჩენი სიცივემ დაღუპა. მექარავნეები ცუდ გუნებაზე დადგენ და ლამ-ლამობით გულსაკლავი ხმით მღეროდნენ. აბდულ-ქერიმი წამდაუწუმ მოდიოდა სვენთან და მოახსენებდა:

— ჯორი დავარდა...

— ცხვარი მოკვდა...

— ცხენი ველარ მოდის.

საუბედუროდ მექარავნეებს გზაში სულ არ შეხვედრიათ დასახლებული ადგილები, რომ ქერი შეეძინათ.

სვენმა, აბდულ-ქერიმმა, ლულამმა და კუტუსმა ითათბირეს და გადასწყვიტეს: ვინიცრბაა მეჯოგეებს შეხვდნენ, აბდულ-ქერიმი თავის თავს ქარავანის პატრონად გამოაცხადებს, ხოლო სვენს—თავის მსახურად.

მაგრამ დიდხანს იხეტიალეს მთებში, სანამ ადამიანებს შეხვდებოდნენ. პირუტყვები ბუზივით იხოცებოდნენ და ბარგი ნაწილობრივ უკვე მექარავნეებს ზურგით მიქონდათ.

ერთ დღეს, როდესაც ქარიშხალი თოვლის კორიანტელს ატრიალებდა, თოვლზე კაცის კვალი შენიშნეს. სვენმა, კუტუსმა და ლულამმა ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს, რომ ქარბუქში არ დაკარგულიყვენ და კვალს გააჰყვენ. მოულოდნელად ორ ქოხს წააწყდნენ. ერთ მათგანში თურმე ექიმბაში ლამა ცხოვრობდა, რომელმაც მიჰყიდა სვენს ბრინჯი, ქერი, თამბაქო, ორი თხა და ხუთი ცხვარი. მანვე აცნობა სვენს, რომ ამ კუთხის მმართველი ხვალ უნდა მოვიდეს შინ.

სვენმა სახე მიხაკისფერი საღებავით შეიღება, და ტანზე მწყემსის დაფლეთილი სამოსელი ჩაიცვა, რომ ადგილობრივ უფროსს ვერ ეცნო იგი. მეორე დღეს სვენი ცხვრების ფარას მოუდგა, რათა ტიბეტელებს მართლა მწყემსი გონებოდათ: სვენი ცდილობდა მიეზაძა ტიბეტელი მწყემსებისათვის, ბევრს უსტვენდა და უყვიროდა ცხვრებს, მაგრამ პირუტყვები მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და თავის ნებაზე დასეირნობდნენ.

ტიბეტელების უფროსსა და ცხენით მიმავალ აბდულქერიმს შორის (აბდულ-ქერიმი ღირსეულად ასრულებდა ქარავნის უფროსის როლს) გაიბა ასეთი საუბარი:

ტიბეტელი: — რამდენი კაცი ხართ?

— სამეტი.

— რამდენი თოფი გაქვთ?

— ხუთი.

— მერე სად არის თქვენი ევროპელი უფროსი?

— ევროპელებს აქ ზამთარში რა უნდათ? ჩვენ მატყლის გამყიდველები ვართ და ლადაკიდან მოვდივართ.

— სტყუი!

მაშინ აბდულ-ქერიმი საპასუხო შეტევაზედ გადავიდა:

— თქვენ ვინ და ხართ?

— ნანგრონჩის მხარის უფროსი და მისი ამალა.

— ცხვრებსა ჰყიდით?

— მერე რამდენს იძლევით?

— ჯერ საქონელდ გვიჩვენეთ.

საბოლოო შედეგად ექსპედიციამ ტიბეტელებისგან შეიძინა რ ცხვარი და ერთი ნაგაზი „თაკარი“, რომელიც, თავისი სიავის მეოხებით, ბანაკის ერთგულ გუშად იქცა. მის დასაბმელად მექარავნები ჯერ საბანს გადააფარებდნ ხოლმე, დაასხდებოდნ ხუთ-ხუთნი ზემოდან, მოაბამდნ ჭაპანის სიმსხო თოკს და მერე საჩქაროდ მირბოდნ მისგან, ვინაიდან თვალსისხლიანი ქოფაკი მრისხანე ღრინვით ზედ ახტებოდა სუყველას.

ქარავანმა გზა განაგრძო. როგორც კი შეამჩნევდნ ტიბეტელებს, სვენი ცხენიდან ჩამოხტებოდა ხოლმე და ფეხ-და-ფეხ მიერეკებოდა ცხვრებს, — ვითომც მწყემსი ყოფილიყვეს.

ერთს მინდორზე დადგმულ კარავში ბინად იდგა ლჰასელი ვაჭარი ტსონგ-პუნ-თაში, რომელიც მთელ ბონგმას პროვინციას აგურ-ჩაით ამარაგებდა.

სვენმა თავისი ბანაკი ვაჭრის ბინიდან საპატიო მანძილზე გაშალა და წინ აბდულ-ქერიმი მიგზავნა. აბდულ-ქერიმი მალე დაბრუნდა, თან მოიყვანა ბრინჯითა და ქერით დატვირთული ცხენი. მან აცნობა ჰედინს, რომ ტსონგ-პუნ-თაში საკმაოდ ზრდილობიანი კაცი ჩანს და აბდულ-ქერიმი დაპირდა მას კოჭლი ცხენის საჩუქრად მიძღვნას.

სამწუხაროდ, აბდულ-ქერიმის მოსვლამდის ილაჯ-გაწყვეტილ კოჭლ ცხენს ტყვიით სიცოცხლე მოუსწრაფეს.

მეორე დილას ტსონგ-პუნ-თაში სვენის ბანაკში მოვარდა და დავი-დარაბა ატეხა:

— სად არის, აბა! ცხენს რომ დამპირდით, მომეცით ჩემი ცხენი.

მუქართა და ლანძღვით ვაჭარი აბდულ-ქერიმის კარავში შევარდა, თითქოს იქ შეეძლო ცხენის მოძებნა. სვენი სასწრაფოდ შეძვრა თავის კარავში და სახე ყავისფერი საღებავით მოითხუპნა. სვენის კარვის წინ მრისხანე ქოფაკი თაკარი იჯდა და მოადგა თუ არა ტიბეტელი კარავს, ღრენით მივარდა.

აბდულ-ქერიმი მიხვდა, რომ ტიბეტელს შეეძლო ეცნო სვენ ჰედინი და ამიტომაც დაიყვირა:

— კუტუს, წადი, თან ხაჯი-ბაბა წაიყვანე და მოძებნეთ ის ოხერი ცხენი.

ხაჯი-ბაბა—ეს იყო თვით სვენი.

ტიბეტელმა მასზედ მიუთითა:

— ეს ვილა არის?

— ხაჯი-ბაბა, ჩვენი მწყემსი.—არხეინად მიუგო აბდულ-ქერიმმა.

კუტუსმა და სვენმა მარდად მოუსვეს მთებისკენ და იქიდან ბანაკს თვალს ადევნებდნენ მანამდის, სანამ ტსონ-გპუნ-თაშის არ მობეზრდა ყვირილი და არ წავიდა შინ.

ლამე სვენმა ბანაკი აშალა და ქარავანთან ერთად ჩუმად გაეპარა ტიბეტელებს.

აქედან სვენმა გადაჰკვეთა კიდევ ერთი „თეთრი ლაქა“ და შეადგინა მისი რუკა. ერთხელ, მოულოდნელად მოგზაურთა ბანაკს ეწვია ცხენოსან ტიბეტელთა რაზმი. მათი ბელადი მოითხოვდა სვენის გამომეკლავნებას და მექარავნეებს სიკვდილით ემუქრებოდა.

ტიბეტელები, როგორცა სჩანდა, არ ხუმრობდნენ და ამიტომ სვენმა გადასწყვიტა გაემხილა თავისი ვინაობა. იგი წარუდგა გაოცებულ ტიბეტელებს და აცნობა:

— მე გახლავართ საჰიბი*) ჰედინი. რა გნებაეთ, რას მიპირებთ?

და შესთავაზა მათ საუცხოვო ეგვიპტური პაპიროსი. ყველამ გააბოლა.

შემდეგ ერთერთმა ტიბეტელმა ამოიღო მხარის მართველისაგან მიღებული წერილი, რომელშიაც ნაბრძანები იყო ჰედინისათვის ჩაეკეტათ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზები.

ტიბეტელებმა გააცილეს სვენი ქალაქ სემოკუმდე. სვენმა ჩამოირეცხა სახეზე წასმული საღებავი და თავისუფლად ამოისუნთა, ვინაიდან ეხლა უკვე აღარ ესაჭიროებოდა კარავში მალვა.

„25 აპრილს მოვედით სემოკუს, — სწერია ჰედინის დღიურში — მართლაც ტუსალივით მივყავდით: სამი ტიბეტელი მარჯვნიდან მომიდგა, სამიც მარცხნიდან.

მართველი დორჩე-ტსუანი სააღლუმოდ იყო გამოწყობილი ჩვენს შესახვედრად: მას ეცვა ჩინური აბრეშუმის ქულაჯა და ხავერდის ჩექმები. ყურებში საყურეები გაეყარა, თითებზე კი ბეჭდები უბრწყინავდა. წვრილი ნაწნავი ბაწარივით ზურგზე ეკიდა. მივედი თუ არა, გამიღიმა:

— იმედი მაქვს, რომ მოგზაურობით კმაყოფილი ბრძანდებით?

— გმადლობთ. მხარლოდ, ცოტა არ იყოს, ციოდა.

— გასულ წელს ჩვენ გაგაძევეთ აქედან. რატომ დაბრუნდით ისევ?

— იმიტომ, რომ თქვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არის ისეთი ადგილები, რომლებიც მე არ შემისწავლია.

— მე ჩემს მთავრობას ვაცნობე თქვენი აქ ყოფნა და მიბრძანეს დაგაბრუნოთ თქვენ ჩრდილოეთისაკენ.

*) საჰიბი — ბატონი.

ჩემ მიერ გამოვლილი გზიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეზე მდებარეობდა საიდუმლოებით აღსავსე „თეთრი ლაქები“. მე განვიზრახე მათი გამოკვლევა, რომ ამით დამემთავრებინა ჩემი მუშაობა და რუკაზე გამოძებნაზა სრულიად ახალი ადგილები. მაგრამ ამის მოსახერხებლად საჭირო იყო მოხერხება და დიპლომატია; წინააღმდეგ შემთხვევაში ტიბეტელები ჩამიკეტავდენ ამ ადგილის ქისკარს.

და მე გულუბრყვილოდ განვაცხადე:

— მე მსურს გადავიდე ინდოეთში იანგტესს გზით.

— ეს არ შეიძლება! თქვენ უნდა დაბრუნდეთ ჩრდილოეთისაკენ იმავე გზით, რომლითაც მოხვედით.

— არც ეს შეიძლება.— ვუთხარი მე.— მე არასოდეს არ დავბრუნებულვარ ჩემი, ნაკვალევით ჩვენს ქვეყანაში ეს აკრძალულია.

— უცნაური წესები ყოფილა თქვენს ქვეყანაში. მაშ რომელ გზას ამოირჩევთ?

— იმ უღელტეხილს, რომელიც სამიე-ლას აღმოსავლეთით არის და იქიდან პერინამ-ტზოზე გავლით— დასავლეთისაკენ.

— შეუძლებელია! მოითმინეთ, შეიძლება მოვრიგდეთ. გსურთ ჩემთან ერთად გაემგზავროთ კომბა-ძენამის მართველთან?

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

მაგრამ, სანამ კომბა-ძენამში გაემგზავრებოდით, მე ტიბეტელების თანხმობით გავაგზავნე შიკრიკი, რომელმაც წაიღო ბარათი ძონ-ჩას (ტიბეტის სამხრეთ საზღვართან). ამ ბარათით მე ვთხოვდი ერთ ჩემს ნაცნობ ვაჭარს გამოეგზავნა ჩემთვის ნამდვილი ტიბეტური ტანსაცმელი, გაკეთებული წითელი და შავი მასალისაგან, ჩინური ფაფახი, ჩინური აბრეშუმის ჩექმები და აგრეთვე ხმალი.

ვერცხლის ქარქაშით და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ტარით.

მივიღე რა ეს საგნები, მე შევიმოსე, დავიკიდე ძვირფასი ხმალი და ამნაირად წარვუდექი ტიბეტელებს. გარდა ამისა, მაგიდაზე დავყარე ბლომად ვერცხლის ფული. ტიბეტელები გაოცებით თავებს აკანტურებდნენ და თვალეებს აცეცებდნენ. დავრწმუნდი რა ჩემ მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებაში, მე მივეცი მათ კონკრეტული წინადადება:

— ჩვენ გავიყოფით ორ ნაწილად: მთავარი ქარაევანი აბდულ-ქერიმის წინამძღოლობით წავა სამიე-ლას უღელტეხილზე, მე კი მცირე ქარაევანით გავემართები აღმოსავლეთისაკენ. შევხვდებით ერთმანეთს ბუტ-ტსანგ-ტსანგბოში. თქვენ მომცემთ მცველებათ ათ კაცს. თითოეულ მათგანს დღეში 2 რუპიას მივცემ გასამრჯელოდ. რა თქმა უნდა, მე განგებ არ დავიგრძელებ გზას, ვინაიდან დღიური ხელფასის დროს ეს საზარალოა ჩემთვის.

ჩემი წინადადება მიღებულ იქნა. მცველების რაზმს, რომელიც მე უნდა გამომყოლოდა, ხელმძღვანელობდა ვინმე ნიმა-თაში, ხოლო ეტიკად წამოვიდა პანჩორი—გაიძვერა და მოქნილი ბერი-კაცი.

6 მაისს ჩვენი გზები გაიყარა. აბდულ-ქერიმი და 6 მექარავენე სამიე-ლაზე წავიდნენ, მე კი ხუთ მექარავენესთან და მცველებთან ერთად სხვა გზას გავყევი. ვისუფლე და აბდულ-ქერიმს გავატანე ჩანთა, რომელშიც შენახული მქონდა 2500 რუპია (ფული).

ჩემს მცველებს და მათ შორის ნიმა-თაშისაც ძალიან ეშინოდათ ყაჩაღებისა. რაც უფრო შორს მივდიოდით, მით უფრო მწვავედებოდა მათი ძრწოლა. როგორც კი შორს მხედარს შენიშნავდნენ, ალიაქოთს ასტეხავდნენ ხოლმე და მიაშობდნენ ყაჩაღების შესახებ საშინელ ამბებს. მე

ძალიან გამიხარდა, როდესაც ჩემს გმირ მცველებს თავი დავაღწიე. ჩვენ გავშორდით მათ 5 ივნისს. ეხლა საჭირო იყო შევხვედროდი აბდულ-ქერიმს, მაგრამ იგი უგზო-უკვლოდ ჩაიყლაბა და გზაში შემხვედრ მეჯოგეებიდან არავის არ გაეგო მისი ამბავი.

მდინარე პედან-გსანპოს მოყოლებით მივალწიეთ შოგო-ტზეს ტბას.

ეს იყო ახალი აღმოჩენა. მოელვარე, ფირუზივით ლურჯი ტბა წითელ და იისფერ მთების შორის მომწყვდეულიყო... ცის ტატნობზე ამართულიყო სურლას მოელვარე თოვლიანი ქედი, თეთრი გოდორის მსგავსი კონცხებით დამშვენებული. მე ვიყავ პირველი „თეთრი ადამიანი“, რომელიც ამ განსაცვიფრებელ წსამყაროში მოხვდა. იქნება უახლოეს ხანებში მრავალრიცხოვანმა ექსპედიციებმა თავისი მარშრუტებით გადასერონ ტრანს-ჰიმალაის მთები და დარწმუნდენ, რომ ოროგრაფიის და გეოლოგიის მხრივ ეს ქვეყანა დედამიწის უშესანიშნავესი კუთხეა. ერთი საუკუნის შემდეგ ტრანს-ჰიმალაი ალპებივით გამოკვლეული და ცნობილი იქნება!

დადგა ივნისი, აბდულ-ქერიმისა კი არაფერი ისმოდა. დავიბანაკეთ სელიბუკში. ჩვენს მახლობლად იდგა ქარავანი, რომლის პატრონი მიემგზავრებოდა კანგ-რინპოტჩისადმი თაყვანსაცემად.

ამ დროს მე ფულიდან 40 რუპია ლა დამოჩენოდა. აბდულ-ქერიმი ჩემს სალაროსთან ერთად გაჰქრა, ხოლო მე ინდოეთში მისასვლელად ბლომად ფული მჭირდებოდა. ჩვენს მეზობელს—კანგ-რინპოტჩისკენ მიმავალ ვაჭარს წინადადება მივეცი შეეძინა ჩემი შვედური თოფი. მაგრამ მან მხოლოდ 10 რუპია შემომადგლია, მე კი თოფს 300-ზე ნაკლებად ვერ გავყიდდი. ასევე უშედეგოდ ვცადე მიმეყიდა ტიბეტელისათვის ჩემი ოქროს საათი. ვაჭ-

რისათვის სულ ერთი იყო—დილის 6 საათია, თუ 9, დროს კი მზით გებულობდა.

ჩემი ნივთიერი მდგომარეობა ეხლაც ისეთი იყო, როგორც დიდი ხნის წინად, როდესაც მე გლახაკივით მივედი ქერმან-შაჰში.

ივნისის მიწურული იყო, როდესაც ერთხელ, საღამოზე, მე უცბად შევამჩნიე შორს მომავალი 4 კაცი. მათოთხი ჯორი მოყვებოდა. დურბინდს ხელი ვტაცე, გავიხედე და სიხარულით ცეკვა დავიწყე: ვიცანი აბდულ-ქერიმი. როგორც გამოირკვა, საწყალს ყაჩაღები დაეცენ, წაართვეს ცხენი და ჯორი. გარდა ამისა, ორი მექარაენე დაავადმყოფდა და გზაში ჩამორჩა. ერთის სიტყვით, აბდულ-ქერიმის დაგვიანებას მრავალი მიზეზი აღმოაჩნდა და მე აღარ გავუჯავრდი მას, როგორც აქამდე ვაპირებდი. ჩემი ფული მან უკლებლად ჩამაბარა.

ივლისის შუა რიცხვებში ჩემი ქარავანი მთავარ ბანაკს მივაყენე თოქშონში.

საბოლოო ანგარიშში მე რვაჯერ გადავკვეთე ტრანსნიმალაი და ისიც სულ სხვა და სხვა უღელტეხილებით: უზარმაზარი სივრცე, რომელზედაც მოჩანდა წარწერა: „Unexplored“, ეხლა რუქაზე დახაზულიც და შესწავლილიც გახდა. უცნობი მხარე დაპყრობილია!

თოქშონში ახალი ქარავანი შევადგინე და მოვემზადე ინდოეთში გასამგზავრებლად.

ჩვენ მანასაროვარის ტბას ჩრდილოეთიდან გავუარეთ და მივალწიეთ მდინარე სეტლეჯს. ამ აქაფებულ მგრგვინავ ნაკადზე გადებული იყო ბოგირი, რომელიც რამდენიმე ხისაგან შედგებოდა. ხეების ქვეშ მიექანებოდა მრისხანე სეტლეჯი. მექარავნებმა აქ ცხენებს ბარგი მოხსნეს და ზურგით გადაზიდეს გაღმა, შემდეგ ცხენები გადაიყვანეს. ჯერი მოღვა ჩემს ცხენზე—„თეთრ თოვლაზე“

დაც“. ჩახედა თუ არა აქაფებულ წყალს, „თეთროვლამ“ მთელი სხეულით ცახცახი იწყო, გამოჰგლიჯა სადავე და ხიდის შუა ნაწილიდან მდინარეში ისკუბა. „დაილუპა საბრალო ცხენი!“—გამიელვა თავში. მაგრამ „თეთროვლამ“ მაშინვე ამოჰყო თავი წყლიდან და არხეინად გამოსცურა ნაპირზე, სადაც ბალახის წიწკნა დაიწყო,—თითქოს თავს არაფერი გადახდომოდეს.

აწნაირივე წესით გადავდიოდით ყველა მდინარეზე, რომლებიც კლდეებით შემოზღუდულ ხეობებში მოქრიან.

შიპკი-ლიას უღელტეხილზე გადავიარეთ ტიბეტისა და ინდოეთის საზღვარი. აქ ჩვენ უკანასკნელად ვიდექით ზღვის დონიდან 4.700 მეტრის სიმაღლეზე. მე განგებ შეფეფრხდი და დიდხანს დავრჩი ქედის თხემზე, რათა უკანასკნელად შემეხედნა ტიბეტისათვის—ჩემი ტანჯვისა და გამარჯვების ქვეყნისათვის.

მალე მივადექით დიდ მდინარეს, რომელზედაც არავითარი ხიდი არ მოჩანდა. მხოლოდ კლდიდან კლდეზე გაჭიმული იყო მავთული. 1904 წელს ინგლისელებმა აქ ხის ხიდი ააგეს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ წყალმა მოიტაცა. მას აქეთ ჰკიდია აქ ტელეგრაფის მავთული. ჩვენმა ეტიკმა შეხედა მავთულს, საიდანღაც ამოიღო სქელი თოკი, გააკეთა მისგან მარყუში, გამოაბა მავთულს და ამ უხერხულ საჯდომში მოკალათებული გაჰყვა მავთულს. რამდენიმე წუთის შემდეგ მან გაღმა ამოყო თავი.

ეტიკმა ხელის დაქნევით სალამი გვიძღვნა, გაიქცა საჩქაროდ სოფელ „პოო“-ში და იქიდან რამდენიმე ადგილობრივი მთიელი მოიყვანა. მოათრიეს ხის „აკვანი“, რომელიც მიდი-მოდიოდა მავთულზე თოკის საშუალებით. დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით გადავათრიეთ ცხენები, ჯორები და ბარგი. შემდეგ გადიყვანეს „თაკარი“ და ბო-

ლოს—მეც. ცისა და დედამიწის შორის ჩამოკიდებულის მდგომარეობა არაა სანატრელი—35 მეტრი თითქოს მთელი საუკუნე გრძელდება.

პოოდან ვეშვებოდით სულ ქვევით და ქვევით, ხეობებში. სწრაფად მატულობდა სითბო და ცივი ტიბეტის შვილი—თაკარი თავისი სქელი ბალნის გამო სიცხით იტანჯებოდა. გრძელ ენა გადმოვდებულები, ხეების ქვეშ ჩრდილს ეძებდა და ჭყუმპალაობდა ყველა ღელეებში. ჩემის აზრით, მას ენატრებოდა ტიბეტის ქარბუჭი და ყინვარები. ბოლოს და ბოლოს, მან სიცხეს ვერ გაუძლო და გაგვექცა—აღბად ისევ პოოში დაბრუნდა.

სექტემბერში მივალწიეთ სიმპლუს.

ოთახის ფანჯრიდან მე ხშირად შევხედავდი ხოლმე ჰიმალაის. ჩემი საყვარელი ტიბეტი მის უკან გადაშლილა. აღკრძალული ქვეყნის კარი კვლავ ჩამეკეტა“.

ვის მისახსურება სვენ ჰეიდინი?

სვენ ჰეიდინი, როგორც დაულალავი მკვლევარი და გაბედული მოგზაური, უეჭველად პატივისცემისა და მიბაძვის ღირსია. ჩვენს ქვეყანაში, სადაც შენდება ახალი ცხოვრება, ჰეიდინის გმირობა გულწრფელ აღტაცებას და თანაგრძნობას იწვევს.

მაგრამ შესცდება ის, ვინც სვენ ჰეიდინის მოგზაურობებში მხოლოდ გმირობას და უანგარო მეცნიერულ შრომას დაინახავს. ამ მოგზაურობათა პოლიტიკური სარჩული ჩვენთვის მტრულ მოვლენას წარმოადგენს და ჰეიდინის შეფასებას ჩვენ მიერ განსაკუთრებულ ელფერს აძლევს.

სვენ ჰეიდინის ექსპედიციები დიდძალ თანხებს მოითხოვდნენ. საიდან იზოვიდა ამ თანხებს მარტოხელი მეც-

ნიერი, თუ კი იგი არ დააინტერესებდა თავისი მოგზაურობებით შვედეთის გაბატონებულ და შეძლებულ კლასებს?

მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ჰედინს ეხმარებოდნენ შვედეთის მსხვილი კაპიტალისტები და თვით ოსკარ-მეფე, რომელმაც ჰედინს თავადობის ხარისხი უბოძა. ბურჟუაზიულ წრეებს აინტერესებდათ აზიის უზარმაზარი სივრცე, როგორც ნედლეულის წყარო და საქონლის გასასაღებელი ბაზარი. ამიტომაც ისინი ამარაგებდნენ აზიის მკვლევარს ფულადი სახსრებით. ამიტომაც ეჯავრებათ სვენ ჰედინის სახელი ინგლისის იმპერიალისტებს და ტიბეტის სასულიერო წოდებას, რომლებიც შვედეთის კაპიტალის სახით მძლავრ მეტოქეს ხედავენ.

სვენ ჰედინი აზიის შესწავლას დღემდე განაგრძობს. იგი უკვე მოხუცია—დაახლოებით 70 წლისა, მაგრამ თავის სამეცნიერო მუშაობას არც ეხლა ლაღატობს. რა თქმა უნდა, სვენ ჰედინის თანამედროვე ექსპედიციები ძირითადად განსხვავდება იმ მოგზაურობებისაგან, როდესაც შვედელი მოგზაური თურანელებისა და მონღოლების თანხლებით ჩუმად დაძრწოდა საქარავნო გზებზე და იძულებული იყო მეცხვარის როლი შეესრულებინა.

ჰედინის უკანასკნელი ექსპედიცია, რომელიც ბეიპინიდან 1933 წლის შემოდგომაზე გაემგზავრა, მიზნად ისახავდა ჩინური თურანის გამოკვლევას. ერთერთ პრობლემად ექსპედიციამ, შემდგარმა მრავალი სამეცნიერო თანამშრომლებისაგან, მიიჩნია მომავალი ტრანს-აზიური საავტომობილო გზის მიმართულების შესწავლა. ამ ექსპედიციაში სვენ ჰედინი სარგებლობს არა მარტო აქლემებით, არამედ ავტომობილებით და აეროპლანებითაც.

როგორც ვაზეთებმა გვაცნობეს, გასულ ზამთარში სვენ ჰედინი დატყვევებულ იქნა სინ-ცზიანში მოთარეშე რაზმების მიერ და შემდეგ ისევ განთავისუფლებული. რით დამთავრდება მისი უკანასკნელი ექსპედიცია—ამას უახლოესი მომავალი დაგვანახვებს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა—პროფ. გ. გებტმანი	3
წინასიტყვაობას მაგრივრად	5
გეოგრაფიული რუკის ბიოგრაფია	8
მარკო პოლო	25
სვენ ჰედინი	81

ტექნ. რედაქტორი: შ. დემეტრაძე
კორექტორი: ალ. გაბესკირია
ყდა მხატვ.: ნ. ჩერნიშკოვისა
ქ. ზ. 72 x 105 ს. ნ. ფ. 24,800
ნ ფ. 10 1/3 გადაეცა
წარმოებას 20 დეკ. 1934 წ. ხელ-
მოწერილია დასაბეჭდათ 1 თე-
ბერვალს 1935 წ.

ფასი 3 მ. 50 ლ.

91
ა 341

6

ლ. მარუაშვილი
Марко-Поло Свен Гедин